

"არც ერთი ნაბიჯი უკან!" A2



უზბეკეთის ხელისუფლებას საერთაშორისო ჩარევის ეშინია A5



ონოფრიშვილი რკინიგზის მუშაობით კმაყოფილია B8


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 21 მაისი, 2005 წელი. №112 (972) | ფასი 50 თეთრი


# მიწების რევოლუცია

## თბილისის მერმა უკანონოდ პრივატიზებული ნაკვეთების ჩამორთმევა გადაწყვიტა

თამარ დვალი

*თბილისის მერი 2000-2003 წლებში უკანონოდ გასხვისებული 300 ათასი კვადრატული მეტრი მიწის ფართობის მუნიციპალიტეტისთვის დაბრუნებას გეგმავს. გუშინ მერიაში გამართულ ბრიფინგზე, სადაც მედიის წარმომადგენლები ქალაქის მერისგან გადადგომის შესახებ განცხადების გაკეთებას ელოდნენ, ზურაბ ჭიაბერაშვილი ანტიკორუფციული ინიციატივით გამოვიდა. ვანო ზოდელავას მერობისა და გიორგი შერაძის პრემიერობის დროს გასხვისებული ქონების ოფიციალური ფასი 7 მილიონ 500 ათას ლარს შეადგენს, ხოლო მისი სავარაუდო საბაზრო ღირებულება 50 მილიონ ლარს აღემატება. მერის ეს გადაწყვეტილება ოპოზიციამ "ბოლშევიკურ ნაციონალიზაციას" შეადარა.*

დედაქალაქის საკუთრებაში არსებული ტერიტორიების უკანონოდ გასხვისების ფაქტებთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის კანონიერების დაცვის გენერალურმა ინსპექციამ შესაბამისი დასკვნები მოამზადა.

გაგრძელება A4 გვერდზე



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*გუშინ თბილისის მერმა ქალაქში გავრცელებული ხმების შესახებ დასმული კითხვა, რომელიც მის გადადგომას შეეხებოდა, უპასუხოდ დატოვა - "მე მგონი, ჩვენ არ ვართ "ღამის შოუს" დარბაზში ჩაწერაზე, რომ ამ კითხვას ვუპასუხო," - განაცხადა მან.*

# გაჭირვებული რაიონების გამგებლები შსს-ს ეხმარებიან

## ნებაყოფლობითი თუ იძულებითი ქველმოქმედება?

ეთერ მამულაშვილი

*ამ ცოტა ხნის წინათ, თითქმის ყველა რაიონის გამგებელმა მოულოდნელად შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის დახმარების სურვილი გამოთქვა. ზოგიერთმა მათგანმა ეს სურვილი სისრულეშიც მოიყვანა და საკუთარი რაიონის საგადასახადო შემოსავლებიდან ზოგმა - სოლიდური, ზოგმაც - მოკრძალებული ნაწილი, შსს-ს ანგარიშზე გადარიცხა. რამდენიმე რაიონის გამგებელი იმდენად გულმოწყალე აღმოჩნდა, რომ ცენტრალურ ბიუჯეტში მისთვის გათვალისწინებულ ტრანსფერტზე უარი განაცხადა და ის მთლიანად, ან მისი გარკვეული ნაწილი შსს-ს აჩუქა.*

იმ ქვეყნების პერიფერიებში, სადაც საბიუჯეტო შემოსავლების სიმწირე აშკარად არ იგრძნობა და პრობლემებიც მეტ-ნაკლებად მოგვარებულია ან მას ცენტრალური ხელისუფლება უვლის, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ძალოვანი უწყების დაფინანსებაში საკუთარი წვლილის შეტანა, ალბათ, დიდ გაკვირვებას არ გამოიწვევდა.

და რადგან ეს სიტუაცია ჩვენი ქვეყნისთვის ჯერ ძალიან უცხოა, რაიონის გამგებლების მიერ გაღებული ქველმოქმედება გარკვეულ ეჭვებს და, შესაბამისად, კითხვებსაც ლოგიკურად ბადებს. წლების განმავლობაში, როცა თითოეული რაიონის გამგებელი საკუთარი შემოსავლების სიმწირეზე წუწუნებდა და ადგილზე არსებული პრობლემების მოსაგვარებლად ფინანსთა სამინისტროს მუდმივად ტრანსფერტის მოცულობაზე ევაჭრებოდა, წელსაც, როცა რაიონებს მათზე დელეგირებული უფლება-მოვალეობების შესასრულებლად საკუთარი თანხები ისევ არ ჰყოფნით და დახმარებას ცენტრალურ ხელისუფლებას სთხოვენ, გამგებლების ზემოთ ხსენებული საქციელი ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს.

მართალია, ზოგადად ქვეყანაში საბიუჯეტო შემოსავლების სიჭარბე ამ ბოლო დროს საგრძნობი გახდა, თუმცა რაიონებში არსებული პრობლემების რაოდენობაზე ამას თითქმის გავლენა არ მოუხდენია. ხშირ შემთხვევაში საბიუჯეტო თანხები აქ ისევ არასაკმარისია. ასე მაგალითად: გორის რაიონის გამგებელი, რომელმაც საკუთარი ტრანსფერტიდან 100 ათასი ლარი შსს-ს შესწირა, დახმარებას ჯანდაცვის მინისტრს სთხოვს. საქმე ის არის, რომ რაიონის ბიუჯეტში, დიალიზის პროგრამისთვის გათვალისწინებული ხარჯები მხოლოდ 7 პაციენტისთვის არის საკმარისი, მაშინ, როცა გორში მსგავსი სახის დახმარებას, სულ მცირე, 13 საჭიროებს. გამგებლის ეს წერილი სამინისტროსგან დღემდე უპასუხოდ არის დატოვებული.

გულმოწყალე გამგებლებს შორის ყველაზე გულუხვი ფოთის რაიონის გამგებელი აღმოჩნდა. მან საკუთარი რაიონის შემოსავლებიდან შსს-ს 400 ათასი ლარი აჩუქა. ფოთის შემდეგ, ყველაზე ბევრი - 200 ათასი ლარი, ვინც ამ ძალოვან უწყებას შემოსავლებიდან შესწირა, ქუთაისი იყო.

გაგრძელება A6 გვერდზე

# საპარლამენტო თამაშები - "სუსტი რგოლი" და "ოტსტუპნიკობანა"

გიორგი ასანიშვილი

*პარლამენტმა "სუსტი რგოლი" გამოავლინა. ეს არის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი გომიაშვილი. შვეიცარიაში საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად მისი დანიშვნის საკითხი პარლამენტმა გუშინ დღის წესრიგიდან ამოიღო. ცნობილია "ძლიერი რგოლიც" - ეუთო-ში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად შეთავაზებული ვიქტორ დოლიძის კანდიდატურა დეპუტატებმა, 134 ხმით, ერთსულოვნად მოიწონეს.*

გიორგი გომიაშვილზე "განაწყენების" ნამდვილ მიზეზებზე საუბარს საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები თავს არიდებენ. მისი კანდიდატურის განხილვის გადადების საბაბად სახელდება ის, რომ პარლამენტის თავმჯდომარის სტრასბურგში ვიზიტს დაემთხვა ევროკავშირში საქართველოს ელჩის გამოწვევა. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის "შერისხვას" დეპუტატები იმითაც ამართლებენ,

გაგრძელება A3 გვერდზე



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*პოლიტიკურ თამაშებთან ერთად, გუშინ პარლამენტი კანონშემოქმედებითი საქმიანობითაც იყო დაკავებული.*

# წალკა ისევ დაავიწყდათ?

მაია მოსიაშვილი

წალკაში ჩასახლებულებსა და მკვიდრ მოსახლეობას შორის დაპირისპირება გრძელდება. მათი ბოლო გახმაურებული შეტაკების შემდეგ ცენტრალური ხელისუფლება თითქოს გააქტიურდა და წალკაში არსებული პრობლემების მოგვარება დაიწყო. დღეისთვის ცნობილი ხდება, რომ იქ რეალურად თითქმის არაფერი შეცლილა, კვლავ ჭიანურდება ჩასახლებულებისთვის ბინების შეძენისა და მიწის გადაცემის პროცესი, ეს ყველაფერი კი მოსახლეობას შორის დაპირისპირების გამწვავებას იწვევს.

**"არის ერთეული ფაქტები, როცა ჩამოსახლებულები შეიჭრნენ ადგილობრივი არენდატორის მიწაზე და მისი დაკავება ძალის გამოყენებით სცადეს. მთავარი პრობლემა ისაა, რომ ჩამოსახლებული 2000 ოჯახიდან მხოლოდ 170-ს შეუძინეს სახლი. მათ ნასყიდობის ხელშეკრულებაში არ არის აღნიშნული, რომ სახლთან ერთად უნდა გადაეცეთ მიწის ნაკვეთიც, ამიტომ უმეტესობა მიწის გარეშეა დარჩენილი. დაახლოებით 1800 ოჯახს არც სახლი აქვს დაკანონებული და, შესაბამისად, არც მიწა. ადგილობრივ ხელისუფლებას არ აქვს უფლება, რაიონიდან წლების წინ სხვა სახელმწიფოში წასული ადამიანების კუთვნილი მიწა ჩასახლებულებს დაურიგოს. ასევე არ შეიძლება, საარენდო მიწის ნაკვეთებზე ხელშეკრულების გაუქმება, თუ არენდატორი ხელშეკრულებას არ არღვევს. დარჩა მხოლოდ სარეზერვო მიწები, რომელიც წალკაში არის, მაგრამ ის წლობით დაუმუშავებელი ყამირია და მის მიღებაზე მოსახლეობა უარს აცხადებს,"** - განუცხადა "24 საათს" წალკის გამგებელმა მიხეილ ცქიტიშვილმა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# სეპარატისტებმა სახელმწიფო კომპანია "აფხაზხლებ"-ის მენეჯმენტი დაითხოვეს

ზურაბ აფხაზავა
*სოხუმიდან*

*ბოლოს და ბოლოს, ხელისუფლებამ გადაწყვიტა, სახელმწიფო კომპანია "აფხაზხლებ"-თან დაკავშირებით რადიკალური ნაბიჯები გადადგას. კომპანიის გენერალური დირექტორის ამირან ხარჩილავასა და მისი მოადგილის კონსტანტინ არძინბას თანამდებობებიდან გათავისუფლება გახლავთ იმ ხანგრძლივი წინააღმდეგობრივი პროცესის დასასრული, რაც სახელმწიფო მონოპოლისტსა და კერძო საცხობებს შორის მიმდინარეობდა.*

თუმცა, ჯერჯერობით, კერძო პურისმცხობელი კომპანიების მეპატრონეებს სასიხარულო მხოლოდ ისღა აქვთ, რომ პურისა და ფქვილის აფხაზური ბაზრის მონოპოლიზაციის ლობისტები თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

ამ საკადრო გადაწყვეტილებების გარდა, მთავრობამ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო - ვიდრე სახელმწიფო კომპანია "აფხაზხლებ"-ის საწყობებში არსებული 4 ათას ტონაზე მეტი ნედლეული არ გაიყიდება, პურის იმპორტი აფხაზეთში დროებით აიკრძალება.

კერძო პურისმცხობელების ერთადერთ შეღავათად მხოლოდ ის შეიძლება მივიჩნიოთ, რომ პურის მარცვლის ფასი საგრძნობლად დაეცა. ერთი კილოგრამი პურის მარცვალი დოლარის მეოთხედი ღირება, აქამდე კი მისი ფასი 35 ცენტზე მეტი იყო.

გაგრძელება A2 გვერდზე



დღეს ყოველწლიური ლიტერატურული პრემიის "საბას" ნომინანტების დაჯილდოება გაიმართება


იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება. A7


## ამინდი

| | 21/05 | 22/05 | 23/05 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 26 | 26 | 30 |
| ქუთაისი | 30 | 32 | 32 |
| ბათუმი | 27 | 27 | 30 |
| სოხუმი | 30 | 32 | 30 |
| ფოთი | 30 | 31 | 32 |
| თელავი | 26 | 26 | 30 |
| ზუგდიდი | 33 | 36 | 34 |
| გორი | 23 | 23 | 26 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8249 |
| ევრო | 2.3075 |
| ბირჟანქა სტერლ. | 3.3551 |
| რუბლი | 0.0652 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | ტენდერი | B6 |
| სამართალი | A7 | TV პროგრამა | B7 |
| ფოსტა | A8 | სხვადასხვა | B8 |

# მარნეულში ნაციონალების ოფისი გაქურდეს

მაია მოსიაშვილი

გუშინ დილით ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მარნეულის რაიონული ორგანიზაციის თანამშრომლებს ოფისის კარი გატეხილი დახვდათ. "ნაციონალების" თქმით, ოთახიდან დაიკარგა რაიონის 6 საკრებულოდან - სადახლო, დემიაგიურარხი, ალგეთი, შულავერი და კასუნდა (სულ 28 სოფელი) - შემოსული საჩივრები, სადაც ასობით ადამიანი პრეზიდენტის საჩუქრის - დიზელის საწვავის დარიგების დროს დაშვებულ დარღვევებზე წერდა. კაბინეტიდან გაქრა ვიდეო-კასეტაც, სადაც დაფიქსირებული იყო ამავე სახის დარღვევები კუტლიარის საკრებულოში. იმის გამო, რომ ოფისიდან სხვა არაფერი დაკარგულა და მძარცველებმა ხელუხლებლად დატოვეს ტელევიზორი და სხვა ღირებული ნივთები, მარნეულელი "ნაციონალები" ვარაუდობენ, რომ ქურდები სწორედ ნივთმტკიცებების გასაქრობად მივიდნენ. მათი თქმით, მსგავს ქმედებას ადრეც ჰქონდა ადგილი, თუმცა მაშინ გასაქურდად მისული პიროვნების დაკავებაც მოახერხეს და მისთვის ახსნა-განმარტებითი ბარათის ჩამორთმევაც, სადაც ის ადამიანი შემკვეთის ვინაობას ასახელებს. გუშინ მათ ეს ბარათი ადგილობრივ პოლიციას გადასცეს, სადაც ქურდობის ფაქტზე მოკვლევა უკვე დაწყებულია.

# ჯარის ალტერნატივა: საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა

*"იეღოველებზე ლაპარაკობთ?" - დღესაც გაიგონებ ასეთ განმარტებას მათზე, ვინც ალტერნატიულ შრომით სამსახურს იხდიან. იეჰოველები ერთ-ერთი პირველები იყვნენ, რომელთაც გამოიყენეს საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლება სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების შესახებ და უარი განაცხადეს იარაღით ხელში სამხედრო ვალდებულების მოხდაზე. დღეისთვის ალტერნატიულ შრომით სამსახურს 200-მდე ადამიანი იხდის. მათგან ორი მესამედი რწმენისა და აღმსარებლობის მოტივით.*

მაია კობახიძე

24 წლის ბესო გინტური იეჰოვას მოწმეა. დაამთავრა ნიკოლაძის სასწავლებელი, სამხატვრო აკადემიის კინო-ტელე მხატვრობის ფაკულტეტის მეოთხე კურსიდან გაიწვიეს ჯარში. გამწვევ კომისიაში განაცხადა, რომ მას ქრისტიანული მორალი არ აძლევს უფლებას, იარაღი აიღოს ხელში: "იეჰოვას მოწმეები ომის მომხრეები არ არიან". თავდაპირველად, გამწვევ კომისიაში გააფრთხილეს, რომ თუ ჯარში არ წავა, მომავალში სახელმწიფო სამსახურში თანამდებობაზე ველარ დაინიშნება. მაგრამ, როგორც მხატვარი, ბესო ისედაც არ აპირებს საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავებას. ახლა იგი ოთხი თვეა, რაც იზოტოპების ინსტიტუტში დამხმარე მუშაა. ალტერნატიულ შრომით სამსახურს გადის მისი ტყუპისცალიც, ხოლო ბესოს უფროსი ძმა არ არის იეჰოვას მოწმე და თავის დროზე ჯარშიც იმსახურა.

ალტერნატიული შრომითი სამსახური არსებობს იქ, სადაც მოქმედებს სავალდებულო სამხედრო სამსახური. იგი ჯარის ალტერნატივაა. მისი არსებობა ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებების აღიარების ერთ-ერთი მაჩვენებელია. საქართველოში პირველად კანონი ამ სამსახურის შესახებ 1991 წელს მიიღეს. დღეს მოქმედი კანონი 1997 წელს შევიდა ძალაში. 2001 წელს შეიქმნა არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახურის დეპარტამენტი, რომელიც ამჟამად შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაშია.

ალტერნატიული შრომითი სამსახური საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომითი სამსახურია. "ბრძოლის ველს" აქ წარმოადგენს: საავადმყოფოები, მოხუცებულთა და ობოლთა სახლები, დასუფთავების სამსახურები და სხვა დაწესებულებები, არაპრესტიჟული სამუშაო ადგილებით. კანონის თანახმად, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვეულმა თავის საცხოვრებელთან ახლოს უნდა იმუშავოს. მისი ხელფასი ქვეყანაში არსებული მინიმალური ხელფასის ტოლია, სამსახურის მოხდის ვადა ჯარში მსახურების ვადაზე ექვსი თვით მეტია.

შარშან, სახალხო დამცველის ოფისში, ევროკავშირის დაფინანსებით, შემუშავდა კანონპროექტი არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ. წელს ეს კანონპროექტი პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში განხილვისას დაიწუნეს. კანონპროექტის შექმნის პროცესში გარკვეული პერიოდი მონაწილეობდა არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის დეპარტამენტის ახლანდელი უფროსი იოსებ ბარნაბიშვილი. მისი აზრით, "კანონპროექტი არაკვალიფიციურად შემუშავდა. არ მომხდარა დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებთან შეთანხმება".

კანონპროექტის ავტორების მიზანია, კიდევ უფრო მეტად დაიცვან იმათი უფლებები, ვინც ალტერნატიულ სამსახურს იხდიან; მაგალითად, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მათი მიზანია ალტერნატიული შრომითი სამსახური სამხედრო ვალდებულების მოხდის თანაბარმნიშვნელოვან ფორმად ჩაითვალოს. ამასთან, კანონპროექტის ავტორები შეეცდებიან, ეკონომიური თვალსაზრისით ეს სამსახური ქვეყნისთვის უფრო ეფექტური გახდეს.

არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახურის დეპარტამენტი არ ფლობს სამუშაო ადგილების მონაცემთა ბაზას. სამუშაოს გამოძებნა მაშინ იწყება, როცა იწყება ჯარში გაწვევა. "რთულია სამუშაო ადგილების მოძიება," - აღნიშნავენ დეპარტამენტში. იოსებ ბარნაბიშვილი მუშაობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე. მისი მიზანია, რაც შეიძლება საინტერესო და ეფექტური გახდეს ეს სამსახური, მაგრამ იმასაც აღნიშნავს, რომ დეპარტამენტი სარეკლამო სააგენტო არ არის.

გერმანიაში ალტერნატიულ შრომით სამსახურზე (ცივილდინსტი) მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის სოციალური მომსახურების სისტემა. ამ სისტემაში დიდი ადგილი უკავია კათოლიკური და პროტესტანტული ეკლესიების წიაღში შექნილ გაერთიანებებს. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას საყვედურობენ ხოლმე პასიურობას სოციალური ხასიათის პროექტების განხორციელებისას, მაგრამ სახალხო დამცველი სოზარ სუბარი აღნიშნავს: "ეკლესიაში ვითარება თანდათან იცვლება, ეკლესია აქტიურდება, მას აქვს ხალხის ნდობა, ჰყავს დიდი მრევლი, შეუძლია განახორციელოს მნიშვნელოვანი სოციალური პროექტები და მასში ჩართოს ალტერნატიული შრომითი სამსახურის მოხდის მსურველებიც".

რამდენიმე დღის წინ დეპარტამენტს გამწვევმა კომისიამ 18 წლის მიშა ხორაშვილი გაუგზავნა. იგი მართლმადიდებელი პაციფისტია და მზად არის, ქვეყნის წინაშე ვალი სხვაგვარად მოიხადოს. სავარაუდოდ, მას ორი წლით ბოტანიკურ ბაღში მებაღედ მუშაობა მოუწევს.

# "არც ერთი ნაბიჯი უკან!"



ინტერპრესი

ტანკების დრო მოკვდა - ამ ლოზუნგით სტუდენტებმა აქცია გამართეს რუსეთის საელჩოსთან.

ქართველი სტუდენტები რუსეთის ხელისუფლებისგან საქართველოში არსებული სამხედრო რუსული ბაზების გაყვანას კატეგორიულად მოითხოვენ.

გუშინ, საქართველოში რუსეთის საელჩოს წინ, სტუდენტური მოძრაობების "სტუდენტური კლუბისა" და "რეფორმატორების" აქტივისტებმა საქართველოში რუსული ბაზების სიმბოლო - ფენოპლასტისგან დამზადებული ტანკი დაამსხვრიეს.

"რეფორმატორების" ერთ-ერთი ლიდერის გიორგი რეხვიაშვილის განმარტებით, გუშინდელი აქციით ქართველმა სტუდენტებმა საქართველოში რუსულ ბაზებთან დაკავშირებით თავისი დამოკიდებულება დააფიქსირეს.

"რუსულ ბაზებს საქართველოში აღარაფერი ესაქმება." - განაცხადა რეხვიაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ რუსეთის ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს როგორც ქართველი ხალხის მოთხოვნა, ასევე საერთაშორისო რეალობა.

მისივე თქმით, სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული "სტუდენტური კლუბი" და საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედი "რეფორმატორები" საქართველოს ხელისუფლებისგან კატეგორიულად მოითხოვენ საქართველოს პარლამენტის მიერ 10 მარტს მიღებული დადგენილების შესრულებას, რომელიც საქართველოდან რუსული ბაზების გაყვანას ეხება.

"არც ერთი ნაბიჯი უკან!" - ასეთია სტუდენტების მოთხოვნა საქართველოს ხელისუფლებისადმი.

***ინტერ-პრესი***

# სეპარატისტებმა სახელმწიფო კომპანია "აფხაზხლებ"-ის მენეჯმენტი დაითხოვეს

პირველი გვერდიდან

როგორც მთავრობის ეკონომიკური მრჩეველები მიიჩნევენ, პურზე ფასების ასეთი დაცემა სახელმწიფო ბიუჯეტს შემოსავლების გარეშე დატოვებს. ამ მოსაზრებას ეთანხმება ვიცე-პრემიერი ბესლან კუბრავაც. თუმცა, მთავრობა მიიჩნევს, რომ უმჯობესია, ნედლეული უფრო დაბალ ფასში გაყიდოს, ვიდრე გაუფუჭდეს.

"აფხაზხლებ"-ის ახალ გენერალურ დირექტორად ნუგზარ აგრბა დაინიშნა, რომელსაც ამ თანამდებობის გამო, დეპუტატის მანდატთან დამშვიდობება მოუწევს. წინასაარჩევნო კამპანიის დროს აგრბა ბაგაფშის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის მოადგილე იყო. არჩევნების შემდეგ მან ჯერ უარი თქვა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის თანამდებობაზე, მერე კი - გადასახადებისა და მოსაკრებლების მინისტრობაზე.

აგრბას მოსვლის შემდეგ, არარენტაბელურ კომპანია "აფხაზხლებ"-ში დიდი რეფორმებია მოსალოდნელი. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ანქვაბმა უკვე განაცხადა. თუმცა, ანქვაბს არ დაუზუსტებია, კონკრეტულად რა რეფორმებზეა საუბარი. მისი თქმით, გადასაწყვეტი იქნება, თუ რა ფორმით გააგრძელებს კომპანია ფუნქციონირებას. როგორც მთავრობაში მიაჩნიათ, შესაძლოა "აფხაზხლებ"-ის პრივატიზება მოხდეს. ეკონომისტები აცხადებენ, რომ მარცვლეულის ბაზარზე ამ კომპანიის, როგორც მონოპოლისტის შენარჩუნება, არ ღირს, რადგან იგი აფხაზეთში გამოშვებული პურპროდუქტების მხოლოდ მესამედს აწარმოებს. და თანაც, ამ კომპანიის საწარმოო სიმძლავრეთა უმრავლესობა უკვე მოძველებულია. ამასთან, კერძო პურისმცხობელ კომპანიებს მთავრობაში კარგი ლობისტები ჰყავთ, რომლებიც აფხაზეთის პურის ბაზარზე "აფხაზხლებ"-ის გავლენის შესუსტებას უეჭველად მიაღწევენ.

# ვაქცინაციის პროცესზე პასუხისმგებელი სახელმწიფოა

*შარშანდელთან შედარებით, ბავშვთა იმუნიზაციის პროცესმა 7 პროცენტით იკლო. ძირითად მიზეზს ვაქცინაციის შედეგად გამოწვეული ლეტალური შემთხვევებითა და გართულებებით დაშინებული მშობლები წარმოადგენენ. უფროს თაობას იმუნიზაციის სურვილს ხშირად ექიმების არაპროფესიონალიზმი და ფულის გამოძალვაც აკარგვინებს.*

ირმა კახურაშვილი

საქართველოში ბავშვთა გეგმიური იმუნიზაცია 2003 წლიდან ე.წ. პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის მიხედვით ხორციელდება. ბევრმა მშობელმა არც იცის, რომ ტუბერკულოზის, დიფტერიის, ყივანახველას, ტეტანუსის, პოლიომიელიტის, ყბაყურას, წითურას, წითელასა და "B" ჰეპატიტის საწინააღმდეგო აცრები უფასოა. ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის გიგი წერეთლის განცხადებით, საქართველოში შემოტანილი ყველა სახის ვაქცინა სერტიფიცირებულია, თუმცა არსებობს გვერდითი მოვლენების მცირე რისკიც, რომელიც არა მხოლოდ ვაქცინის ვარგისიანობაზეა დამოკიდებული. **"100-პროცენტიან გარანტიას არც ექიმი იძლევა, შეუძლებელია ტექნიკურ გადაცდომების უარყოფაც. მეორე მხრივ, აცრების უგულებელყოფამ 90-იანი წლების დასაწყისში ქვეყანას საკმარისზე მეტი უბედურება მოუტანა. მაშინ პოლეომიელიტისა და დიფტერიის ეპიდემიამ ბავშვებიც იმსხვერპლა,"** - აცხადებს წერეთელი.

**"აცრის შემდგომი გართულების რისკი იმდენად უმნიშვნელოა, რომ ვაქცინაციის აუცილებლობაში ეჭვი არავის უნდა ეპარებოდეს. ყოველწლიურად ქვეყანაში 700 ათასამდე აცრა კეთდება, აქედან 500 ათასი - ინექციური გზით. ნემსის ჩხვლეტით გამოწვეული პრობლემა (მაგალითად, მხრის ნერვის წნულის დაზიანება) არც ექიმის და არც ვაქცინის ბრალია. სავალალო შემთხვევა საქართველოში რამდენიმე წელიწადში ერთხელ ხდება. საერთო გვერდითი მოვლენები კი პაციენტთა არაუმეტეს 10 პროცენტს აღენიშნება. ოფიციალური ინფორმაციით, აცრების შედეგად გართულება 2003 წელს - შვიდს, 2004 წელს კი - მხოლოდ ორ ადამიანს ჰქონდა,"** - გვითხრა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორმა პაატა იმნაძემ.

მიუხედავად ამისა, მოსახლეობა აცრებს მაინც დიდი სიფრთხილით ეკიდება, თუმცა ნებისმიერი ასაცრელი მასალა, რომელიც დღეს საქართველოში შემოდის, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ არის სერტიფიცირებული, მის შესყიდვაზე რეკომენდაციებს კი გაერო გასცემს.

ამჟამად, ვაქცინების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ჯანდაცვის, შრომისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტრო იღებს და ყველა მშობელს მოუწოდებს, ბავშვი დროულად აცრას. წინააღმდეგ შემთხვევაში, რამდენიმე წლის შემდეგ, შესაძლებელია, საქართველო რომელიმე დაავადების ეპიდემიის საფრთხის ქვეშ აღმოჩნდეს.

ცნობილი პედიატრის ქეთევან ნემსაძის განცხადებით, ყველა მშობელს აქვს უფლება იცოდეს, რა ვაქცინით ცრიან მის შვილს და რა შესაძლო გართულებები მოჰყვება მას. აცრების ჩამტარებელი ყველა სამედიცინო პუნქტი უნდა მარაგდებოდეს ანტიშოკური პრეპარატებით, აცრის შემდეგ კი, მინიმუმ, ნახევარი საათით ბავშვი სამედიცინო დაწესებულებაში უნდა იმყოფებოდეს. სახელმწიფო ხაზით შემოტანილი ყველა ვაქცინა უფასოა. რაც შეეხება კომერციულ სტრუქტურებს, მათ მიერ შემოტანილი ვაქცინების ხარისხს სახელმწიფო მკაცრად უნდა აკონტროლებდეს.

# აქცია ფოთში

ქეთინო ჯაკობია
*ფოთიდან*

19 მაისს ფოთის პორტის ადმინისტრაციული შენობის წინ, ნავსადგურის ნავთობტერმინალის მუშებმა საპროტესტო აქცია მოაწყვეს. აქციის მონაწილეთა განცხადებით, მიუხედავად არსებული ერთწლიანი ხელშეკრულების ვადაგაუსვლელობისა, ნავსადგურის ხელმძღვანელობამ მათთან ახალი ხელშეკრულება გააფორმა, რაც მუშების შრომის ბირჟაზე გადაყვანას ითვალისწინებს და სამსახურიდან გათავისუფლებასთან ასოცირდება. სიტუაციაში გარკვევის მიზნით, რამდენიმე დღის წინ, მუშებმა პორტის ადმინისტრაციასთან შეხვედრა ითხოვეს, საპროტესტო აქცია კი თხოვნის უპასუხოდ დატოვებამ განაპირობა.

ანგული ლომაძე, ნავთობტერმინალის მუშა: **"არსებულ ხელშეკრულებას ვადა მიმდინარე წლის ბოლოს უმთავრდება. ახლა ახალი გაგვაცნეს, შრომის ბირჟაზე გადაყვანასთან დაკავშირებით, რაც ნიშნავს, რომ ნავსადგურიდან ჩვენი ნებით წავიდეთ, თუმცა, ეს ნებაყოფლობითი კი არა, იძულებითი გათავისუფლებაა".**

ზაურ ნემსაია, ნავთობტერმინალის მუშა: **"ახალი ხელშეკრულება იგივეა, რაც სამუშაო დავტოვოთ და სახლებში წავიდეთ, გემი დილის 4 საათზე რომ შემოვა ნავსადგურში, მე რა, ტელეფონით გამომიძახებენ?!"**

შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგურის" გენერალური დირექტორი თემურ მიმინოშვილი აქციის დღეს ფოთში არ იმყოფებოდა. მიმინოშვილის მოადგილემ თემურ გაბუნიამ პრესასთან კომენტარი მხოლოდ აქციის დაშლის შემდეგ გააკეთა. **"მათ არავინ ათავისუფლებს და სამუშაოზე გრაფიკის შესაბამისად დასაქმდებიან. ნავსადგური შეუსრულებელი სამუშაოსთვის მუშას ანაზღაურებას არ გადაუხდის. როცა გემი შემოვა, მაშინ გამოვიძახებთ,"** - განმარტავს გაბუნია.

ოფიციალური ბრძანება ნავთობტერმინალზე მომუშავეთა გათავისუფლების თაობაზე ჯერ არ არსებობს. თუკი ნავსადგურში დაბრუნების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, მუშები ნავთობტერმინალის პარალიზებით იმუქრებიან.

# წალკა ისევ დაავიწყდათ?

პირველი გვერდიდან

ადგილობრივი ხელისუფლება მკვიდრ მოსახლეობასთან ზეპირ მოლაპარაკებას აწარმოებს, რათა მათ ჩასახლებულებს დროებით დაუთმონ მიწის ნაკვეთები. გამგებელი ამბობს, რომ ეს არის დროებითი გამოსავალი მანამდე, სანამ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ჩამოსახლებულთათვის სახლებსა და მასზე მიმაგრებულ მიწებს შეიძენს. ეკომიგრანტები რაიონის 24 სოფელში ცხოვრობენ. ადგილობრივი ხელისუფლება ყველგან ზეპირი მოლაპარაკებების წარმოებას ვერ ასწრებს, ამიტომ ადგილობრივი არენდატორების მიწებზე ჩასახლებულთა თვითნებურმა შეჭრებმა იმატა. ცქიტიშვილის ინფორმაციით, იმ ხალხის 80 პროცენტი, ვინც შეჭრებს ახორციელებს, ეკომიგრანტი არ არის და წალკაში საკუთარი ინიციატივით არის ჩასული.

## ორი სიტყვით

**სოხუმი.** აფხაზეთში რუსეთიდან ჩავიდა სპეციალური ჯგუფი, რომელიც სეპარატისტული ხელისუფლების შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად მოსახლეობაში რუსულ პასპორტებს არიგებს.

პასპორტების დარიგება 19 მაისს, გამთენიისას, გალის რაიონის დაბალი ზონის სოფლებსა და ოჩამჩირის რაიონში დაიწყო.

რუსეთის სპეცჯგუფისა და აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები მოსახლეობას, რუსული პასპორტების სანაცვლოდ, პრივილეგიებს ჰპირდებიან.

დარიგებულ პასპორტებში მითითებულია, რომ მისი მფლობელი რუსეთის მოქალაქეა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შსს-ს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე ბადრი ბიწაძე 22-25 მაისს მონაწილეობას მიიღებს უნგრეთში დაგეგმილ სასაზღვრო პოლიციის მეცამეტე საერთაშორისო კონფერენციაში. კონფერენციის ფარგლებში შედგება ორმხრივი შეხვედრები პოლონეთის, რუმინეთის და ბულგარეთის სასაზღვრო უწყებების დელეგაციებთან. ხელი მოეწერება საქართველო-ბულგარეთის სასაზღვრო უწყებებს შორის 2005-2006 წლებში თანამშრომლობის ოქმს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "თბილგაზის" გენერალური დირექტორი დავით მორჩილაძე ივნისის დასაწყისში ავსტრიის დედაქალაქში - ვენაში გაემგზავრება.

"თბილგაზის" სამკაციანი დელეგაცია, რომელსაც თავად მორჩილაძე უხელმძღვანელებს, ვენაში კომპანია "ვენაგაზის" ხელმძღვანელობას შეხვდება. იგეგმება, აგრეთვე, შეხვედრა ვენის საგარეო საქმეთა მინისტრთანაც. მოლაპარაკებები "თბილგაზის" რეაბილიტაციის საკითხებს შეეხება. როგორც მორჩილაძემ აღნიშნა, კომპანია "თბილგაზს" "ვენაგაზთან" უკვე აქვს საქმიანი ურთიერთობები. კერძოდ, "ვენაგაზის" სპეციალისტები მას სადისტრიბუციო ქსელის, ანუ გაზის მილების გამოკვლევაში ეხმარებიან. ეს ღონისძიება არსებული დაზიანებების დადგენასა და ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობის განსაზღვრას ითვალისწინებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თეირანი.** თეირანში კასპიის სამართლებრივი სტატუსის კონვენციის შემუშავების მიზნით, სპეციალური მუშა ჯგუფის მეჩვიდმეტე სხდომა გაიმართა.

მასში ხუთივე კასპიისპირა სახელმწიფოს პრეზიდენტების სპეციალური წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. აზერბაიჯანის დელეგაციას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხალაფ ხალაფოვი ხელმძღვანელობდა.

ირანის სპეციალურმა წარმომადგენელმა მეხდი საფარიმ განაცხადა, რომ ირანი კასპიის მილიტარიზაციისა და მის ფსკერზე ნავთობსადენის გატარების წინააღმდეგია. შესაბამისად. ირანის დელეგაციამ პროტესტი გამოთქვა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენთან ყაზახური ნავთობის მიერთებასთან დაკავშირებით. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების ბედი, რომლებმაც საქმიანობა მიმდინარე წლის იანვრიდან შეწყვიტეს, სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში გაირკვევა. როგორც ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სააგენტოს თავმჯდომარემ ანდრო კოტეტიშვილმა "მედიანიუსს" განუცხადა, 25 მაისს სააგენტოში განიხილება იმ შვიდი ქარხნის საკითხი, რომლებიც საქმიანობის ნებართვებზე ვადის გასვლის გამო, გაჩერებულნი არიან. ეს ქარხნებია: შპს "ვივა", შპს "გერო", შპს "განოილი", შპს "თერჯოლა-ოილი", შპს "ვირტუოზი", შპს "ალიანსი" და შპს "ვაზოილი".

მათ საქმიანობის ლიცენზიებზე ვადა მიმდინარე წლის სექტემბერ-ოქტომბერში გასდით, ხოლო საქმიანობის ნებართვაზე ვადა გასული წლის ბოლოს ამოეწურათ. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ალიკ კოზაევი გაათავისუფლეს

სამხრეთ ოსეთში მცხოვრები სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტი ალიკ კოზაევი, რომელიც უკანასკნელი 10 თვის განმავლობაში ცხინვალის ციხეში იმყოფებოდა, გუშინ გაათავისუფლეს.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. **"მე გამოვხატე ჩემი ბედნიერება და მინდოდა ეს ამბავი მთელი საქართველოსთვის, მსოფლიოსთვის მეცნობებინა,"** - აღნიშნა პრეზიდენტმა და მიუთითა, რომ კოზაევის გათავისუფლება, **"რომელიც ახალი დროის გმირია, საქართველოს ხელისუფლებისა და საზოგადოებრიობის ძალისხმევით მოხდა".**

სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ალიკ კოზაევი ცხინვალის დე ფაქტო მთავრობის მილიციამ ზაფხულში ოსი ეროვნების ბავშვების აჭარაში დასასვენებლად გამგზავრების ორგანიზებისთვის დააპატიმრა.

პრეზიდენტის პრესსპიკერის მოადგილის ალანა გაგლოევას ინფორმაციით, კოზაევის გათავისუფლების დეტალები ჯერჯერობით არ ხმაურდება და მასმედიისთვის ის მოგვიანებით გახდება ცნობილი. ცნობილია მხოლოდ ის ფაქტი, რომ ალიკ კოზაევი გარკვეული ხნის განმავლობაში თბილისში დარჩება.

*24 საათი*

# "სტაბილურობა და უსაფრთხოება სამხრეთ კავკასიაში"

ბაქოში გუშინ დაიწყო ორდღიანი კონფერენცია "სტაბილურობა და უსაფრთხოება სამხრეთ კავკასიაში", რომელშიც მონაწილეობას იღებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კონსტანტინე ქავთარაძე.

კონფერენცია სამ ძირითად სესიას მოიცავს. პირველ სესიაზე - "უსაფრთხოება სამხრეთ კავკასიაში: შესაძლებლობები და პერსპექტივები", მოისმენენ მოხსენებებს თემებზე: "სამხრეთ კავკასიის სტრატეგიული მნიშვნელობა" და "სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოება - ახალი მიდგომები".

მეორე სესიაზე წაიკითხავენ მოხსენებებს: "ხედვა გარედან - მეტოქეობა და პარტნიორობა", "სამხრეთ კავკასიის ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში მომავალი გაერთიანება". წარმოდგენილი იქნება თემები: "რუსეთის უსაფრთხოება სამხრეთ კავკასიაში და საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის თანამშრომლობის პერსპექტივები", "უსაფრთხოება შავი ზღვის რეგიონსა და სამხრეთ კავკასიაში".

მესამე, დამამთავრებელ სესიაზე განიხილავენ თემებს: "რეფორმები სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების სექტორში", "რეფორმები, როგორც დემოკრატიული პროცესების ნაწილი", "უსაფრთხოების სექტორში რეფორმების გამოცდილების გადაცემა" და "რეფორმები უსაფრთხოების სექტორში - მაკედონიის გამოცდილება".

*პრაიმ-ნიუსი*

# ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მთავრობის ინიციატივას აპროტესტებს

არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" მთავრობის ინიციატივას აპროტესტებს, რომელიც სახელმწიფო სიმბოლიკის არასწორი გამოყენებისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესებას გულისხმობს.

როგორც ორგანიზაციაში განმარტავენ, კანონპროექტი პიროვნული თავისუფლებების შეზღუდვის მცდელობას წარმოადგენს, ვინაიდან სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენება, მათ შორის, პროტესტის გამოხატვის დროს, პიროვნული თავისუფლებაა და დაცულია საერთაშორისო სამართლითა და საქართველოს კონსტიტუციით.

"თუ საქართველოს პარლამენტს აქვს სურვილი, რომ საქართველოს სახელმწიფო ლიბერალურ დემოკრატიულ ღირებულებებს ეფუძნებოდეს, მან წარმოდგენილ წინადადებას მხარი არ უნდა დაუჭიროს," - აცხადებენ იურისტთა ასოციაციაში.

*ინტერ-პრესი*

# "საბა" - 2005

## ყოველწლიური ლიტერატურული პრემიის ნომინანტები

### საუკეთესო პროზაული კრებული

| | ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა |
|---|---|---|---|
| 1 | არჩილ ქიქოძე | "სოფელ ქვეყანა`, | "საარი" |
| 2 | ნუგზარ შატაიძე | "ნოემბრის წვიმა" | |
| 3 | ირმა მალაციძე | "ფატია" | "სიესტა" |

### საუკეთესო რომანი

| | ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა |
|---|---|---|---|
| 1 | ზაზა ბურჭულაძე | "სახარება ვირისა" | "ლოგოს პრესი" |
| 2 | ირაკლი სამსონაძე | "ყურთბალიში" | "არეტე" |
| 3 | აკა მორჩილაძე | "სანტა ესპერანსა" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" |
| 4 | ლაშა ბუღაძე | "ბოლო ზარი" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" |
| 5 | ბესო ხვედელიძე | "გაფრინდი ნელა" | "დიოგენე" |

### საუკეთესო პოეტური კრებული

| | ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა |
|---|---|---|---|
| 1 | რუსუდან კაიშაური | "ცოცხების გადაფრენა" | "კავკასიური სახლი" |
| 2 | ლელა სამნიაშვილი | "გველის წელიწადი" | "კავკასიური სახლი" |
| 3 | შოთა იათაშვილი | "ფანქარი ცაში" | "კავკასიური სახლი" |
| 4 | გიორგი ლობჟანიძე | "ბაბუაწვერების თაიგული" | "კავკასიური სახლი" |
| 5 | დათო მაღრაძე | SALVE | საარი |
| 6 | ანდრო ბუაჩიძე | "ელნათურები" | "მერანი" |

### საუკეთესო დებიუტი

| | ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა |
|---|---|---|---|
| 1 | ნესტან კვინიკაძე | "ისპაჰანის ბულბულები" | "არეტე" |
| 2 | გელა ჩქვანავა | "კოლორიტები" | "დიოგენე" |
| 3 | მარიანა ნანობაშვილი | "არიადნას გორგალი" | "მერანი" |

### საუკეთესო თარგმანი

| | ავტორი | სახელწოდება | მთარგმნელი | გამომცემლობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | არისტოფანე | "კომედიები" | ლ. ბერძენიშვილი | "ლოგოს პრესი" |
| 2 | მარკ ტვენი | "ტომ სოიერის თავგადასავალი" | ა. ლეკიაშვილი | "არეტე" |
| 3 | დ.ჰ. ლორენსი | "ესეები თანამედროვე ამერიკული ლიტერატურის შესახებ" | თ. კოტრიკაძე | "კავკასიური სახლი" |
| 4 | ჯორჯ ორუელი | "1984" | დავით აკრიანი | "სიესტა" |
| 5 | გოლი თარაყი | "სახლი ზეცაში" | მზია ბურჯანაძე თეა შურღაია | "დიოგენე" |
| 6 | რუბენ გალიეგო | "თეთრით შავზე" | ნინო ბექიშვილი | "დიოგენე" |
| 7 | რჩეული თარგმანები | "ვარსკვლავთა ჩრდილში მაღალთა თანა" | ჯ. აჯიაშვილი | |

### საუკეთესო პიესა

| | ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა |
|---|---|---|---|
| 1 | ირაკლი სამსონაძე | "ბებო მარიამი" | ალმანახი "დრამატურგია" |
| 2 | მანანა დოიაშვილი | "აქ, ამ სავანეში" | ალმანახი "დრამატურგია" |

### საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკოსი

| | ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა |
|---|---|---|---|
| 1 | ზაზა შათირიშვილი | "გალაკტიონის პოეტიკა და რიტორიკა" | "ლოგოს პრესი" |
| 2 | ნუგზარ მუზაშვილი | "ჩვენ და ისინი" | "მერანი" |
| 3 | გაგა ლომიძე | "წიგნები", | "კრიტერიუმი" |
| 4 | ეკა ცხადაძე | "წიგნები" | |




საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA
ახალი დაბალი ტარიფები
თქვენ სარგებლობთ საერთაშორისო საუბრებით და:
- გსურთ არ გქონდეთ დავალიანება ტელეფონზე;
- გათიშული გაქვთ 8-იანი;
- ან უბრალოდ გინდათ მნიშვნელოვნად დაზოგოთ ფული...
„საქართველოს ტელეკომი" გთავაზობთ ტელეკომბარათით მომსახურებას:
ყველაზე დაბალი ტარიფი საერთაშორისო საუბრებზე (24სთ-ის განმავლობაში):
დროის წამობრივი აღრიცხვა
აშშ
რუსეთი
ევროპა (ფიქსირებულ ტელეფონზე)
მხოლოდ 30თ.
8-10
ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები
ბარათები შეიძინეთ „საქართველოს ტელეკომის" საკომუნიკაციო ცენტრებსა და ანგარიშსწორების პუნქტებში
რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

# საპარლამენტო თამაშები - "სუსტი რგოლი" და "ოტსტუპნიკობანა"

პირველი გვერდიდან

რომ, თავის დროზე, გიორგი გომიაშვილმა გამოსცა შიდასაუწყებო ცირკულარი, რომლის თანახმადაც, უცხოეთში არსებულ საქართველოს საელჩოებსა და საკონსულოებს, დიპლომატიურ უწყებასთან შეთანხმების გარეშე, პარლამენტისთვის ინფორმაციის მიწოდება აეკრძალათ.

თუმცა, როგორც ჩანს, ყველაფერი ეს მაინც შირმაა. სიმართლესთან კი უფრო ახლოს უნდა იდგეს კულუარებში მოარული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, გიორგი გომიაშვილის "დანაშაული" იმაში მდგომარეობს, რომ იგი სალომე ზურაბიშვილის ფავორიტია, საგარეო პოლიტიკური უწყების ლიდერს კი, როგორც ცნობილია, საპარლამენტო უმრავლესობაში არაერთი ოპონენტი ჰყავს.

გიორგი გომიაშვილის ელჩად დამტკიცების საკითხზე კენჭისყრის გადადების გასამართლებელ არგუმენტად იმასაც ასახელებენ, რომ "დეპუტატებს მასთან ჰქონდათ შეკითხვები, რომლებიც პასუხებს საჭიროებდა."

თუმცა, ამ არგუმენტის საწინააღმდეგოდ ის მეტყველებს, რომ გუშინდელ პლენარულ სხდომას წინ უძღოდა საკომიტეტო მოსმენები და სხვადასხვა ფრაქციებთან ელჩობის კანდიდატების შეხვედრები, რომლებიც უხმაუროდ ჩატარდა და რომლებზეც პარლამენტარებს არანაირი "შეკითხვები" არ გასჩენიათ.

რაც შეეხება კენჭისყრის პროცედურის გადადებას, ნინო ბურჯანაძის განმარტებით, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გიორგი გომიაშვილის კანდიდატურა უკან არის გაწვეული.

**"გაიმართება კონსულტაციები და საკითხი მოგვიანებით გადაწყდება,"** - აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე.

პარლამენტისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს გზები გუშინ მეორედ მაშინ გადაიკვეთა, როდესაც "მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერმა საკანონმდებლო ორგანოში სალომე ზურაბიშვილის მისვლა ითხოვა. დავით გამყრელიძეს სურს, მიიღოს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ მიმდინარეობს რუსულ-ქართული მოლაპარაკებები საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით. ოპოზიციის მოთხოვნა ნინო ბურჯანაძეს სამართლიანად მიაჩნია და საგარეო საქმეთა მინისტრს ორშაბათს, ბიუროს სხდომაზე "ეპატიჟება".

პოლიტიკურ თამაშებთან ერთად, გუშინ პარლამენტი კანონშემოქმედებითი საქმიანობითაც იყო დაკავებული და ერთი საკმაოდ მძიმე "ტვირთიც" დაძრა ადგილიდან - პირველი მოსმენით მიიღო კანონპროექტი, რომელმაც ე.წ "ოტსტუპნიკების" პრობლემა უნდა მოაგვაროს.

ნინო ბურჯანაძის თქმით, ეს პრობლემა მეტად რთულია და კანონპროექტის ავტორმა ნიკა გვარამიამ მეტად უმადურ საქმეს მოჰკიდა ხელი - ნებისმიერი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ბინის მოსაკუთრეებიცა და ბინით მოსარგებლენიც უკმაყოფილოები დარჩებიან, ვინაიდან ორივე მხარისთვის მისაღები ვარიანტის მოძებნა, პრაქტიკულად, შეუძლებელია. პარლამენტის თავმჯდომარე თხოვნით მიმართავს დაპირისპირებულ მხარეებს, რომ საკანონმდებლო ორგანოში მოძებნილ კომპრომისს დაეთანხმონ.

პირველი მოსმენით მოწონებული კანონპროექტის თანახმად, ბინის მესაკუთრე უფლებამოსილია, სათანადო კომპენსაციის (საბაზრო ღირებულების 80-90 პროცენტი) გადახდის შემდეგ, მოსარგებლეს ბინის დატოვება მოსთხოვოს. კანონპროექტში მოცემულია, აგრეთვე, ბინის ქირის მესაკუთრისათვის გადახდის ვალდებულებაც. აღნიშნული ქირის ოდენობა კი კვადრატულ მეტრზე ერთი ლარით განისაზღვრება, რასაც ძალიან ბევრი დეპუტატი ეწინააღმდეგება. თუმცა, ეს მეორე მოსმენის საგანია და ამდენად, აღნიშნულთან დაკავშირებით დისკუსია ჯერ კიდევ წინ არის.

გუშინ დეპუტატებმა სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაც მიიღეს. მათ შორის აღსანიშნავია საბიუჯეტო ცვლილებების დამტკიცება (118 მომხრე, 10 წინააღმდეგი). გარდა ამისა, პარლამენტმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი განცხადებას "ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, საქართველოსა და ევროკავშირს შორის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით, მოლაპარაკებების დაწყების შესახებ."

# თელავის ბატალიონი ერაყში "კომანდოს" ბატალიონს ჩაენაცვლება



ინტერპრესი

ქართველი ჯარისკაცები ერაყში გასამგზავრებლად მზად არიან.

ვაზიანის სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე, გუშინ, საქართველოს შეიარაღებული ძალების პირველი ქვეითი ბრიგადის თელავის მე-11 ბატალიონის ერაყში გამგზავრების საზეიმო ცერემონია გაიმართა.

ცერემონიას საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ლევან ნიკოლეიშვილი და საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებელი პატრიცია მოლერი დაესწრნენ.

ბატალიონი, რომელსაც კაპიტანი შავლეგ ტაბატაძე ხელმძღვანელობს, 300-მდე სამხედრო მოსამსახურისგან შედგება. ისინი "კომანდოს" ბატალიონს ჩაენაცვლებიან და სამშვიდობო მისიას ქალაქ ბაქუბასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე შეასრულებენ.

ქვედანაყოფის ძირითადი ამოცანა სამხედრო და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვა იქნება. გარდა ამისა, ქართველი სამხედროები საკონტროლო პუნქტების შემოწმებას და პატრულირებას განახორციელებენ.

საკონტრაქტო პრინციპით დაქირავებული ჯარისკაცების ყოველთვიური ანაზღაურება, წოდებების მიხედვით, 780 დოლარიდან 2000 დოლარამდე მერყეობს. ამ თანხას მათ საქართველოს ბიუჯეტიდან უხდიან. აღნიშნული კონტინგენტი სამშობლოში 6 თვის შემდეგ დაბრუნდება.

*ინტერ-პრესი*

# რექტორი უმცირესობაში

დალი კუპრავა

"გა-და-დე-ქი!" - სკანდირებდა დარბაზი, უცხო ენათა უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების აუდიტორია. რექტორის გადაყენების მოთხოვნის მოტივაცია ის არის, რომ უნივერსიტეტის ფასიანი განყოფილების მასწავლებლებს ხუთი თვეა, ხელფასი არ მიუღიათ. გარდა ამისა, კრების მონაწილეები რექტორის არაკომპეტენტურობაზე საუბრობენ და მას უნივერსიტეტის ტრადიციული სტრუქტურის დაშლისკენ მიმართულ ქმედებებში ადანაშაულებენ. კრებას რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ფირცხალავა ესწრებოდა, რომელმაც დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ დატოვა სხდომათა დარბაზი და კაბინეტში დაბრუნდა.

## სტუდენტები

"ჩვენი უნივერსიტეტი ძალიან კარგ ადგილზეა და მისი გაუქმება და თსუ-თან შეერთება უნდათ. ჩვენ არ გვინდა,"- ამბობენ ინგლისური ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები. "ჩვენ ჩვენს უნივერსიტეტში გვინდა სწავლა, სადაც ჩავაბარეთ და ჩვენს მასწავლებლებს მხარდაჭერას ვუცხადებთ, რომ მათ დროულად მიიღონ ხელფასი. რექტორის გადაყენებაზე ვერაფერს მოგახსენებთ," - უერთდებიან კრებას ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტები. სტუდენტებს ისიც აღელვებთ, თუ რა კვალიფიკაციას მიიღებენ ბაკალავრიატის კურსდამთავრებულები, ისინი, რომლებიც რეფორმისეულ სამსაფეხუროვან საუნივერსიტეტო განათლებას "ვერ მოესწრებიან".

## "ის ფაკულტეტი"

სოციოლოგიისა და ფილოსოფიის ფაკულტეტი, რომელიც უნივერსიტეტში 2002 წელს დაარსდა (კრების ტერმინოლოგიით - "შევიდა"), უხელფასობასთან ერთად, დიდი მღელვარების წყაროა. "რამდენიმე კაცი მოვიდა და მათ უნდა გადაწყვიტონ ჩვენი ბედი," - ამბობენ უნივერსიტეტელები და მათ გამოსვლებში დაუფარავად იგრძნობა, რომ რექტორ ნინო ფირცხალავას, ახალი ფაკულტეტის მესვეურებსა და "სოროსს" აერთიანებენ და უცხო ენათა ინსტიტუტის დესტრუქციულ ძალად მოიაზრებენ.

## კრების მოთხოვნები

კრების ძირითადი მოთხოვნები შეეხებოდა ხუთი თვის სახელფასო დავალიანებას, უნივერსიტეტის სტატუსსა და უკანონოდ მიმდინარე "რეფორმებს".

"არ მოგვცა ხელფასები და ვერც გვეუბნება, როდის მივიღებთ. დილით რომ იღვიძებ, გზის ფული არ გაქვს და არც იცი, როდის და რა გექნება, როგორია?! გვითხრას, რომ ერთი წლის მერე იქნება, ქართველები მომთმენები ვართ," - ამბობს საინიციატივო ჯგუფის წევრი ზურაბ გაგნიძე.

როგორც აცხადებენ, გაურკვეველია, რა ბედი ეწევა სახელგანთქმულ და ტრადიციულ უნივერსიტეტს. "უნივერსიტეტი უნდა მართოს იმ ხალხმა, ვინც "ჩვენიანია" და პროვოკატორების ბრალია, რომ ჩვენ რეფორმის და სახელმწიფოს წინააღმდეგობას გვაბრალებენ. ჩვენ მხოლოდ კანონიერ ქმედებებს მოვითხოვთ. მოვითხოვთ, რომ ერთი პროცენტი არ წყვეტდეს 99 პროცენტის ბედს და "ჩაგვრთონ" სარეფორმო პროცესებში," - აცხადებენ რექტორის ოპოზიციაში მყოფები.

## რექტორი

"უნივერსიტეტში შემოსულია გენერალური ინსპექცია, რომელიც დავალიანების მიზეზებს შეისწავლის და მხოლოდ შემდეგ გახდება შესაძლებელი, გადაწყდეს ხელფასების ბედი, მხოლოდ შემდეგ შევძლებთ გრიგოლეთის ნაკვეთის გაყიდვა-არგაყიდვაზე საუბარს, რათა საბანკო ანგარიშზე სახელფასო თანხა გაჩნდეს. ამჯერად ეს არის ჩემი პასუხი," - განუცხადა დარბაზს ნინო ფირცხალავამ.

## დადგენილება

გუშინდელი კრება ახალი რექტორის დანიშვნის შემდეგ რიგით მესამე "სახალხო" კრება იყო და რიგით მეორე, რომელსაც მე დავესწარი. ტყუპისცალებივით ჰგვანან კრებები ერთმანეთს - იგივე პრობლემები, იგივე გამომსვლელები, იგივე კრებისმიღმა და კრებისშემდგომი საუბრები და იგივე შინაარსის დადგენილება, რომელიც საქართველოს პრეზიდენტს გაეგზავნება: "შეიცვალოს რექტორი და უნივერსიტეტის მიერ შერჩეული ოთხი-ხუთი კაციდან პრეზიდენტმა დანიშნოს ის, ვისაც შესაფერისად ჩათვლის."

# პრეზიდენტის მოლოდინში

თამარ მაისურაძე

საწარმო "გეოკორკში", რომელიც გუშინ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს უნდა მოენახულებინა, კონიაკის, ღვინის და შამპანურის ბოთლების საცობებს ამზადებენ. მართალია, პრეზიდენტის "ვიზიტი" ვერ შედგა, მაგრამ საამქროს, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები არიან დასაქმებულნი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი და თბილისის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი ესტუმრნენ.

**"პრეზიდენტს ველოდით, გვინდოდა, მისთვის ჩვენი ყოფის შესახებ ორი სიტყვით გვეთქვა,"** - ამბობდნენ საწარმოს თანამშრომლები.

"გეოკორკმა" ფუნქციონირება წელიწადნახევრის წინ დაიწყო. იქ



უნარშეზღუდულ პირებს მინისტრი მომავალშიც ჰპირდება დახმარებას.

დასაქმებულ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 36 პირისაგან 34 - პირველი ჯგუფის ინვალიდია. ისინი უსინათლოები არიან. ეს უკანასკნელნი სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის პროგრამის ფარგლებში არიან დასაქმებული. სახელმწიფო, პროგრამის ფარგლებში, შპს "გეოკორკ"-ს 100 ათასი ლარით აფინანსებს. ამის სანაცვლოდ, საწარმოს ხელმძღვანელობა ვალდებულია, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები 2 წლის განმავლობაში სამუშაოთი უზრუნველყოს. როგორც "გეოკორკის" ხელმძღვანელები აცხადებენ, საწარმოში დასაქმებული ინვალიდების მინიმალური ხელფასი 120 ლარს შეადგენს.

კომპანიის ხელმძღვანელობის თქმით, "გეკორკმა" საქართველოს ბაზარი მთლიანად აითვისა და ახლა გაფართოებას და ამიერკავკასიის ათვისებასაც გეგმავს.

# "თბილგაზი" თბილისში ცენტრალური გათბობის აღდგენას გეგმავს

*გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის წარმომადგენლები, თბილისის მერიაში ჩატარებული სემინარის შემდეგ, "თბილგაზს" ეწვივნენ. საწარმოს ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ სტუმრები საქართველოსთვის სერიოზული დახმარების გაწევას შეძლებენ. გამოცდილების გაზიარებასა და ტექნოლოგიების ჩუქებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, გაეროს რეკომენდაციით, საქართველოს 250-300-მილიონიანი სესხის ან გრანტის მიღების დიდი შანსი აქვს.*

ნანა ქადაგიშვილი

ევროპის ეკონომიკური კომისიის ექსპერტთა საქართველოში ვიზიტის მიზანი "თბილგაზის" რეაბილიტაციისთვის რეკომენდაციების შეთავაზება და, შემდგომში, ფინანსური დახმარების გაწევა გახლავთ. კომისიის წარმომადგენლებთან პირველი შეხვედრა მერიაში მოეწყო. **"დასავლეთის ექსპერტები ხვალ "თბილგაზსაც" მოინახულებენ და შემდეგ, საწარმოს რეაბილიტაციის რამდენიმე ვარიანტს შემოგვთავაზებენ. გამორიცხული არ არის, ფინანსური დახმარებაც გაგვიწიონ,"** - განაცხადა ქალაქის პრემიერმა თემურ ქურხულმა.

"თბილგაზში" სტუმრების გუშინდელი ვიზიტი მართლაც შედეგიანად დასრულდა. ევროპის წამყვანი ქვეყნების წარმომადგენლები ქართველ კოლეგებს ტექნიკურ დახმარებასა და გაზის ტარიფის მეთოდოლოგიის შემუშავებას შეჰპირდნენ. ყველაზე მთავარი კი, რაც საქართველომ გაეროს დახმარებით შეიძლება მიიღოს, თბილისის ცენტრალური გათბობისთვის საჭირო თანხაა. როგორც "თბილგაზში" აცხადებენ, ჩვენს დედაქალაქში ცენტრალური გათბობის აღდგენას 250-300 მილიონი დოლარი მაინც დასჭირდება. **"პროექტი, რომელიც ქალაქის ცენტრალურ გათბობაზე გადაყვანას ითვალისწინებს, 2-3 თვეში მომზადდება. მას ჯერ სხვადასხვა ქვეყნების ექსპერტებს გავუგზავნით, შემდეგ კი გაეროს გავაცნობთ. თუკი იგი ჩვენს პროექტს მოიწონებს და რეკომენდაციას მოგვცემს, გზა ხსნილი გვექნება, პროექტის განსახორციელებლად საჭირო თანხას ნებისმიერი ფინანსური სტრუქტურა მოგვცემს,"** - აცხადებს "თბილგაზის" გენერალური დირექტორი დავით მორჩილაძე.

ცენტრალურ გათბობაზე გადასვლამდე კი, უპირველესად, "თბილგაზის" რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელებაა საჭირო. როგორც მორჩილაძე აცხადებს, "თბილგაზის" დანაკარგების პროცენტული მაჩვენებელი 20-ს აღწევს. ამ პრობლემის მოგვარებას კი 30 მილიონი ლარი დასჭირდება. "თბილგაზის" ხელძღვანელობა იმედოვნებს, რომ ამ თანხას ენერგეტიკის სამინისტრო გამოძებნის.

რაც შეეხება ბუნებრივი აირის ტარიფს, თუკი "თბილგაზი" თბილისის ცენტრალური გათბობისთვის საჭირო მილიონებს გრანტის სახით იშოვის, ტარიფი არ გაიზრდება, მაგრამ თუკი სესხად მიიღებს, ტარიფი 30 პროცენტით მოიმატებს.

# მიწების რევოლუცია

პირველი გვერდიდან

აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მერი ბათილად ცნობს იმ სამართლებრივ აქტებს, რომლის მიხედვითაც მიწები კანონდარღვევით გაიცა. უკანონოდ გასხვისებული მიწების განსაკუთრებით დიდი ნაწილი თბილისის ვაკე-საბურთალოს, მთაწმინდა-კრწანისისა და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონებშია განლაგებული.

**"ამ საკითხით მერიაში მოსვლის დღიდანვე დავინტერესდი. ჯერჯერობით, კონკრეტულ სახელებსა და გვარებს ვერ დავასახელებ. 2000-2003 წლებში მიწები, ძირითადად, აუქციონის წესით იყიდებოდა, რომელშიც მონაწილეობას მხოლოდ ერთი პირი, ან ერთი საწარმო იღებდა. ტერიტორიების გაცემა ქალაქ თბილისის პრემიერის განკარგულებით ხდებოდა. კანონიერების დაცვის გენერალურმა ინსპექციამ მიწების გასხვისების თითოეულ ფაქტთან დაკავშირებით შესაბამისი სამართლებრივი დასკვნა მოამზადა. მიწების ჩამორთმევა სასამართლოს გზით არ მოხდება. ქართული კანონმდებლობა მე მაძლევს უფლებას, რომ წინა ხელმძღვანელობის, ანუ მაშინდელი პრემიერის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გავაუქმო,"** - განაცხადა ჭიაბერაშვილმა. მისივე თქმით, აღნიშნული მიწების ჩამონათვალი შესაბამის სამსახურში გადაიგზავნება, რათა არ მოხდეს მისი გადაფორმება ვითომდა სხვა, კეთილსინდისიერ შემძენზე.

მერის განცხადებით, ამავე პერიოდში გასხვისდა მდინარე მტკვრის კალაპოტები, ტროტუარები, საავადმყოფოებისა და სხვა მსგავსი დაწესებულებების ეზოები. **"თითოეულ საქმეს, სადაც დანაშაულის ნიშნები იკვეთება, პროკურატურაში გადავაგზავნით,"** - აღნიშნა ჭიაბერაშვილმა.

მერის გუშინდელ განცხადებას "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარე ანა დოლიძე "გადატრიალებას" უწოდებს.

**"ვფიქრობ, რომ მერის ინიციატივა თავდაყირა დააყენებს ყველაფერს. მე მაინტერესებს, რატომ იქნა გადაწყვეტილება მიღებული მაინცდამაინც 2000 წლიდან 2003 წლის ჩათვლით, და არა მას შემდეგ? ალბათმ მოხდება პროვოცირება იმ ადამიანების საჩივრებისა, რომლებიც ამა თუ იმ მიწის ნაკვეთის პრივატიზებით უკმაყოფილონი არიან,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ანა დოლიძემ. მისი თქმით, წინა წლების დადგენილებების გასაუქმებლად აუცილებელია საჩივრების არსებობა აუქციონების კანონდარღვევით ჩატარების თაობაზე, რის შემდეგაც მერს ეძლევა უფლება, წინამორბედის გადაწყვეტილებები გააუქმოს. **"აღსანიშნავია, რომ უმრავლეს შემთხვევაში გასულია ხანდაზმულობის ვადა, ანუ ის ვადა, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელი იყო, ესა თუ ის აქტი გასაჩივრებულიყო. ამ ასპექტში მერის გადაწყვეტილება უკანონოა. ხანდაზმულობის ვადად მიიჩნევა გადაწყვეტილების მიღებიდან 6 თვე,"** - განაცხადა ანა დოლიძემ.

მერის ამ გადაწყვეტილებას "ბოლშევიკური ნაციონალიზაცია" უწოდა თბილისის საკრებულოს ფრაქცია "ახლების" ლიდერმა გიორგი მოსიძემ.

**"მე ვფიქრობ, რომ ეს საკითხი მარტო 2000-2003 წლით არ ამოიწურება. დღეისათვის ძალიან სახიფათო გახდა პრივატიზაციის საკითხებთან დაკავშირებული მასალების გადახედვა. თუკი ეს ყველაფერი უკვე კარგად ნაცნობ პროცესს დაემსგავსება, ანუ როდესაც ადამიანებს იჭერენ, მერე ფულს ართმევენ და უშვებენ, მაშინ ამას მნიშვნელობა არ აქვს. მერის ინიციატივა მე პირადად ბოლშევიკურ ნაციონალიზაციას მაგონებს,"** - აღნიშნა მან.

ფრაქცია "ნაციონალების" ლიდერის ნანული ქაჩიბაიას თქმით, ეს არის საკითხი, რომლის განხილვაც მიხეილ სააკაშვილის საკრებულოს თავმჯდომარეობის დროს დაიწყო. **"მე მგონი, ამაზე კარგი დადგენილება ამ წუთში არ შეიძლება გამოიტანოს ქალაქმა. ერთი და იგივე ადამიანს, ხშირ შემთხვევაში, 8, 10 მიწის ნაკვეთი აქვს ქალაქის ცენტრში. აუნაზღაურდებათ თუ არა საფასური, ეგ კიდევ ცალკე განხილვის საგანია. ჩემი აზრით, 10, 15 ლარად ნაყიდი მიწების საფასური არც უნდა აუნაზღაურდეთ,"** - აცხადებს ქაჩიბაია.

მერის ამ გადაწყვეტილებას გუშინ, პარლამენტის წევრებიც გამოეხმაურნენ. პარლამენტის იურიდიული კომიტეტის წევრის, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლის გიგა ბოკერიას განცხადებით, არსებობს შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმები, რომელიც სახელმწიფოს უკანონოდ გაყიდული მიწების ჩამორთმევის საშუალებას მისცემს, თუნდაც, კანონი დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის შესახებ. თუმცა, მისივე თქმით, განხილული უნდა იყოს თითოეული შემთხვევა, და თუ მიწები სამართალდარღვევით არის გაყიდული, მის მფლობელებს ჩამოერთმევათ.

თბილისის საკრებულოში "ლეიბორისტებს" მერის განცხადებასთან დაკავშირებით რაიმე განსხვავებული კომენტარი არ გაუკეთებიათ. ისინი უკვე კარგა ხანია, რაც მერის იმპიჩმენტის საკითხს აყენებდნენ და ტრადიცია არც გუშინ დაურღვევიათ.

"ლეიბორისტების" ამ გამოსვლას უმრავლესობის წევრი გიორგი ტაბიძე ეჭვის თვალით უყურებს და მიიჩნევს, რომ ეს ყველაფერი მერსა და "ლეიბორისტებს" შორის ფარულ გარიგებას უკავშირდება. სანამ ამ განცხადებას გააკეთებდა, ტაბიძე არც მერსა და უმრავლესობას შორის გამართულ თათბირს დასწრებია, რის გამოც გავრცელდა ხმები მისი უმრავლესობიდან წასვლის შესახებ.

**"მე სერიოზული ეჭვი მაქვს, რომ "ლეიბორისტები" შეკრულნიი არიან მერთან და იმიტომ აყენებენ მისი იმპიჩმენტის საკითხს. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ორივე მხარეს პრობლემები აქვს. საერთოდ, მერთან დაკავშირებული ყველა ჭორის გავრცელებისას, ოპოზიცია აქტიურდება ხოლმე. ამიტომაც მაქვს ეჭვი, რომ ისინი "შეკრულები" არიან. ერთი პოპულისტობს და საქმეს იკეთებს, მეორე კი ძლიერდება. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ყველამ კარგად იცის, რომ ოპოზიციის არც ერთი საკითხი არ გავა საკრებულოში. მე უმრავლესობა არ დამიტოვებია, თუმცა ვთვლი, რომ დღეს თბილისის მთავრობა მასზე დაკისრებულ მოვალეობას ვერ ასრულებს. არის სამსახურები, რომელთა ხელმძღვანელებიც გაგებაში არ არიან, თუ რა ევალებათ. არ შეიძლება ყველაფერს გვკარნახობდეს ერთი ადამიანი, თუნდაც ეს პრეზიდენტი იყოს. ინიციატივები საკრებულოდან უნდა მოდიოდეს. დროა, საქმე კამერებისა და დიქტოფონების გარეშე ვაკეთოთ,"** - განაცხადა ფრაქცია "კონსერვატორების" ლიდერმა გიორგი ტაბიძემ.

## "ზურიკელას ბაღში" მიღებული გადაწყვეტილებები

*"საკრებულო ზურიკელას ბაღად აქციეს და ამას არ შევეგუებით. დღევანდელი სხდომა 12 საათზე უნდა დაწყებულიყო, თუმცა, როგორც ჩანს, აქ ყველაფერი მერის სურვილზეა დამოკიდებული," - განაცხადეს გუშინ ფრაქცია "ახლების" წევრებმა, რომლებმაც, პროტესტის ნიშნად, საკრებულოს სხდომაზე შესვლა არ ისურვეს. მათ ინიციატივას "ლეიბორისტებმაც" აუბეს მხარი. ოპოზიციის გარეშე დარჩენილმა უმრავლესობამ კი, 15 საკითხის განხილვა და დამტკიცება ზუსტად 40 წუთში შეძლო.*

გუშინ, სწორედ საკრებულოს სხდომის გახსნის დროს, 12.00 საათზე დედაქალაქის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა და საკრებულოს საპრეზიდენტო უმრავლესობის წარმომადგენლებმა დახურულ კარს მიღმა დაახლოებით ერთსაათიანი შეხვედრა გამართეს. ოპოზიციის აზრით, საკრებულო არ არის გასართობი ადგილი, სადაც უმრავლესობას შეუძლია, საკუთარი სურვილისამებრ იმოქმედოს. ამ ფაქტის გამო, ოპოზიციამ საკრებულოს სხდომაზე დასწრება არ ისურვა. მათ პროტესტს უმრავლესობის მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია. ოპოზიციის გარეშე დარჩენილმა უმრავლესობამ ყველა საკითხი უპრობლემოდ მიიღო.

მაშინ, როდესაც საკრებულოს სხდომას ოპოზიცია არ ესწრებოდა, უმრავლესობამ საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის პირველ მოადგილეებს, თანამდებობრივი სარგო 1450 ლარამდე გაუზარდა. მანამდე, ისინი სადეპუტატო სარგოს 1050 ლარის ოდენობით ღებულობდნენ.

დედაქალაქის მთავრობას გუშინ, სპეციალურად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, ერთიანი სტრატეგიული პროგრამის შედგენა დაევალა. პროგრამა დედაქალაქში მცხოვრები ინვალიდებისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნაზე იქნება ორიენტირებული.

ასეთი პროგრამის შემუშავების თხოვნით, საკრებულოს "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ვეტერანთა არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციამ" მიმართა. 2006 წლის ბიუჯეტში ამ პროგრამის განსახორციელებლად, მთლიანი თანხა იქნება გათვალისწინებული.

როგორც გუშინ საკრებულოს წევრებმა აღნიშნეს, 1991-1992 წლების მოვლენების შედეგად პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა მიმართ საკრებულომ კეთილი ნება გამოიჩინა და მათი ოჯახებისთვის ფინანსური დახმარება 26 450 ლარის ოდენობით გამოყო. ფულად კომპესანციას 116 ოჯახი მიიღებს.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, ტრაგიკულად დაღუპული გურიის გუბერნატორის ბეჟან კალანდაძის ხსოვნის უკვდავსაყოფად, მთაწმინდა-კრწანისის რაიონში მდებარე ბევრეთის ქუჩას ბეჟან კალანდაძის სახელი მიენიჭა. გუშინვე იქნა მიღებული გადაწყვეტილება - საქართველოს პრემიერ-მინისტრის, აწ გარდაცვლილი ზურაბ ჟვანიას ხსოვნის უკვდავსაყოფად და ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარებაში მის მიერ შეტანილი ღვაწლის აღსანიშნავად, პარლამენტის მიმდებარედ, ზუბალაშვილების ქუჩის მონაკვეთს, ბესიკის ქუჩიდან 9 აპრილის ქუჩამდე, ზურაბ ჟვანიას სახელი მიენიჭოს.

*თამარ დვალი*

# შეხვედრა პრესასთან

ქეთინო ჯაკობია
*ფოთიდან*

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ზუგდიდის ქვედელეგაციის თანამშრომლები 19 მაისს ფოთში პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლებს შეხვდნენ. საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელის ეკა მინჯორიას განმარტებით, შეხვედრის მიზანი იყო საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პროპაგანდა და წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო მოძრაობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება.

გარდა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მსოფლიო მასშტაბით საქმიანობის, ორგანიზაციის პრინციპების, მიმართულებების, დაფინანსების შესახებ საუბრისა, შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მიმდინარე წლის მარტიდან 40 ფოთელი ოჯახი მონაწილეობს აგრო-სავაჭრო-სახელოსნო პროგრამაში, რომლის მიზანია უმწეო ოჯახებისთვის დამოუკიდებლად თავის რჩენის საშუალების შექმნა. რაც შეეხება შრომისუუნარო 365 ოჯახს, ისინი მაისის ბოლოს კიდევ ერთხელ მიიღებენ დახმარებას კვების პროდუქტების სახით.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ზუგდიდის ქვედელეგაციის წარმომადგენელთა განცხადებით, ბენეფიციანტთა თავდაპირველი სიები სოციალური უზრუნველყოფისა და ლტოლვილთა და დევნილთა საქალაქო სამსახურების ინფორმაციის საფუძველზე შედგა, მათი შემდგომი დაზუსტება კი უშუალოდ თითოეული მოქალაქის საცხოვრებელი პირობებისა და სოციალური მდგომარეობის ადგილზე შემოწმებით მოხდა.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (ღირებულების გარეშე) ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად უნდა წარმოადგინონ 2005 წლის **6 ივნისიდან 7 ივნისის 18 საათამდე** შემდეგ მისამართზე: ბათუმი, რუსთაველის გამზირი №6, მე-5 სართული, №20 ოთახი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

**არქიტექტურის კონკურსი**

ქ. თბილისის მერია და საქართველოს არქიტექტორთა კავშირი აცხადებს ადგილობრივი მნიშვნელობის კონკურსს ქ. თბილისში სააკაძის მოედნის ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობისა და შრომის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე სავაჭრო და საოფისე შენობის ესკიზურ პროექტზე.

კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია, საკონკურსო პროგრამა და პირობები გაიცემა 2005 წლის 11-დან 24 მაისამდე, საქართველოს არქიტექტორთა კავშირში. აღმაშენებლის გამზირი 89/24 მე-3 სართული, ნუგზარ დუდუჩავასთან.

**ტელ: 22-74-02, 96-86-58**
**ფაქსი: 95-99-97**
**ელ-ფოსტა archunion-geo@yahoo.com**

ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან
რადიო „მწვანე ტალღა" თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4
„რადიო დილა" ყოველ დღე კვირის გარდა 10-დან 12 საათამდე



თბილისი, წიგნის VII საერთაშორისო ბაზრობა

წამყვანები:
სტუმარი:

გია ღარსალია:

# ვენესუელა აშშ-ს "ორმაგ სტანდარტებში" ადანაშაულებს

ლუის პოსადა კარილესის გადაცემაზე ვენესუელის არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, აშშ ჯერჯერობით თავს იკავებს ამ ნაბიჯის გადადგმისაგან. "ბიბისი"-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ვენესუელა აშშ-ს "ორმაგი სტანდარტებით" მოქმედებაში დაადანაშაულებს.

**"ჩვენ მოვითხოვთ, აშშ-მ შეწყვიტოს ფარისევლობა და ორპირობა და ეს ტერორისტი გადმოგვცენ. იგი თავად აღიარებს თავს ტერორისტად. აშშ-ს არჩევანი არ აქვს - ან გადმოგვცემს კარილესს ან მთელი მსოფლიო დაინახავს, რომ ისინი ტერორისტს მფარველობენ. მსოფლიო ამას თვალყურს ადევნებს,"** - განაცხადა ვენესუელის პრეზიდენტმა უგო ჩავესმა.

ვენესუელის პრეზიდენტის მოსაზრებებს სავსებით ეთანხმება "თავისუფლების კუნძულის" ლიდერი. ფიდელ კასტრომ კარილესს "ურჩხული" უწოდა და ბინ ლადენს შეადარა.

აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომელი კარილესი კუბაზეა დაბადებული და მოგვიანებით ვენესუელის მოქალაქეობა აქვს მიღებული. 77 წლის კარილესი 1976 წელს კუბური სამოქალაქო თვითმფრინავის აფეთქების ორგანიზებაშია ეჭვმიტანილი, რამაც 73 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. თუმცა, "კუბელი ამფეთქებლის" დანაშაული მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. მას ბრალი 2000 წელს ფიდელ კასტროს მკვლელობის მიზნით მოწყობილ შეთქმულებაშიც ჰქონდა წაყენებული. აღნიშნული დანაშაულის გამო თავისუფლების აღკვეთამისჯილი ლუის პოსადა კარილესი პანამის ციხიდან გასულ წელს გამოუშვეს. დაპატიმრებიდან 5 წლის შემდეგ პანამის იმდროინდელმა პრეზიდენტმა მირეი მოსკოსომ ლუის პოსადა პარილესი შეიწყალა და ვადაზე ადრე გამოუშვა, რის გამოც ცენტრალური ამერიკის ამ სახელმწიფოსთან კუბამ დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტა. მას მერე კარილესი იძებნებოდა, თუმცა მალე მან ჯერ მექსიკაში გადასვლა მოახერხა, მოგვიანებით კი ამერიკის შეერთებულ შტატებს მიაშურა.


"ჩვენ მოვითხოვთ, აშშ-მ შეწყვიტოს ფარისევლობა და ორპირობა და ეს ტერორისტი გადმოგვცეს," - აცხადებს ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი.

კუბიდან გაქცეული ლუის პოსადა კარილესი იძებნება, როგორც კუბის, ასევე ვენესუელის ხელისუფლების მიერ. აშშ-ში მყოფი კარილესის დაპატიმრება მხოლოდ მას შემდეგ მოხდა, რაც ჰავანის ქუჩებში ათასობით კუბელმა დემონსტრაციები მოაწყო. მასობრივ დემონსტრაციებში მონაწილეობას საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელი იღებდა, რომელთაც ტანთ კუბის დროშის ფერების შესატყვისი ტანსაცმელი ემოსათ.

აშშ-ს იმიგრაციული სამსახური ჯერჯერობით თავს იკავებს კომენტარისაგან, ხოლო თავად კარილესის ადვოკატი კი ირწმუნება, რომ ლუის პოსადამ ჯერ კიდევ 40 წლის წინ მოიპოვა აშშ-ში ცხოვრების უფლება.

# ავღანეთი თალიბთა აჩრდილისგან გათავისუფლებას ლამობს

*"ავღანელმა სასულიერო პირებმა თალიბთა ძებნილ ლიდერს მოლა ომარს უფლებამოსილება შეუწყვიტეს," - იტყობინება ბრიტანული ელექტრონული გამოცემა "ტელეგრაფი". ავღანეთის ყოფილი მმართველი და მსოფლიოს ნომერ პირველ ტერორისტად წოდებული უსამა ბინ ლადენის მოკავშირე, კარგა ხანია, ძებნაშია და, შესაბამისად, თითქმის არავითარ რეალურ ძალაუფლებას აღარ ფლობს, მაგრამ თავად სასულიერო პირების მიერ ამ ფაქტის აღიარება ჰამიდ კარზაის ხელისუფლების სერიოზული გამარჯვება იყო.*

ნიკა თარაშვილი

ხუთშაბათს ყანდაჰარში სასულიერო პირებმა თალიბთა ლიდერს, ძებნაში მყოფ მოლა ომარს სასულიერო ძალაუფლება ჩამოართვეს. ავღანეთის 34 პროვინციიდან 20 პროვინციის წარმომადგენელმა 600-მა რელიგიურმა მოღვაწემ მიიღო დეკლარაცია, რომელშიც ნათქვამია, რომ მოლა ომარი ამიერიდან აღარ წარმოადგენს მუსლიმთა ლიდერს. სულ დეკლარაციაზე ათასზე მეტი სასულიერო პირის ხელმოწერა დაფიქსირდა.

სიმბოლური იყო, რომ ულემა შურა (ავღანეთის რელიგიური საბჭო) ყანდაჰარში, თალიბანის მოძრაობის "სამშობლოში", ისტორიული ცისფერი მეჩეთის წინ შეიკრიბა. 1996 წელს მოლა ომარს სწორედ ამ ადგილას გადაეცა ძალაუფლების სიმბოლო - მანტია, რომელიც, თითქოს, წინასწარმეტყველ მუჰამედს ეკუთვნოდა (ეს წმინდა ნივთი ცისფერ მეჩეთში ინახება). ცხრა წლის წინ სწორედ ულემა შურამ გამოაცხადა იგი ამირ ულ-მუმინეენად (ყველა მუსლიმის წინამძღოლი).

ოთხი წლის წინ თალიბანის იდეების მხურვალე მქადაგებლები, დღეს მარმარილოს იატაკზე მსხდომნი მორჩილად ისმენდნენ ულემა შურას წინამძღოლის მაულვი აბდულა ფაიაზის სიტყვებს: "კარზაი არჩეულია სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების გზით. სარწმუნოება მის მორჩილებას გვავალდებულებს." ხოლო, რაც შეეხება წინა ამირების, მათ შორის, მოლა ომარის ბრძანებებს, ამიერიდან არანაირი ძალა აღარ აქვთ.

ფაიაზის თქმით, თალიბთა ბრძანებების შესრულება და მათი მითითებით ხალხის ხოცვა შარიათის კანონს ეწინააღმდეგებოდა.

სამსაათიან ცერემონიაზე სულ 13 მოთხოვნა იქნა მიღებული, მათ შორის -ქვეყანაში ასობით ისლამური სკოლის აშენება; ნარკოტიკების, ალკოჰოლური სასმელისა და "სექსუალური ფილმების" აკრძალვა. ისინი, ასევე, მოუწოდებენ მთავრობას, ქალებისთვის უფლებების მინიჭება არ გასცდეს შარიათით დადგენილ წესებს.


აშშ-ს მიერ ათ მილიონ დოლარად "შეფასებულ" მოლა ომარს ავღანელმა სასულიერო პირებმა ძალაუფლება ჩამოართვეს.

გარდა ამისა, შურა გამოვიდა ამერიკული ჟურნალ "ნიუსუიკ"-ის ჟურნალისტების დაპატიმრების მოთხოვნით, იმ შემთხვევაში, თუ მათ მიერ გავრცელებული ინფორმაცია არ დადასტურდება. შეგახსენებთ, "ნიუსუიკმა" გამოაქვეყნა ინფორმაცია, თითქოსდა, გუანტანამოს სამხედრო ბაზაზე (კუნძულ კუბაზე, სადაც ტერორიზმში ბრალდებული პატიმრები არიან მოთავსებულნი) ყურანს შეურაცხყოფდნენ - კერძოდ, მუსლიმთა წმინდა წიგნებს უნიტაზში ყრიდნენ. ამ ამბავმა მთელი ავღანეთის მასშტაბით არეულობები გამოიწვია, რომელთაც 16 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

მოგვიანებით, (შესაძლოა, თეთრი სახლის ზეწოლითაც) ჟურნალმა განაცხადა, რომ ამ ცნობის გავრცელებისას საეჭვო წყაროებით სარგებლობდა.

აღსანიშნავია, რომ ყანდაჰარში დღესაც ხშირად შეხვდებით თალიბთათვის დამახასიათებელ სამოსში გამოწყობილ ახალგაზრდებს - ანუ მოლა ომარის გავლენა ავღანეთის სამხრეთ ნაწილში ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერია. სექტემბერში კი ავღანეთში პირველი დემოკრატიული საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაა დაგეგმილი. ალბათ, ამის გამოა, რომ ჰამიდ კარზაის მთავრობა თალიბებს შორის განხეთქილების შეტანით ქვეყნის მუსლიმურ მოსახლეობაში მხარდამჭერების შეძენას ცდილობს.

# უზბეკეთის ხელისუფლებას საერთაშორისო ჩარევის ეშინია

უზბეკეთის ხელისუფლება ქალაქ ანდიჟანში დატრიალებული მოვლენების საერთაშორისო გამოძიების წინააღმდეგია. როგორც უზბეკეთის პრეზიდენტმა ისლამ კარიმოვმა გაერო-ს გენერალურ მდივანს კოფი ანანს სატელეფონო საუბრისას განუცხადა, "ხელისუფლება რესპუბლიკაში ვითარებას აკონტროლებს, უწესრიგობების ორგანიზატორები კი პასუხისგებაში მიეცემიან, ამიტომ საერთაშორისო გამოძიება საჭირო არ არის".

ქვეყანაში განვითარებული მოვლენების დროს დაღუპულთა შესახებ განსხვავებულია ოფიციალური და არაოფიციალური წყაროების მიერ გავრცელებული ინფორმაცია. უზბეკეთის ხელისუფლების მტკიცებით, გასულ პარასკევს ანდიჟანში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების შედეგად 170 ადამიანია დაღუპული. სხვა წყაროების თანახმად, დაღუპულთა რაოდენობა გაცილებით დიდია. როგორც უზბეკეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელმა "ბიბისი"-ს კორესპონდენტს აცნობა, სულ ქალაქში, დაახლოებით, 500 ადამიანია მოკლული.

გაერო, აშშ, ევროკავშირი და ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები ანდიჟანის მოვლენების დამოუკიდებელ გამოძიებას მოითხოვენ. საერთაშორისო აქტორების მხრიდან გამოძიების დამოუკიდებლად ჩატარების მოთხოვნას ჩრდილოატლანტიკური ალიანსიც შეუერთდა.

**"ანდიჟანში განვითარებული მოვლენები გამოძიებულ უნდა იქნეს,"** - აღნიშნა ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰუპ სხეფერმა.

უზბეკეთი ნატო-სთან "პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობს, რაც ალიანსში გაწევრიანებისათვის გადადგმული პირველი ნაბიჯია. მართალია, უზბეკეთის ხელისუფლებამ უცხოელ დიპლომატებს ანდიჟანის მონახულების ნება დართო, მაგრამ მასობრივი მკვლელობების ადგილი არ უჩვენებია.

20 მაისს უზბეკეთის ხელისუფლებას თხოვნით მიმართა "წითელი ჯვრის" საერთაშორისო კომიტეტმაც. საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაცია ანდიჟანის მასობრივი არეულობების დროს დაშავებულთათვის დახმარების აღმოჩენის ნებართვას ითხოვს.

**"მრავალმა ოჯახმა დღემდე არ იცის, რა შეემთხვათ უგზოუკვლოდ დაკარგულ მათ ნათესავებს - დაიღუპნენ, დაჭრილები არიან, დაპატიმრებულნი თუ მაინც მოახერხეს ქვეყნის საზღვრებში თუ მის ფარგლებს გარეთ თავის შეფარება,"** - ნათქვამია "წითელი ჯვრის" განცხადებაში.

ნებართვის მიღების შემთხვევაში, საერთაშორისო ორგანიზაცია არა მარტო დაჭრილთათვის აპირებს დახმარების აღმოჩენას, მათ, ასევე, სურთ შეამოწმონ ის პირობები საავადმყოფოებსა თუ საპყრობილეებში, სადაც უზბეკეთის მოქალაქეებს უწევთ ცხოვრება.


ისლამ კარიმოვი კოფი ანანს ესაუბრა.

**"აუცილებელია იმ ხალხის ინფორმირებაც, რომლებმაც ოჯახის წევრები დაკარგეს და ჯერ კიდევ ვერ უპოვიათ თუ ვერ ამოუცვნიათ დაღუპულთა ცხედრები,"** - აღნიშნულია უზბეკეთის ხელისუფლებისადმი ჰუმანიტარული ორგანიზაციის ოფიციალურ მიმართვაში.

ისლამ კარიმოვის იზოლაციონისტური პოლიტიკით გაღიზიანებული აშშ უკვე განიხილავს ცენტრალური აზიის ამ სახელმწიფოში საკუთარი სამხედრო-საჰაერო ბაზის დახურვის საკითხსაც.

**"ავღანეთში ბოევიკთა ქმედებების წინააღმდეგ მიმართულ საჰაერო ოპერაციებს ჩვენ უზბეკეთში სამხედრო-საჰაერო ბაზის გარეშეც განვახორციელებთ, მართალია - შეზღუდული მასშტაბებით, მაგრამ - მაინც,"** - განაცხადა ამერიკელმა გენერალმა ჯონ აბიზაიდმა.

უზბეკეთში საჰაერო ბაზის გამოყენება ამერიკელებს 2001 წლიდან დასჭირდათ მეზობელ ავღანეთში თალიბთა რეჟიმის წინააღმდეგ ოპერაციების ეფექტიანად განხორციელებისათვის.

ოფიციალურმა ვაშინგტონმა უზბეკეთის ავტოკრატ პრეზიდენტს ისლამ კარიმოვს, რომელსაც აშშ ტერორიზმის წინააღმდეგ მოკავშირედ განიხილავდა, არაერთხელ მოუწოდა, გულახდილი ყოფილიყო ანდიჟანში განვითარებული მოვლენების შეფასებისას. თუმცა, კარიმოვმა კონსტრუქციულობას თვითიზოლაციის პოლიტიკა ამჯობინა.

*24 საათი*

# ირანი ევროპელ ლიდერებთან საერთო ენის მონახვას რუსეთის დახმარებით ეცდება

ირანი, საკუთარი ბირთვული პროგრამის ირგვლივ ევროპის კავშირთან დავის მოგვარების მიზნით, კომპრომისული წინადადებით გამოვიდა. როგორც "როიტერი" ერთ-ერთ ევროპელ დიპლომატზე დაყრდნობით იუწყება, თეირანი მოსკოვს ირანში გადამუშავებული ურანის რუსეთში გამდიდრებას სთავაზობს. დიპლომატის თქმით, ეს კომპრომისი საფრანგეთთან, დიდ ბრიტანეთთან და გერმანიასთან შეთანხმებით, ირანის გაყინული ატომური პროგრამის განახლებას ისახავს მიზნად.

კომპრომისული წინადადებით, ირანი ისპაჰანის ურანის ქარხანაში სამუშაოებს განაახლებს და ნედლი ურანის კონცენტრატს აირისებრ ნაერთად გადაამუშავებს. ამასთან, ის საწვავის ციკლის ყველაზე დელიკატური ნაწილისგან - გამდიდრებისგან თავს შეიკავებს. აირისებრ ურანს რუსეთში გადაიტანენ, სადაც ის ირანის ინტერესებისთვის გამდიდრდება.

ლონდონის სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის ანალიტიკოსისა და აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის ბილ კლინტონის მრჩევლის გერი სეიმონის განცხადებით, ევროკავშირი ამ იდეას არ მიიღებს. ევროპელმა დიპლომატებმა, შესაძლოა, ახალი ინიციატივა მომავალ კვირაში ირანის დელეგაციის და ევროპის "დიდი სამეულის" საგარეო საქმეთა მინისტრების მოლაპარაკებაზე განიხილონ, თუ მხარეები შეხვედრის ადგილზე და დროზე შეთანხმდებიან.

ვაშინგტონი შიშობს, რომ ირანის ბირთვული პროგრამა ატომური იარაღის შექმნას ისახავს მიზნად. ევროპის კავშირი ვაშინგტონის შეშფოთებას იზიარებს და, ურანის გამდიდრების პროგრამის სანაცვლოდ, ირანს ეკონომიკურ და პოლიტიკურ შეღავათებს სთავაზობს.

*ინტერპრესი*

## ორი სიტყვით

**ჩინეთი.** ჩინეთის ეკოლოგიური სამსახურის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგად, აღმოჩნდა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოსახლეობის 70 პროცენტი ისეთ ეკოლოგიურ პირობებში ცხოვრობს, რომელიც დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება.

მეცნიერთა აზრით, "ნაგვის ბლოკადის" გამო ჩინეთის ეკოლოგია სერიოზული საფრთხის წინაშე დგას. სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, ჩინეთის ქალაქებში 20 000 ჰექტარ მიწის ფართობზე 6 მლრდ ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენებია დალექილი, თანაც ეს "ევერესტი" ყოველწლიურად 5 პროცენტით მატულობს. რასაკვირველია, ეკოლოგიური პრობლემის ამ მასშტაბით გაჩენის მიზეზი ნარჩენების გადამუშავების მოუწესრიგებელი სისტემაა.

2002 წელს ჩინეთის ქალაქებში ნაგვის მხოლოდ 15 პროცენტის გადამუშავება მოხერხდა. მომდევნო წლებში ვითარება კიდევ უფრო გართულდა. სწორედ ამიტომ ჩინეთში ჩასული ტურისტისთვის არაფერია უჩვეულო იმაში, როდესაც ჰიგიენური ნიღბით ქუჩებში მოსიარულე ჩინელებს ხედავს. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**ევროპა.** ევროკავშირმა კუბიდან გერმანელი და ჩეხი პარლამენტარების გაძევება მკაცრად გააპროტესტა. ევროკომისიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კუბის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ჩეხი სენატორის კარელ შვარცენბერგისა და გერმანიის პარლამენტის დეპუტატის არნოლდ ფაატცის ქვეყნიდან გაძევებამ ევროკავშირისა და კუბის ურთიერთობას შესაძლოა, სერიოზული ჩრდილი მიაყენოს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დეპუტატებს კუბელი დისიდენტების შეკრებაში უნდა მიეღოთ მონაწილეობა. ამდენად, კუბის ხელისუფლების გაღიზიანების მიზეზი ადვილი მისახვედრია. როგორც ცნობილია ადრე, ამავე მიზეზით, ორ პოლონელ პარლამენტარს კუბაში შესვლაზე უარი ეთქვა. ქვეყანაში მყოფი სამი პოლონელი ჟურნალისტი კი კუბის სამართალდამცველმა ორგანოებმა დააკავეს. **ინტერპრესი**

■ ■ ■

**ავღანეთი.** პარასკევს გავრცელდა ცნობა რამდენიმე დღის წინ ქაბულში გატაცებული იტალიელი მძევლის სიკვდილი შესახებ. როგორც სააგენტო "როიტერს"-ს გუშინ ერთ-ერთმა გამტაცებელმა თიმურ შაჰმა უთხრა, ჰუმანიტარული ორგანიზაცია "ქეა ინტერნეშნლ"-ის თანამშრომელი კლემენტინა კანტონი სიკვდილით დასაჯეს მას შემდეგ, რაც ავღანეთის ხელისუფებამ უარი განაცხდა გამტაცებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. "ჩვენ ის წუხელ, ცხრა საათზე თოკით დავახრჩეთ," - ამბობს თიმურ შაჰი. თუმცა, გუშინვე ავღანეთის პრეზიდენტის პრესსამსახურმა უარყო გავრცელებული ინფორმაცია. ოფიციალური ქაბული ირწმუნება, რომ ორშაბათს გატაცებული კანტონი ცოცხალია. **როიტერსი.**

■ ■ ■

**უზბეკეთი.** ტაშკენტის ცენტრში, ეუთო-ს წარმომადგენლობის შენობასთან გუშინ, დაახლოებით, 15-მა ადამიანის უფლებათა დამცველმა პიკეტი მოაწყო. აქციის მონაწილეების თქმით, ისინი არ ეთანხმებიან უზბეკეთში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელის მიროსლავ ენჩის აზრს ანდიჟანში დატრიალებული მოვლენების შესახებ. ხუთშაბათს ადგილობრივმა გაზეთმა "პრავდა ვოსტოკამ" ენჩის ინტერვიუ გამოაქვეყნა, რომელშიც მან ანდიჟანის მოვლენებს "დამნაშავე ელემენტების" მიერ ჩადენილი "კრიმინალური აქტი" უწოდა. მოულოდნელად პიკეტის მონაწილეებს თავს დაესხნენ სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაცები, რომლებმაც დემონსტრანტებისთვის პლაკატების წართმევა სცადეს. შეხლა-შემოხლა სწრაფად დასრულდა და თავდამსხმელებმა უკან დაიხიეს.

ამის შემდეგ აქციის სამი მონაწილე ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელთან შესახვედრად შენობაში მიიწვიეს. მალე ისინი მიროსლავ ენჩისთან ერთად გამოვიდნენ, რომელმაც განაცხადა, რომ გაზეთმა მისი სიტყვები დაამახინჯა. **ინტერპრესი**

■ ■ ■

**ერაყი.** ბაღდადის ცენტრში გუშინ ძლიერი აფეთქება მოხდა. კატარის ტელეარხის "ალ-ჯაზირას" მონაცემებით, აბდელ მოჰსენ ალ-ქაზიმის მოედანზე დანაღმული ავტომანქანა აფეთქდა. ეს იმ დროს მოხდა, როცა იქ პოლიციის პატრულმა გაიარა; არიან მოკლულები და დაჭრილები. აპრილის ბოლოდან, ერაყის ახალი მთავრობის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ქვეყნის მასშტაბით ტერაქტებს 500-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. **ინტერპრესი**

■ ■ ■

**დსთ.** დსთ-ში ერთიანი მონაცემთა ბაზა შეიქმნება, სადაც ტერორიზმში ეჭვმიტანილ პირთა დაქტილოსკოპიური მონაცემები (თითების ანაბეჭდები) შეინახება. ამის შესახებ ოქმს გუშინ ასტანაში გამართულ დსთ-ს წევრი-ქვეყნების უშიშროების სამსახურების ხელმძღვანელთა მე-18 სხდომაზე მოაწერეს ხელი. **რიანოვოსტი**

■ ■ ■

**რუსეთი.** ინფორმირებული წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში-უფროსი მომავალ კვირას სამდღიანი არაოფიციალური ვიზიტით მოსკოვს ეწვევა. ვიზიტის მიზანია კომერციული პროექტების განხილვა.

ამავდროულად, "გორბაჩოვის ფონდის" პრესსამსახური იტყობინება, რომ მოსკოვში ყოფნის დროს აშშ-ს ექს-პრეზიდენტი გორბაჩოვის მიწვევით ორ ღონისძიებაში მიიღებს მონაწილეობას. შეგახსენებთ, ჯორჯ ბუშ-უფროსი უკანასკნელად რუსეთში 2003 წლის სექტემბერში კერძო ვიზიტით იმყოფებოდა. მაშინ ყოფილი პრეზიდენტი მოსკოვს, სანკტ-პეტერბურგსა და სოჭს ეწვია. **ინტერფაქსი**

■ ■ ■

**ჩინეთ-ტაივანი.** როგორც სახელმწიფო სააგენტო იუწყება, პეკინი მზადაა, თავის მოქალაქეებს განდგომილ ტაივანზე ჩასვლის ნება დართოს. შეგახსენებთ, ჩინეთის სამოქალაქო ომის შემდეგ კონტინენტზე მცხოვრებ ჩინელებს აეკრძალათ კუნძულ ტაივანზე ჩასვლა, სადაც პეკინიდან გაქცეულმა ჩან კაიშის მთავრობამ ჰპოვა თავშესაფარი. 1949 წლის შემდეგ დაწესებული შეზღუდვის გაუქმება კიდევ ერთი ნაბიჯია მხარეებს შორის დაძაბულობის შესანელებლად. ტაივანის ტრანსპორტის მინისტრი აცხადებს, რომ კუნძულის ხელისუფლება მზადაა, დაიწყოს კონტინენტურ ჩინეთთან მოლაპარაკებები ტურიზმის სფეროში თანამშრომლობასთან დაკავშირებით. თუმცა, იგი ხაზს უსვამს, რომ "ეს მოლაპარაკებები თანასწორუფლებიანი უნდა იყოს". **როიტერსი.**

■ ■ ■

**პალესტინა.** გუშინ ცნობილი გახდა, რომ პალესტინაში დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნები დაგეგმილ დროს - 17 ივლისს გაიმართება. "მე არ მაქვს (არჩევნების) გადატანის არანაირი გეგმები. არჩევნები 17 ივლისს ჩატარდება," - განაცხადა პალესტინის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მაჰმუდ აბასმა ინდოეთის დედაქალაქში ვიზიტის დროს. **როიტერსი**

# "ტაკომი" არ ნებდება

*კომპანია "ტაკომ გლორია პივდენი" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრს ალექსი ალექსიშვილს კომპანიის დისკრედიტაციაში ადანაშაულებს.*

როგორც გუშინ სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე კომპანიის დირექტორმა ამნონ ტალიმ განაცხადა, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობაზე გამოცხადებულ ტენდერთან დაკავშირებით, ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ მის კომპანიაზე მცდარი ინფორმაცია გაავრცელა.

ამნონ ტალის თქმით, ალექსიშვილის განცხადება მიზნად ქართული საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ისახავდა. **"ალექსიშვილი ცდილობს, ჩემ მიერ წარმოდგენილი კომპანიის მიმართ ცილისწამების და პირდაპირი დისკრედიტაციის გზით დამალოს ტენდერის ჩატარებისას დაშვებული მრავალი დარღვევა, რასაც ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მხრიდან ჰქონდა ადგილი,"** - განაცხადა ამნონ ტალიმ.

ეკონომიკური განვითარების მინისტრი ალექსი ალექსიშვილი "ტაკომ გლორია პივდენს" აეროპორტის მშენებლობისთვის სამთავრობო გარანტიების მოთხოვნაში ადანაშაულებდა, რის გამოც, ეს კომპანია გამარჯვებულ კომპანიად არ დასახელდა. **"სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს არის ურცხვი ტყუილი მინისტრის მხრიდან. ჩვენი კონსორციუმის წევრები პირდაპირ ინვესტიციას ვახორციელებდით და სახელმწიფოსგან არანაირ გარანტიებს არ ვითხოვდით,"** - განაცხადა "ტაკომის" ხელმძღვანელმა. მისივე თქმით, სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს "ტაკომ გლორია პივდენი" უკრაინული კომპანიაა, ასევე არასწორია. **"კომპანია გერმანულია. იგი აეროპორტებს მრავალ ქვეყანაში აშენებს და ამ საქმეში საკმაოდ დიდი გამოცდილებაც აქვს,"** - აღნიშნა ტალიმ.

ამნონ ტალი ეკონომიკის მინისტრს ტენდერში გამარჯვებული კონსორციუმის - "ჩელების", ჯითი-ესის" და "ეი & ჯეის" - ლობირებაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ შესაძლოა, მისმა კომპანიამ სასამართლოს მიმართოს. **"ჩვენ საკუთარი ბიზნეს-რეპუტაციისა და ინტერესების დასაცავად, კანონით გათვალისწინებულ ყველა გზას მივმართავთ, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ,"** - აღნიშნა გერმანული კომპანიის ხელმძღვანელმა.

*24 საათი*

# გაჭირვებული რაიონების გამგებლები შსს-ს ეხმარებიან

პირველი გვერდიდან

ზუსტად ამდენივე გაიღეს თელავისა და ზუგდიდის რაიონის გამგებლებმა, ოდნავ ნაკლები, 120 ათასი ლარი - რუსთავისა და ბოლნისის გამგებლებმა. საკუთარი ტრანსფერტიდან დაახლოებით 200 ათას ლარზე ამბობს უარს სამტრედიის რაიონის გამგებელიც და მას ბოლო თეთრამდე შსს ანგარიშზე რიცხავს. გაცილებით მოკრძალებულები იყვნენ სენაკისა და ბაღდათის რაიონის გამგებლები. პირველი შსს-ს რაიონის შემოსავლებიდან 30 ათას ლარს ჩუქნის, მეორე კი ტრანსფერტიდან - 45 ათას ლარს.

დაახლოებით, 2 მილიონ ლარზე ამბობს უარს საკუთარი ტრანსფერტიდან აჭარის ადგილობრივი ხელისუფლება. ესეც ბოლო თეთრამდე შსს-ს ანგარიშზე ირიცხება.

ამ ყველაფერში, რბილად რომ ვთქვათ, გაკვირვებას კიდევ ის ფაქტი იწვევს, რომ 61 რაიონის გამგებელს მსგავსი კეთილშობილური საქმის გაკეთების სურვილი, რატომღაც, ერთი და იგივე დროს უჩნდება. 61 გამგებლის 61 წერილიდან, რომელიც ფინანსთა სამინისტროში შედის და მათ კეთილ სურვილს გამოხატავს, უმრავლესობა ერთი და იგივე თარიღით არის დათარიღებული. ზოგიერთი მათგანი - რამდენიმე დღით ადრე ან გვიან.

გამგებლების ასეთი ჯგუფური ქველმოქმედება ეკონომიკურ ექსპერტთა ერთ ნაწილსაც სერიოზულად აეჭვებს. მართალია, ისინი პირდაპირი მინიშნებისგან თავს იკავებენ, თუმცა გამგებლებზე შესაძლო ზეწოლაზე გადაკვრით საუბრობენ: **"ეს არის უხეში ჩარევა ცენტრის მხრიდან ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის საქმეებში, რადგან კანონით მკაცრად არის გამიჯნული თითოეული მათგანის კომპეტენცია. თავდაცვა და სამოქალაქოს წესრიგის დაცვა პირდაპირ ცენტრის საქმეა. ასეთი ჩარევები კი, მერწმუნეთ, რომ თავად ცენტრისთვის არის საზიანო. ამ შემთხვევაში იმდენად დიდ შემოსავლებზე არ იქნება საუბარი, რამდენადაც კონტროლის მექანიზმების გაძლიერებაზე. ასეთი ფაქტები კი, პერსპექტივაში, გამორიცხავს ეფექტურ დიალოგს სეპარატისტულ რეჟიმებთან. თუკი ჩვენ ვამბობთ, რომ გვინდა დავანახოთ მათ, თუ რა კარგია თვითმმართველობა, ამის ნაცვლად რეალურად ვანახებთ მათ, რომ არ გვენდონ, რომ ჩვენ მოსახლეობას და სტრუქტურებს არ ვინდობთ და რომ მათზე ვაწარმოებთ სახელმწიფო რეკეტს. ამ შემთხვევაში მე სხვა სიტყვები ვერ მომიძებნია,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს კავკასიური ინსტიტუტის წარმომადგენელმა დავით ლოსაბერიძემ.

| ტერიტორიული ერთეულები | 2005 ძველი | 2005 ახალი | სხვაობა |
|---|---|---|---|
| აჭარის ა/რ | 48,410 | 46,477 | -1,933 |
| აფხაზეთის ა/რ | 8,486 | 8,436 | -50 |
| გურჯაანის რაიონი | 1,995 | 1,950 | -45 |
| [illegible] რაიონი | 1,516 | 1,498 | -18 |
| სამტრედიის რაიონი | 1,554 | 1,378 | -176 |
| წყალტუბოს რაიონი | 1,265 | 1,259 | -6 |
| ხობის რაიონი | 1,408 | 1,400 | -8 |
| ბაღდათის რაიონი | 1,053 | 1,006 | -47 |
| [illegible] რაიონი | 1,257 | 1,252 | -5 |
| სენაკის რაიონი | 993 | 984 | -9 |
| ჩხოროწყუს რაიონი | 1,342 | 1,330 | -12 |
| წალენჯიხის რაიონი | 1,684 | 1,680 | -4 |
| ხონის რაიონი | 764 | 751 | -14 |
| ქარელის რაიონი | 1,049 | 1,030 | -19 |
| ხაშურის რაიონი | 1,367 | 1,347 | -20 |
| გარდაბნის რაიონი | 435 | 0 | -435 |
| თეთრიწყაროს რაიონი | 1,035 | 1,021 | -14 |
| ლანჩხუთის რაიონი | 1,338 | 1,328 | -10 |
| ახალციხის რაიონი | 1,245 | 1,230 | -15 |
| სულ: | | | -2840 |

*20-მდე რაიონს ტრანსფერტები შეუმცირდა.*

გამგებლების ასეთი მოულოდნელი გულმოწყალება "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" ექსპერტს საბიუჯეტო საკითხებში კახა იმერლიშვილსაც აეჭვებს. მისი თქმით: **"დღეს თითქმის ყველა რაიონის ბიუჯეტი დეფიციტურია და ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე ყოველთვის მწვავედ დგას შემოსავლების სიმწირე, რაც არაფრით არ არის საკმარისი რაიონში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. მეტიც, ხშირ შემთხვევაში ის ტრანსფერტიც არასაკმარისია, რომელიც რაიონს ერიცხება მასზე ცენტრისგან დელეგირებული უფლება-მოვალეობების შესასრულებლად."** კახა იმერლიშვილს ამის ნიმუშად ქუთაისი მოჰყავს, რომელსაც მხოლოდ განათლების ხარჯების დასაფინანსებლად წელიწადში დახლოებით 11 მილიონი ლარი სჭირდება, მაშინ, როცა ამ რაიონის ტრანსფერტმა წელს 3 მილიონ 800 ათასი ლარი შეადგინა, რაც, შარშანდელ მაჩვენებელთან შედარებით, თითქმის 2 მილიონით ნაკლებია.

საბოლოო ჯამში, ამ შემოწირულობებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაახლოებით 6 მილიონი ლარი მოაგროვა, რომელიც მთლიანად ამ უწყების კაპიტალურ ხარჯებში გაიწერა. ეს კი, პირველ რიგში, როგორც შსს-ში ამბობენ, საპატრულო პოლიციის ნორმალურად მუშაობას მოხმარდება.

# მეცხოველეობის სანაშენე საქმიანობის გაუმჯობესების პროექტი შუახევის რაიონში

IFAD-ის საქართველოს მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის ფარგლებში შუახევის რაიონში მეცხოველეობის სანაშენე საქმიანობის გაუმჯობესების პროექტი დაიწყო. პროექტს ახორციელებს IFAD-ის პროგრამის კონტრაქტორი არასამთავრობო ორგანიზაცია MADI (მთიანი რეგიონების განვითარების საერთაშორისო ასოციაცია), რომელმაც შუახევის რაიონის სოფელ დღვანში "კავკასიური წაბლა" ჯიშის 6 სანაშენე ბუღა-მწარმოებელი შეიყვანა. შედეგად, მიმდინარე წელს დღვანში განაყოფიერდება, სულ მცირე, 160 ფური, ხოლო პირველი თაობის ნაჯვარი ხბოების მიღება დაიწყება 2006 წლის იანვრიდან. პროექტი დღვანში მოიცავს 76 ფერმერთან მუშაობას, რომელთა კუთვნილებაშია 728 მსხვილფეხა პირუტყვი.

სოფელში შეყვანილი 6 ბუღა-მწარმოებელი კენჭისყრის შედეგად გადანაწილდა კონკრეტულ მომვლელებზე, რომლებიც ბუღა-მწარმოებლების საკვებით უზრუნველყოფის მიზნით უფასოდ მიიღებენ 7,5 ტ კომბინირებულ საკვებს და 9 ტ თივას.

სანაშენე საქმიანობის გაუმჯობესების პროექტის პარალელურად, დღვანში გათვალისწინებულია ვეტერინარულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება, კერძოდ, პირუტყვის ინვაზიურ და პარაზიტულ დაავადებებზე დამუშავება, ასევე ინფექციური დაავადებების - ემკარისა და პასტერელოზის საწინააღმდეგო აცრები, რათა სოფელში შეიქმნას ეპიზოოტიურად კეთილსაიმედო ფონი.

სანაშენე საქმიანობის გაუმჯობესების პროექტმა IFAD-ის პროგრამის დანარჩენ სამ რაიონში (დუშეთი, ასპინძა, ამბროლაური) გასულ წელს დაიწყო მუშაობა და უკვე მიღებულია 490 ნაჯვარი თაობის ხბო. სულ, მიმდინარე წელს, პროექტით სამივე რაიონში დაგეგმილია, სულ მცირე, 800-მდე ხბოს მიღება.

*24 საათი*

# ონოფრიშვილი რკინიგზის მუშაობით კმაყოფილია

*შპს "საქართველოს რკინიგზის" გენერალურმა დირექტორმა დავით ონოფრიშვილმა გუშინ ჟურნალისტებს გასული თვეების ანგარიში ჩააბარა და უახლოეს გეგმებზე ესაუბრა.*

მარიამ ჭაჭვაძე

ონოფრიშვილის თქმით, მალე "საქართველოს რკინიგზის" მომსახურებით შესაძლოა ერთ-ერთმა უდიდესმა ამერიკულმა ნავთობკომპანიამ "ექსონ მობილმა" ისარგებლოს.

მისივე ინფორმაციით, "ექსონ მობილმა" "საქართველოს რკინიგზის" მიმართ დაინტერესება დიდი ხნის წინათ გამოხატა და მზად არის, ყაზახეთში მოპოვებული ნავთობი მომხმარებლამდე საქართველოს გავლით მიიტანოს.

ონოფრიშვილის განმარტებით, "ექსონ მობილის" საქართველოს სარკინიგზო მაგისტრალით დაინტერესების მთავარი მიზეზი ის სატარიფო პოლიტიკაა, რომელსაც ამჟამად რკინიგზის ხელმძღვანელობა ატარებს და რამაც ბოლო ხუთი თვის განმავლობაში საქართველოზე გამავალი ტვირთების მნიშვნელოვანი ზრდა განაპირობა.

**"სარკინიგზო გადაზიდვებზე ტარიფის შემცირებით, საქართველოზე გამავალი ევრაზიის სატრანზიტო კორიდორი სრულად ამოქმედდა. ბოლო ხუთი თვის განმავლობაში, მხოლოდ ნედლი ნავთობის სახით, 6 503 000 ტონა ტვირთი გადავზიდეთ. ბოლო 15 წლის განმავლობაში საქართველოს რკინიგზას ასეთი მაჩვენებელი არ ჰქონია,"** - აღნიშნა ონოფრიშვილმა.

საქართველოს რკინიგზის გენერალური დირექტორის ინფორმაციით, მნიშვნელოვნად გაიზარდა მგზავრების გადაყვანის შედეგად მიღებული შემოსავლებიც. ონოფრიშვილის თქმით, ამის მიზეზი სამგზავრო გადაზიდვების ადმინისტრაციის შეცვლა და კორუფციის შემცირება გახდა.

კიდევ ერთი სიახლე, რაც გუშინდელ პრესკონფერენციაზე გაჟღერდა, რკინიგზაზე ახალი სამგზავრო ვაგონების შემოყვანაა. ონოფრიშვილის თქმით, ივნისის თვიდან თბილისსა და ბათუმს შორის ახალი, საერთაშორისო სტანდარტების მქონე 21-ვაგონიანი მატარებელი იმოძრავებს. "საქართველოს რკინიგზას" მატარებლის განახლება 6,5 მილიონი დოლარი დაუჯდა. მისი მოდერნიზება უკრაინაში, დნეპროპეტროვსკის ვაგონშემკეთებელ ქარხანაში განხორციელდა. ონოფრიშვილის თქმით, მატარებელი ბათუმის მიმართულებით თბილისიდან საღამოს გავა. ბილეთის მაქსიმალური ფასი კი 50 ლარი იქნება. **"მგზავრობის ღირებულებაში შედის მომსახურების სრული სერვისი. მომსახურე პერსონალი შესაბამისი ტექნიკით და ახალი უნიფორმებით აღჭურვილი იქნება,"** - აღინიშნა დღევანდელ პრესკონფერენციაზე. რკინიგზის დეპარტამენტში იმედოვნებენ, რომ ახალი მატარებელი მომხმარებელთა კომფორტულ და უსაფრთხო მგზავრობას უზრუნველყოფს.



*ონოფრიშვილის ინფორმაციით, მნიშვნელოვნად გაიზარდა მგზავრების გადაყვანის შედეგად მიღებული შემოსავლები.*

რაც შეეხება ყარსი-ახალქალაქის დამაკავშირებელი სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობას, ამ საკითხთან დაკავშირებით რკინიგზის გენერალურმა დირექტორმა განაცხადა, რომ დაინტერესება ყაზახეთმაც გამოთქვა. მისივე ინფორმაციით, ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტზე ამჟამად ბაქოში ექსპერტთა დონეზე საკმაოდ ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს. თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, როდის დაიწყება მისი რეალიზება.

ონოფრიშვილის განმარტებით, ჩასატარებელია გარკვეული მარკეტინგული სამუშაოები ანუ დასადგენია მაგისტრალის მომხმარებელთა და მასზე გამავალი ტვირთების სავარაუდო რაოდენობა, რაც მაგისტრალს, ამოქმედების შემთხვევაში, მომგებიანსა და რენტაბელურს გახდის.

ყარსი-ახალქალაქის დამაკავშირებელი რკინიგზის მშენებლობისადმი ინტერესი აზერბაიჯანმა და თურქეთმა უკვე გამოთქვა. მისი მშენებლობა, სავარაუდოდ, რამდენიმე ასეული მილიონი დოლარი დაჯდება.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე ონოფრიშვილმა თბილისის რკინიგზის სადგურის შენობის იჯარით გაცემასთან დაკავშირებითაც გააკეთა განცხადება. მისი თქმით, მალე ამ შენობის საიჯარო პირობებს საქართველოს რკინიგზა უახლოეს ერთ თვეში გამოაცხადებს.

როგორც გუშინ გაირკვა, ვაგზლის შენობის იჯარით აღების სურვილი რამდენიმე კომპანიამ უკვე გამოთქვა. თუმცა, ონოფრიშვილმა, რომელსაც საჯარო და გამჭვირვალე კონკურსის ჩატარება სურს, მათი დასახელებისგან ჯერჯერობით თავი შეიკავა.

ვაგზლის შენობის კერძო ინვესტორისთვის მიყიდვა ონოფრიშვილს ამ ეტაპზე, ტექნიკური თვალსაზრისით, შეუძლებლად და გაუმართლებლად მიაჩნია. ონოფრიშვილის აზრით, სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებით, სარკინიგზო მაგისტრალების გასხვისებაც დაუშვებელია. სამაგიეროდ, "საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორი მზადაა სარკინიგზო პარკის - ვაგონებისა და ელმავლების გაყიდვისთვის. თუმცა, მისივე თქმით, მსგავსი დაინტერესება ჯერჯერობით არავის გამოუთქვამს.

# საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საქართველოს პარტნიორ ქვეყნებთან უარყოფითი სავაჭრო ბალანსი ჰქონდა და ის 288,7 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. როგორც პრაიმ-ნიუსს საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში განუცხადეს, იანვარ-მარტში საქართველოდან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ექსპორტირებული იქნა 165,8 მლნ დოლარის ღირებულების პროდუქცია, ხოლო იმპორტირებული პროდუქციის ღირებულებამ 454,5 მლნ დოლარი შეადგინა. დეპარტამენტის ინფორმაციით, მიუხედავად ამისა, საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის მაჩვენებელი წინა წლისას 45,4 პროცენტით აღემატება.

მათივე ინფორმაციით, საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა-ამ დსთ-ს ქვეყნებთან 238,8 მლნ დოლარი შეადგინა, რუსეთთან - 105,9 მლნ დოლარი, ევროკავშირის ქვეყნებთან - 155,2 მლნ დოლარი.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საქართველოდან ექსპორტირებულ პროდუქციას შორის პირველ ადგილზე შავი ლითონების ჯართია - მის წილად ექსპორტის 16,9 პროცენტი მოდის. უმსხვილესი იმპორტული საქონელი კი ნავთობი და ნავთობპროდუქტებია, რომლის წილი იმპორტის საერთო მოცულობაში 12,5 პროცენტს შეადგენს.

*24 საათი*

# პარლამენტში უცხოელ ბიზნესმენთა საკონსულტაციო საბჭო შეიქმნა

*პარლამენტმა გუშინ ქვეყნის ბიზნეს-გარემოს ფორმირებაში საკუთარი როლის გასაძლიერებლად და ბიზნესმენებთან და ინვესტორებთან პირდაპირი კონტაქტის დასამყარებლად კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა: პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტების ინიციატივით, უცხოელ ინვესტორთა საკონსულტაციო საბჭო დაფუძნდა.*

თამარ ივანიძე

სხდომას საელჩოების წარმომადგენლები და საქართველოში მოღვაწე ბიზნესმენები ესწრებოდნენ. ინიციატორთა ინფორმაციით, საბჭოს მიზანია, გახდეს მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ეკონომიკაში მიზანმიმართული და თანმიმდევრული პოლიტიკის შესაქმნელად. იგი დაეხმარება ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას და უზრუნველყოფს კანონის უზენაესობას.

საბჭოში ინვესტორებს საშუალება მიეცემათ, მიიღონ ინფორმაცია მთავრობის პოლიტიკასა და პრიორიტეტების შესახებ. თავის მხრივ კი, სახელისუფლებო სტრუქტურებს მათ წინაშე მდგარი პრობლემების შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ.

უცხოელ ინვესტორთა საბჭოს დაფუძნებას პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე მიესალმა. მისი თქმით, **"ქვეყნის პრიორიტეტი ინვესტორების მოზიდვაა, რისთვისაც აუცილებელია კარგი საინვესტიციო კლიმატი."**

იგი პარლამენტის სახელით აცხადებს, რომ მზად არის მიიღოს ნებისმიერი ინიციატივა კანონის გაუმჯობესების კუთხით, რათა ინვესტორებმა საქართველოში თავი დაცულად იგრძნონ.

მისივე თქმით, პარლამენტი თავის საზედამხედველო ფუნქციებს გააძლიერებს და ხელს შეუწყობს სასამართლო ხელისუფლების განმტკიცებას, რათა ინვესტორებს, დავის შემთხვევაში, სასამართლოს მხრიდან სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების იმედი ჰქონდეთ.

**"საქართველო ელის ინვესტიციების ზრდას არა მარტო თბილისში, არამედ რეგიონებშიც, რაც ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია,"** - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის კოტე გაბაშვილის თქმით, ორივე კომიტეტი იქნება ლობისტი საერთო საქმისა, რათა ქვეყანაში ნორმალური საინვესტიციო გარემო ჩამოყალიბდეს.

უცხოელ ბიზნესმენთა საკონსულტაციო საბჭო ორ თვეში ერთხელ რეგულარულად შეიკრიბება და კონკრეტულ მიზნებს დასახავს.


**ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია "ელკანა" აცხადებს ტენდერს პროექტი N00037324 -ში შესასრულებლად საჭირო მასალების შეძენაზე:**

1. ტრანსფორმატორი 100 / 10 კვ - 1 ცალი
2. ელ. გადამცემი ხაზის ბოძი - 20 ცალი
3. მაღალი ძბვის ალუმინის ელ.სადენი - 2600 მეტრი
4. იზოლატირები- 85 ცალი
5. ტრავერსები - 20 ცალი
6. საჰაერო გამთიშველი - 1 ცალი
7. წყლის საქაჩი ტუმბო 28კვ. 100მ3 / 50მ -1 ცალი
8. მეტალის 5მმ. მილი 1000 - 560 მეტრი
9. ურდულები და საპირეები წყლის მილებისათვის - 8 წყვილი
10. სამშენებლო ბლოკი - 2 500 ცალი
11. ცემენტი 400 მარკა - 5 ტონა

შემოთავაზების ბოლო ვადაა განცხადების გამოქვეყნებიდან 10 დღე.

**ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია "ელკანა"**
**თბილისი, დელისის III ქ. ნაკვეთი N16; ტელეფონი 53 64 89; ფაქსი 53 64 87; ელ. ფოსტა: administration@elkana.org.ge**


# "საქართველოს ბანკის" აქციები "ფაიარბერდის" სამმა ფონდმა შეიძინა

*"თიბისი ბანკის" მფლობელობაში არსებული "საქართველოს ბანკის" აქციები "ფაიარბერდის" სამმა ფონდმა შეიძინა. აღნიშნული გარიგება გუშინ, საქართველოს საფონდო ბირჟაზე განხორციელდა. თითო აქცია საკმაოდ მაღალ ფასად - 6.45 ლარად გაიყიდა.*

ნინო ნარჩემაშვილი

"საქართველოს ბანკი"-ში აცხადებენ, რომ "ფაიარბერდ ავრორა ფონდმა", "ფაიარბერდ რეფაბლიქს ფონდმა" და "ფაიარბერდ გლობალ მასტერ ფონდმა" "თიბისი ბანკის" მფლობელობაში არსებული 796,184, 513,635 და 141,279 ცალი აქციები შეიძინეს, რითაც "საქართველოს ბანკის" კაპიტალში მათი კუთვნილი წილი გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ "თიბისი ბანკმა" გაყიდა მის მფლობელობაში არსებული "საქართველოს ბანკის" ყველა აქცია. "ფაიარბერდის" ფონდებს საბროკერო მომსახურება "გალტ ენდ თაგგარტ სიქიურითისმა" გაუწია. "ფაიარბერდ მენეჯმენტ"-ის ხელმძღვანელის იან ჰეიგის შეფასებით, **"ნამდვილად საამაყოა, რომ სამ ფონდს მიეცა "საქართველოს ბანკის" კაპიტალში მათი წილების გაზრდის შესაძლებლობა. მოხარულნი ვართ, გავაღრმაოთ ჩვენი მონაწილეობა ბანკის საქმიანობაში, რადგან "საქართველოს ბანკი"-ს პერსპექტივებში დარწმუნებულნი ვართ."** "საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორის ლადო გურგენიძის განცხადებით, **"აღნიშნული გარიგებები ბანკის განვითარებისთვის მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის ფონზე, რომ ბანკი საკუთარი აქციების საერთაშორისო ლისტინგში განთავსებისთვის ემზადება და აგრძელებს ბანკის ზრდის სტრატეგიის განხორციელებას, რაც ასევე შესყიდვების მეშვეობით ზრდასაც მოიცავს."**

# ვაკე-საბურთალოს პროკურატურას ახალი ოფისი აქვს

**"გენერალური პროკურორისა და სხვათა ძალისხმევით, დღეისათვის ყველა პირობაა შექმნილი, რომ თითოეულმა პროკურორმა ეფექტურად იმუშაოს და ის მოთხოვნები დააკმაყოფილოს, რასაც მას კანონი ავალდებულებს",** - ეს განცხადება თბილისის პროკურორმა გიორგი ღვინიაშვილმა გუშინ გააკეთა ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის ოფისის პრეზენტაციაზე

დღეიდან ვაკე-საბურთალოს რაიონულ პროკურატურას ევროსტანდარტების შესაბამისად გარემონტებული ოფისი აქვს. აქამდე ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურა ვაკეში, არაყიშვილის ქუჩაზე მდებარეობდა, ამჟამად კი დიღომში, ქალაქის პროკურატურის შენობის მეცხრე სართულზე გააგრძელებს მუშაობას. ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურის 18 თანამშრომელს თანამედროვე ტექნიკით, ავეჯით აღჭურვილი სამუშაო კაბინეტები ექნებათ. პროკურატურის ოფისში სახანძრო სიგნალიზაციაც დამონტაჟებულია.

**"პროკურატურის შენობათა სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, დაახლოებით ხუთი თვეა, მიმდინარეობს. რამდენიმე კვირის წინ ქალაქის პროკურატურის ახლად გარემონტებული ოფისი გაიხსნა. ჩატარებული სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა უახლოეს ხანში მოხდება და დაზუსტდება, თუ რა თანხა იქნა გახარჯული შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის",** - განაცხადა პრეზენტაციაზე თბილისის პროკურორმა. მისივე თქმით, თბილისის რაიონული პროკურატურების შენობათა სარეაბილიტაციო სამუშაოები "პროკურატურის განვითარების პროექტის" ფარგლებში მიმდინარეობს და სარემონტო სამუშაოები საქართველოს რეგიონულ ოფისებშიც განხორციელდება.

ჩვენი ინფორმაციით, "პროკურატურის განვითარების პროექტის" ფარგლებში 30 მაისისთვის (პროკურატურის დღისთვის) თბილისის ყველა რაიონული პროკურატურის შენობის რეაბილიტაცია დასრულდება.

*24 საათი*



ინტერპრესი

*დღეიდან ვაკე-საბურთალოს რაიონულ პროკურატურას ევროსტანდარტების შესაბამისად გარემონტებული ოფისი აქვს.*

# ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონპროექტი მზად არის

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" ჟურნალისტებს "ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" კანონპროექტი წარუდგინა

არასამთავრობო ორგანიზაციის "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" მიერ "ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" მომზადებული კანონპროექტი უახლოეს ხანში ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში გაიგზავნება.

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციციის" კანონის უზენაესობის დაცვის პროექტის ხელმძღვანელის მარინა მესხის განცხადებით, კანონპროექტი ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მექანიზმებს ითვალისწინებს. აქცენტები გაკეთებულია არასრულწლოვანთა წინააღმდეგ მიმართულ ძალადობის საკითხებზეც.

**"კანონპროექტში გათვალისწინებულია ე.წ. დამცავი და შემაკავებელი ორდერის საკითხების დარეგულირებაც - ანუ მოძალადეებისთვის გარკვეული შეზღუდვების დაწესება. დამცავი და შემაკავებელი ორდერი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა მსხვერპლს არ სურს ძალადობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა",** - აცხადებს კანონის უზენაესობის დაცვის პროექტის ხელმძღვანელი.

პროექტის მომზადებისას "ახალგაზრდა იუსრისტთა ასოციაციასთან ერთად მუშაობდნენ იუსტიციის სამინისტროს და გენერალური პროკურატურის თანამშრომლები, საერთო სასამართლოების მოსამართლეები, საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტები, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციების "კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის ლიგის" და "ქალები მომავლისთვის" წარმომადგენლები. კანონის უზენაესობის დაცვის პროექტის ხელმძღვანელის განმარტებით, საქართველოში "ოჯახური ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" კანონი დღემდე არ არსებობს. "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციციას" აღნიშნული კანონპროექტის შექმნაში ფინანსურ მხარდაჭერას აშშ-ს იურისტთა ასოციაცია უწევდა.

*24 საათი*

# "ჭალათ პოლიციელებს არავინ სჯის"

*პარადოქსია - პოსტრევოლუციურ პერიოდში ჩატარებული, ფაქტობრივად, მასობრივი დაპატიმრებების მიუხედავად, პასუხი არ მოუთხოვიათ ძალოვან უწყებათა არც ერთი იმ ყოფილი მაღალჩინოსნისთვის, რომელთაც არა მარტო ირიბი კავშირი ჰქონდათ დაკავებულთა წამებასთან, არამედ უშუალოდ მონაწილეობდნენ ამაში. არადა, ასეთები რომ მრავლად იყვნენ, ამაზე წინასწარი დაკავების საკნებში თვითმკვლელობამდე მიყვანილ ადამიანთა რიცხვიც მეტყველებს, რომ აღარაფერი ვთქვათ მათზე, ვინც დღემდე ციხეში იმუშებს დაკითხვების დროს მიყენებულ ტრავმებს.*

სოფიკო ჩხაიძე

**"ორი ღამის განმავლობაში მაწამეს ელექტროშოკითა და აირწინაღის რეზინის ჩაფხუტით! ელექტროსადენები შემიერთეს ორივე ყურზე, რომლებიც წინასწარ წყლით დამისველეს და თავზე რეზინის აირწინაღი ჩამომაცვეს, სასუნთქი მილის გარეშე! შემდეგ ჩართეს დენი, რამაც ენით აუწერელი ტკივილი მომაყენა და დიდი ხნის განმავლობაში მოკლე ინტერვალებით ახორციელებდნენ სხეულში დენის გატარებას! მთელი ამ ხნის მანძილზე, საუბედუროდ, გონი არ დამიკარგავს და ტკივილს სხეულის ყველა ნაკვთით შევიგრძნობდი... თვალები, თითქოს, ბუდეებიდან ამოცვენას ლამობდნენ, ენა მისივდებოდა და ალუმინის გემოსა და სიმშრალის შეგრძნება მეუფლებოდა...თავის ქალას შიგნიდან რაღაც ძალა აწვებოდა და გახეთქვას არაფერი უკლდა... ტვინი, თითქოს, დუღილს და გაშრობას იწყებდა. ჯალათები ყურადღებით მაკვირდებოდნენ აირწინაღის ჩაფხუტის მინებიდან და მაშინვე თიშავდნენ დენს, როგორც კი გონის დაკარგვის ნიშნები დამეტყობოდა"**, - ეს ყველაზე ნაკლებად შემაძრწუნებელი ეპიზოდი გახლავთ არა სადისტი ბოროტმოქმედების, არამედ პოლიციელების ხელში ჩავარდნილი ადამიანის ნაამბობიდან, რომელიც ორი წლის წინ მიყენებულ ჭრილობებსა და წამების შედეგად დაზიანებულ ორგანოებს ციხის საავადმყოფოში მკურნალობს. კონსტანტინე ჭრელაშვილს ადამიანების გატაცებისა და ბევრი სხვა მძიმე დანაშაულისთვის სასამართლომ 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მისი თქმით, ბრალდება მთლიანად იმ აღიარებით ჩვენებას ეყრდნობოდა, რომელიც მის მიერ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად ხელმოწერილ ცარიელ ფურცლებზე მოგვიანებით დაიწერა. ჭრელაშვილის ნაამბობის თანახმად, ცარიელი ფურცლების ხელმოწერას წინ უძღოდა პოლიციელის ხელკეტით მისი გაუპატიურების იმიტაცია, რაც მხოლოდ იმიტომ ვერ მიიყვანეს ჯალათებმა ბოლომდე, რომ ხელი ხელმძღვანელმა შეუშალათ: **"მან შეაჩერა და უთხრა: აღარ არის საჭირო, მე ვიცი მაგის წამალიო... წინასწარი დაკავების საკანში, სადაც ორი დღე-ღამის მანძილზე მაწამებდნენ, ჩემი შვილი - პირველი ჯგუფის ინვალიდი ბიჭი, მოტყუებით შემოიყვანა და დამემუქრა, თუ წინააღმდეგობას არ შეწყვეტ, შენს შვილს შენ თვალწინ გავაუპატიურებთ, ამ სცენას სურათზე აღვბეჭდავთ და გარეთ ხალხში გავავრცელებთ; თუკი გიღირს ამად შენი სიჯიუტე, შენი საქმეაო! მათი სახეების გამომეტყველებამ დამარწმუნა, რომ ისინი დანაქადნებს უპრობლემოდ შეასრულებდნენ და იძულებული შევიქენი, ორმოციოდე ცარიელ ფურცელსა და ბლანკზე მომეწერა ხელი. დანარჩენი უკვე ტექნიკის საქმე იყო"**, - წერს კონსტანტინე ჭრელაშვილი განცხადებაში, რომლითაც მან "თავისუფლების ინსტიტუტს" მიმართა.

სხვათა შორის, ჭრელაშვილის და მის თანამზრახველებად მონათლული რამდენიმე პირის საქმემ თავის დროზე დიდი რეზონანსი გამოიწვია, რადგანაც გამოძიების მიერ დანაშაულებრივ დაჯგუფებად მონათლული ხუთეულიდან ერთ-ერთი - გიორგი ბაბუნაშვილი, წინასწარი დაკავების საკანში ჩამომხრჩვალი იპოვეს. სამართალდამცველებმა ეს შემთხვევა თვითმკვლელობად მონათლეს, თუმცა ამ ტრაგიკულ ინციდენტამდე და მას შემდეგ განვითარებული მოვლენები იმთავითვე ბევრ ეჭვს აღძრავდა. მიუხედავად ამისა, მაშინ პოლიციამ ამაყად გამოაცხადა იმერეთში მომხდარი გახმაურებული გატაცებების საქმის გახსნისა და გამტაცებელთა დაკავების შესახებ. დაკავებულთა ადვოკატებისა და ახლობლების უმოწყალო წამების თაობაზე გაკეთებული განცახდებები კი დავიწყებას მიეცა.

დღეს კი "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ბაბუნაშვილი და მისი რამდენიმე მეგობარი ერთი და იმავე პირებმა აწამეს, რომელთაგან ორს - შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის ყოფილ უფროსს ჯაბა ჯანხოთელსა და მის მოადგილეს ბერდია ხვისტანს კონსტანტინე ჭრელაშვილი თავის განცახდებაში ასახელებს კიდეც.

როგორც გუშინ "თავისუფლების ინსტიტუტის" მიერ, ჭრელაშვილის განცხადების გამო, გამართულ პრესკონფერენციაზე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა აკაკი მინაშვილმა განაცხადა, ჯანხოთელიცა და ხვისტანიც ამჟამად შინაგან საქმეთა სამინისტროდან გათავისუფლებულნი არიან, მაგრამ ჩადენილი სადიზმისთვის, რაც მათი მოღვაწეობის მანძილზე ერთადერთი შემთხვევა არ უნდა იყოს, მათთვის პასუხი არავის მოუთხოვია.

თავის მხრივ, "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლები მოითხოვენ, რომ ხელისუფლებამ და პროკურატურამ დაუყოვნებლივ დაიწყოს განცხადებაში მოყვანილი ფაქტების გამოძიება. თუმცა, იმედი იმისა, რომ სადისტი პოლიციელები დაისჯებიან, მათ ნაკლებად აქვთ.

"თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლის თეა თუთბერიძის თქმით, **"ჯალათთა ამ წყვილისგან განსხვავებით, ხშირ შემთხვევებში, ადამიანის წამებაში მხილებული პოლიციელები არათუ გათავისუფლებულნი არიან სამსახურიდან, არამედ მათ აწინაურებენ კიდეც. ჯანხოთელიცა და ხვისტანიც, დაკავებულთა წამების გამო, არავის გაუთავისუფლებია, შესაბამისად, ცხადია, მათთვის არც პასუხი მოუთხოვია ვინმეს. ადამიანები ფანჯრებიდან ხტებოდნენ, საკნებში თვითმკვლელობით ასრულებდნენ სიცოცხლეს ან, სულაც, თვითმკვლელობის იმიტაცია ხდებოდა, მაგრამ საზოგადოებას ამისთვის მკაცრად დასჯილი არავინ უნახავს. ჩვენ ამჯერადაც, როგორც აქამდე არაერთხელ, მივმართავთ პროკურატურას, გადავუგზავნით ჭრელაშვილის განცხადებას, მოვთხოვთ საქმის გამოძიებას და დამნაშავეების დასჯას, მაგრამ, გამოძიებაც რომ ჩატარდეს, იმედი იმისა, რომ სადისტები დაისჯებიან, არ გვაქვს - პესიმიზმის საფუძველს ჩვენივე გამოცდილება გვაძლევს - რატომღაც, სამართალდამცველი ორგანოები ადამიანის წამებაში ყოფილი პოლიციელების მხილებასაც ერიდებიან, რომ აღარაფერი ვთქვათ, მავანთა დასჯასა კი არა, დაწინაურებაზე".**

# ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში იარაღის რამდენიმე სამალავი აღმოაჩინეს

ზუგდიდის რაიონში, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მდებარე სოფელ რუხში, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, სამართალდამცველებმა ცეცხლსასროლი იარაღის რამდენიმე სამალავი აღმოაჩინეს. როგორც შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე იოსებ თოფურიძე აცხადებს, იარაღის სამი სამალავი სოფელ რუხში ყოფილი ჩაის ფაბრიკის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს. ამოღებულია რუსული წარმოების საბრძოლო იარაღი - 20 ერთეული ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი, ორი ერთეული მართვადი ნაღმი, 10 ერთეული ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი, ხუთი ერთეული კვამლის ფარდა ე.წ. "დიმაუშკა", 50 ერთეული ასაფეთქებელი ნივთიერება "ც-4 პლასტიდი" კაპსულებით, ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარები და "ერ-გე-დე"-ს ტიპის მსხვრევადი ხელყუმბარები. ვის ეკუთვნის აღმოჩენილი არსენალი, ჯერჯერობით გაურკვეველია. იარაღის უკანონოდ შენახვის ფაქტზე გამოძიებას აწარმოებს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი. სამხედრო ექსპერტების ინფორმაციით, ამ სახის იარაღი გამოიყენება ტერაქტებისა და დივერსიების მოსაწყობად, ხოლო აღმოჩენილი იარაღის რაოდენობა საკმარისია 4-საათიანი ინტენსიური ბრძოლის საწარმოებლად.

*24 საათი*

# ლინჩის წესით გასამართლებას გადაურჩნენ

წყალტუბოს რაიონის სოფელ ქვილისორში გუშინ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ერთ-ერთ სახლში ალყაშემორტყმული სამი ადამიანი - გია ქუთათელაძე და თემურ და ვახტანგ ყავლაძეები - თანასოფლელების მხრიდან ლინჩის წესით ანგარიშსწორებას გადაურჩა. სამივე მათგანს თანასოფლელები 41 წლის თემურ სულაბერიძის და მისი 17 წლის ვაჟის ლევან სულაბერიძის მკვლელობაში ამხელენ. მოსახლეობა სახლისთვის ცეცხლის წაკიდებას აპირებდა. მამა-შვილი სულაბერიძეების მკვლელობა გაურკვეველ ვითარებაში სამი კვირის წინ მოხდა. გარდაცვლილის ახლობლები დარწმუნებულები არიან, რომ მკვლელები სწორედ გია ქუთათელაძე და თემურ და ვახტანგ ყავლაძეები არიან. შემთხვევის ადგილზე მისულმა წყალტუბოს და იმერეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა, მოსახლეობის მხრიდან სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად, მძევლების სახლიდან გამოყვანა და პოლიციაში გადაყვანა მოახერხეს. რამდენიმე საათის მანძილზე წალდებით, ცულებით, ხელკეტებითა და ბენზინიანი ბოთლებით შეიარაღებული სოფლის მოსახლეობა პოლიციელებს სახლში შესვლის საშუალებას არ აძლევდა.

*ინტერ-პრესი*

# "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" პარლამენტს რჩევას აძლევს

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აპროტესტებს მთავრობის ინიციატივას, რომელიც სახელმწიფო სიმბოლიკის არასწორი გამოყენებისთვის ჯარიმების დაწესებას ითვალისწინებს.

საქართველოს პარლამენტი განიხილავს მთავრობის ინიციატივით წარმოდგენილ კანონპროექტს, რომლის მიზანია, დაწესდეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა სახელმწიფო სიმბოლოკის - დროშის, გერბისა და ჰიმნის არასწორი გამოყენებისათვის.

კანონპროექტის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო გერბის, დროშისა და ჰიმნის, დადგენილი წესის დარღვევით გამოყენებისთვის მოქალაქე ჯარიმდება 50 ლარის, ხოლო თანამდებობის პირი - 100 ლარის ოდენობით.

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში" აცხადებენ, რომ აღნიშნული კანონპროექტი წარმოადგენს პიროვნული თავისუფლებების შეზღუდვის მცდელობას, ვინაიდან სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენება, მათ შორის პროტესტის გამოხატვის დროს, პიროვნული თავისუფლებაა და დაცულია საერთაშორისო სამართლითა და საქართველოს კონსტიტუციით.

ერთი სიტყვით, "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" სახელმწიფო სიმბოლიკის არასწორი გამოყენებისათვის ჯარიმების დაწესებას პიროვნული თავისუფლების შეზღუდვად აფასებს.

**"თუ საქართველოს პარლამენტს აქვს სურვილი, საქართველოს სახელმწიფო ეფუძნებოდეს ლიბერალურ დემოკრატიულ ღირებულებებს, მან წარმოდგენილ წინადადებას მხარი არ უნდა დაუჭიროს",** - ასეთი პოზიცია აქვთ "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრებს.

ასოციაცია მოუწოდებს პარლამენტის წევრებს, გააუქმონ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 343-ე მუხლი, რომელიც სახელმწიფო სიმბოლოების შებღალვისათვის პასუხისმგებლობას აწესებს.

**"ასეთი ნაბიჯი იქნებოდა გამოხატულება იმისა, რომ საქართველოს პარლამენტი ისწრაფვის, რეალობაში განხორციელდეს საქართველოს კონსტიტუციის დებულება, რომლის მიხედვითაც, საქართველოს ხელისუფლება შეზღუდულია ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც მოქმედი სამართლის ნორმით",** - აცხადებენ "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.

*24 საათი*


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი...........

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი...........

საკონტაქტო ტელეფონი...........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გაღმა);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "[illegible] II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "[illegible] II", (ყოფილი მეტროს სადგური "[illegible]");
8. მეტროს სადგური "სადგურის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დელისი";
10. [illegible] 45 "[illegible]" [illegible] გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: [illegible] თბილისი, წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".


# გარდაცვლილის ნათესავები დამოუკიდებელ ექსპერტიზას ითხოვენ

გუშინ დილიდან საჩხერის რაიონის პოლიციის შენობასთან საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა. აქციის მონაწილეები გაურკვეველ ვითარებაში მოკლული 19 წლის ალეკო ნამგლაძის ჭირისუფლები და ახლობლები იყვნენ. დანაშაული ორი დღის წინ სოფელ ჭალაში მოხდა. ნამგლაძეს სახლში უცნობმა პირებმა მიაკითხეს, მეორე დღეს კი იგი გარდაცვლილი იპოვეს სოფლის ტერიტორიაზე. ექსპერტიზამ ჯერ ვერ დაადგინა, თუ რა ვითარებაშია გარდაცვლილი ალეკო ნამგლაძე. გარეგნული დათვალიერებით, გვამს სახის არეში თითების კვალი აღენიშნება. გარდაცვლილის ნათესავები უნდობლობას უცხადებენ რაიონულ პოლიციას და დამოუკიდებელ ექსპერტიზას ითხოვენ. როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, მიცვალებულს იქამდე არ დაკრძალავენ, ვიდრე საჩხერის პოლიცია დანაშაულს არ გახსნის.

*ინტერ-პრესი*

# შს მინისტრი პოლიციის ქვეგანყოფილებების ინსპექტირებას ატარებს

შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი ქვემო ქართლის მხარეში არსებული პოლიციის ქვეგანყოფილებების ინსპექტირებას ატარებს. გუშინწინ მინისტრი მარნეულსა და ბოლნისში არსებულ ვითარებას გაეცნო, გუშინ კი კი რუსთავის პოლიციის სამმართველო და ქალაქის საპატრულო პოლიცია დაათვალიერა და თანამშრომლებს შეხვდა. "ქვემო ქართლის რეგიონში ჩემი ჩასვლის მიზანია პოლიციის ქვეგანყოფილებაში არსებული მდგომარეობის ადგილზე გაცნობა და თანამშრომლებთან გასაუბრება. კმაყოფილი ვარ მარნეულში, ბოლნისსა და რუსთავში არსებული მდგომარეობით. კმაყოფილი ვარ პოლიციელთა მონდომებული მუშაობით. რუსთავის საპატრულო პოლიციამ საკმაოდ კარგად წარმოაჩინა თავი რამდენიმე დღის წინ ყაჩაღურ დაჯგუფებასთან მომხდარი ინციდენტის დროს", - აცხადებს ვანო მერაბიშვილი. ის გუშინ თეთრი წყაროსა და წალკის რაიონებსაც ეწვია და იქაური პოლიციის ქვეგანყოფილებები და იქ მომუშავეები გადაამოწმა.

*ინტერ-პრესი*

# "არ დაიდარდო" - პოპოვის რადიოა?

## საქართველოს რადიოსადგურები სსრ კავშირში ბრუნდებიან

იმ დღეს ცოტა ნაქეიფარი დავბრუნდი სახლში და რადიო "არ დაიდარდო" ჩავრთე. ვერ დავემდურები ნამდვილად! "სამი დალიეც"... მოგვასმენინეს, "ტრულაილალას ფული რად უნდაც"... და კიდევ მრავალი მარგალიტი.

ის იყო ღვინო მოვძებნე და "არ დაიდარდოს" სადღეგრძელოს დალევაც დავაპირე, რომ წამყვანის ნათქვამმა შემაჩერა: "მოგვილოცეთ ხალხო, დღეს 7 მაისია, რადიოს დღე!".

უცებ გამოვფხილდი, ჭიქიანი ხელი გამიშეშდა და სადღეგრძელოს ნაცვლად სულ სხვა "ტექსტი" წამომცდა.

ის ჩემი წამოცდენილი მე ნასვამობით შემიძლია გავამართლო, მაგრამ "არ დაიდარდოს" წამყვანი რით გაამართლებს თავის უვიცობას?

თუ მაინც როგორღაც შეძლო თავის გამართლება - ეს ამხელა, ყველაზე რეიტინგული რადიოსადგური, მარტო ამ კაცის ხომ არ არის?!

"არ დაიდარდოელებო", მართლა არავის არ გედარდებათ, თქვენი წამყვანი რომ იტყუება, თუ სულაც შეგნებულად აკეთებთ ამას?

რუსეთმა, ან თვითონ პოპოვმა ხომ არ დაგაფუძნათ, 7 მაისი რადიოს დღე რომ გგონიათ?!

საბჭოთა პერიოდში გვაძალებდნენ: რადიო პოპოვმა გამოიგონა, ედისონის ნათურა კი - ილიჩის ნათურააო, სისხლიანი 25 თებერვალი - სასიხარულო 25 თებერვალიაო და ა.შ. მაშინ იმასაც გვასწავლიდნენ, ლენინმა 1912 წელს, 5 მაისს "პრავდა" დაბეჭდა და ამიტომ 5 მაისი ბეჭდვითი სიტყვის დღეაო.

დალოცვილებო, "ჰარი-ჰარალეს" მეტი არაფერი იცით?

წიგნის წაკითხვა თუ გეზარებათ, ქართულ გაზეთებს მაინც გადაავლეთ თვალი! - რომელიმე მიიჩნევს თავის დღედ 5 მაისს?

ისტორიული წყაროების მოძებნას როგორ დაგაძალებთ, რადიოჟურნალისტიკის სახელმძღვანელოში მაინც ჩაიხედეთ! რადიოს მუშაკები არ ხართ?!

მოსკოვის უნივერსიტეტის 2000 წელს გამოცემულ რადიოჟურნალისტიკის სახელმძღვანელოში წერია: "1895 წელს, ძველი სტილით 25 აპრილს, ახალი სტილით 7 მაისს, პოპოვი რაღაც შეკრებაზე მოხსენებით გამოსულა და ელექტრომაგნიტურ ტალღებზე უსაუბრია.

დალოცვილებო! პოპოვის მოხსენებით გამოსვლის დღეს აღნიშნავთ, თუ რადიოს დღეს? თანაც ქართული რადიოს დღეს?!

თქვენს ეთერში, პერიოდულად, სიამაყით რომ აცხადებთ ხოლმე - ჭეშმარიტად ქართული რადიო ვართო, ძალიან მინდა, მაგრამ როგორ დაგიჯეროთ, პოპოვის მოხსენებით გამოსვლის დღის რადიოს დღედ აღმნიშვნელებო!

წიგნის აღება თქვენ არ გინდათ, ქართულ გაზეთებსაც არ წყალობთ, რადიოჟურნალისტიკის სახელმძღვანელოში ჩახედვაც გეზარებათ!

ახლა ერთი რამე უნდა ვცადო: ძალიან გთხოვთ, იქნებ საქართველოს რადიოს მაინც მოუსმინოთ, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სულ სხვა დღეს აღნიშნავს ქართული რადიოს დღედ!

"არ დაიდარდოზე" განაწყენებული საბოლოოდ გამოვფხიზლდი, როცა ძველმა მეგობარმა დამირეკა კოპენჰაგენიდან და მითხრა: ამ კოკა ყანდიაშვილს რა დაემართა, საბჭოთა კავშირში რატომ ბრუნდებაო?

მე "არ დაიდარდოს" ვუსმენდი და თურმე დანია-ჰოლანდიაში ყველაზე პოპულარული სატელევიზიო გადაცემა "ჩვენ" მთლიანად პოპოვის რადიოს დღისთვის არ მიუძღვნიათ?

ეჰ! ბატონო კოკა! თურმე სახელმძღვანელოში ჩახედვა არც შენ გაწყენდა!

გადაცემის ერთი-ორმა მონაწილემ მოკრძალებით ხომ შემოგბედა, ქართული რადიოს დღე 23 მაისი არისო. ამას მაინც რატომ არ მიაქციე ყურადღება?

თქვენი თანამშრომელი, მაგ ავადსახსენებელი გადაცემის მზადებისას მასალებისთვის რადიო 2-შიც მივიდა. კოლეგებმა ყველაფერი გაუკეთეს, რაც სჭირდებოდა.

ერთხელ მაინც რომ წამოსცდენოდა, საბჭოთა რადიოს დღეს აღვნიშნავთო, კოლეგიალურად ურჩევდნენ, საქართველო ლამის დსთ-დანაც გამოვიდეს და რაღა დროს პოპოვის რადიოზე ლაპარაკიაო!

ისე, ოდნავ მაინც თუ გაინტერესებთ, ჩვენ გვყავს ქართული ჟურნალისტიკის შესანიშნავი მკვლევრები. მიაკითხეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და, გნებავთ დოცენტი ნანა ტალახაძე, ან პროფესორი ელდარ იბერი კონსპექტებში ჩაუხედავად გეტყვიან, რომ პირველად ქართული სიტყვა და ქართული მუსიკა რადიოეთერში გაისმა 1925 წლის 23 მაისს.

საქართველოს რადიო უკვე დიდი ხანია, სწორედ ამ დღეს აღნიშნავს ქართული რადიოს დაბადების დღედ და ყველას, ვისაც მიაჩნია, რომ საქართველოს სახელმწიფოს, ქართულ კულტურას, ქართულ სიტყვას ემსახურება: ერთი წლის რადიო "არ დაიდარდოსაც" და ცოტა უფრო ასაკოვან "მწვანე ტალღასაც", რადიო "ფორტუნას" და რადიო "იმედს"... ყველას, ყველას მოგიწოდებთ, შემოგვიერთდით, ერთად აღვნიშნოთ ქართული რადიოს დღე, მით უმეტეს, რომ 23 მაისს საიუბილეო თარიღია: პირველი ქართული გადაცემის ეთერში გასვლიდან 80 წელი სრულდება.

***გიორგი ჩოკოშვილი***
*საქართველოს რადიოს კომენტატორი*

# საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების პერსპექტიული პარამეტრები

*სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალისტებისა და პ. ჟღენტის სახელობის აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერების მიერ დამუშავდა აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიული პროგრამა და მარკეტინგული მოდელი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მოთხოვნების გათვალისწინებით.*

ამ გამოკვლევებით საქართველოს სოფლის მეურნეობაში ძირითად პრიორიტეტებად გამოიყო დიდი ტრადიციებისა და ფართო პოტენციური (როგორც ბუნებრივი, ისე ეკონომიკური) შესაძლებლობების, აგრეთვე, დიდი პერსპექტივების მქონე ისეთი სტრატეგიული მნიშვნელობის დარგები, როგორიცაა: სამრეწველო მევენახეობა, სამრეწველო მეხილეობა და სუბტროპიკული მიწათმოქმედების ძირითადი დარგები - მეჩაიეობა, მეციტრუსეობა და მათ ბაზაზე მომუშავე კვების მრეწველობის დარგები. ყოველივე ეს ეფუძნება ზონალურ და მიკროზონალურ ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებსა და პოტენციურ შესაძლებლობებს, საწარმოო ინფრასტრუქტურის დღევანდელ და პერსპექტიულ პარამეტრებსა და მოთხოვნებს.

დადგინდა, რომ აღნიშნული პრიორიტეტული და სტრატეგიული მნიშვნელობის ე.წ. "ენერგომომტანი" დარგების განვითარება შესაძლებლობას იძლევა, საექსპორტო და პოტენციურად კონკურენტუნარიანი პროდუქცია ვაწარმოოთ. ამ დარგებს სწორედ იმიტომ ეწოდა "ენერგომომტანი", რომ მათი განვითარება საშუალებას იძლევა, პროდუქციის ეკვივალენტური, ბარტერული და სხვა ფორმის გაცვლების საფუძველზე და ამ ინტერესების შესაბამისად ინტეგრირებულ საწარმოთა მოწყობით, გარკვეულწილად, გადავჭრათ სტრატეგიული ენერგეტიკული რესურსებით (ნავთობპროდუქტები, გაზი, ელექტროენერგია), აგრეთვე, "კალორიატევადი" სასურსათო პროდუქტებით (მარცვალი, შაქარი, ცხიმი და სხვა) უზრუნველყოფის პრობლემა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული პოზიციის ჩამოყალიბებისას დადგინდა, რომ როგორც დღევანდელი, ისე თვალსაწიერი პერსპექტივის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მისი სპეციალიზაცია, ისტორიულ-ტრადიციული მოდელიდან დიდ და რადიკალურ გადახრას არ ექვემდებარება.

მეცნიერულად გათვლილი, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ოპტიმიზირებული მოდელით (აფხაზეთის გარდა), სავარაუდოდ, უახლოეს 10 წელიწადში საჭირო იქნება, გაშენდეს **10-15 ათასი ჰა ვენახი** (მთლიანი ფართობი 69-70 ათას ჰა-ს მიაღწევს); **22-25 ათასი ჰა ხეხილი** (მთლიანი ფართობი მიაღწევს 70-71 ათას ჰა-ს); ხოლო ჩაისა და ციტრუსების ფართობი არსებულთან შესაბამისობაში განისაზღვროს შემდეგი ოპტიმალური პარამეტრებით - **ჩაის 41-42,** ხოლო **ციტრუსების - 12-13 ათასი ჰექტრით**.

გარდა ამისა, საშემოდგომო ხორბლის ფართობის ოპტიმალური ზღვარია 175-180 ათასი ჰა; მოსავლისა - 620-625 ათასი ტ; სამარცვლე სიმინდისა, შესაბამისად: 160-166 ათასი ჰა და 710-715 ათასი ტ; მარცვლეულ-პარკოსნებისა: 10-12 ათასი ჰა და 12-13 ათასი ტ; კარტოფილისა: 50-51 ათასი ჰა და 720-740 ათასი ტ; ბოსტნეულისა: 54-56 ათასი ჰა და 935-945 ათასი ტ; თამბაქოსი: 7-8 ათასი ჰა და 16-17 ათასი ტ; ეთერზეთებისა: 1,1-1,2 ათასი ჰა და !5,0-16,0 ათასი ტ; მზესუმზირისა: 43-45 ათასი ჰა და 75-78 ათასი ტ. დანარჩენი პროდუქციის წარმოება ამ ძირითად პარამეტრებზე იქნება მორგებული.

რაც შეეხება მეცხოველეობას, პროგნოზული გათვლებით, ამავე პერიოდში მსხვილფეხა-რქოსანი პირუტყვის სულადობამ უნდა მიაღწიოს 1620-1626, ღორისამ - 735-740, ცხვრისამ - 1200-1210 ათას სულს, ფრინველისამ - 16540-16550 ათას ფრთას, ფუტკრისამ - 140-146 ათას სკას; ამის შესაბამისად პროდუქციის წარმოების დონე გაუტოლდება: ხორცისა (ყველა სახის, დაკლული წონით) 230-234, რძისა - 1088-1124, მატყლისა - 3,1-3,3 ათას ტონას, კვერცხისა - 1256-1269 მლნ ცალს, თაფლისა - 3,0-3,2 ათას ტონას.

სერვისის სფეროსა და ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, საჭიროა ხელი შეეწყოს სხვადასხვა, მეწარმეობის კანონის შესაბამისი, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სერვისული ტიპის საწარმოების ფუნქციონირებას, რომელიც შებოჭილი არ იქნება მოუქნელი საგადასახადო მექანიზმით და საშუალება ექნება, ინდივიდუალურად და დიფერენცირებულად შეუხამოს თავისი საქმიანობა ადგილობრივ მოთხოვნებს და მარკეტინგის პრინციპებს. ამ მხრივ, მისასალმებელია სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივა, რომ შეიქმნას რაიონებში საწარმოო ინფრასტრუქტურის მომსახურე კოოპერატივები, რომლებიც მიმდინარე წელს ჯერ 12 რეგიონში მოეწყობა, შემდეგ კი - ყველა რაიონში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მარკეტინგული სისტემისა და გლობალიზაციის ერთიან პროცესში განვითარება უცილობლად უკავშირდება მენეჯმენტს. გლობალიზაციის პროცესის მაღალი დონე გულისხმობს იმას, რომ თვით სახელმწიფო უნდა გამოდიოდეს მენეჯერის როლში. ამის საფუძველზე სახელმწიფოს შესაძლებლობა ეძლევა, ასტიმულიროს როგორც ამა თუ იმ ორგანიზაციული ფორმის განვითარება, ისე სახელმწიფო შეკვეთების შესრულება, ექსპორტ-იმპორტის პროპორციები, ინტეგრაციული ურთიერთობები, ინფრასტრუქტურის განვითარება, სოციალური პირობები, ეკოლოგიური წონასწორობა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დარგობრივი სამეცნიერ-კვლევითი ინსტიტუტების ერთობლივი, კოორდინირებული მუშაობის შედეგად საბოლოო მიზნის - სახელმწიფო სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტა მიღწეული იქნება და მაღალ დონეზე დადგება მეწარმეობა აგრარულ სექტორში.

***ვახტანგ ბურკაძე***
*საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ეკ. მეცნიერებათა დოქტორი, აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის ს/კ ინსტიტუტის დირექტორი*

# პასუხი ღია წერილზე

*წერილში გაშუქებულია საკითხი იმის თაობაზე, რომ აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თანამშრომელთა მიერ გაზეთ "24 საათის" ა.წ. 24 თებერვალს გამოქვეყნებულ "ღია წერილში" მოყვანილი მოსაზრებანი, ობსერვატორიის მეცნიერებათა აკადემიის რიგებიდან გამოყოფის თაობაზე, დაუსაბუთებელია. ავტორებს და ხელმომწერ პირებს მორალური უფლება არ გააჩნდათ, ქვეყნის უმაღლესი ორგანოებისთვის მიემართათ, რადგან ერთი ნაწილი დაბალი დონის სამეცნიერო საქმიანობას ეწევა, მეორე კი ობსერვატორიაში დღეისათვის შექმნილ ვითარებაში ვერ ერკვევა.*



აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექციამ და მათმა თანამოაზრეებმა, დიდი ხანია, კოლექტიური წერილების წერა წამოიწყეს ქვენა ზრახვების მისაღწევად, რისთვისაც ავანტიურაში ჩაააბეს საკითხებში გაუთვითცნობიერებელი თანამშრომლები, მათ შორის - ისინიც, ვინც ობსერვატორიაში სამუშაო ვიზიტით არასოდეს ყოფილან და ამიტომ, მთა ყანობილზე შექმნილ ვითარებაში ვერ ერკვევიან. ამის ნათელი მაგალითია წერილი, რომელიც გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნდა (24.02.2005). მსგავსმა საქმიანობამ იმდენად ვრცელი მასშტაბი მიიღო, რომ ვალდებულნი ვართ, პასუხი გავცეთ წერილის ავტორებს არა ლოზუნგებით, დაუსაბუთებელი, ზერელე მოსაზრებებითა და ცრუ მონაცემების დეკლარირებით, რასაც ისინი უსირცხვილოდ აკეთებენ, არამედ მათი სამეცნიერო საქმიანობის განხილვით.

ობსერვატორიის ასოცდაათი თანამშრომლიდან ღია წერილს ხელს აწერს სამოცდარვა თანამშრომელი, მათ შორის, თურმე, მეცნიერ-თანამშრომელთა და სამეცნიერო საბჭოს წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა. ხელმომწერთა შორის არიან: პლაზმური ასტროფიზიკის ცენტრის თერთმეტი თანამშრომელი, ცხრა გეოფიზიკოსი, ოცდაოთხი ასტრონომი და ოცდაოთხი დამხმარე პერსონალი (ინჟინერი, ლაბორანტი და სხვა).

წერილის ავტორები აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიას ქართველი ერის უმნიშვნელოვანეს კულტურულ ერთეულად თვლიან და ხელნაწერების ინსტიტუტის ან ისტორიული მუზეუმის ღირებულებებთან ათანაბრებენ. გვიჭირს ამ მოსაზრებას დავეთანხმოთ, ვინაიდან ისტორიული მუზეუმები და ხელნაწერთა ინსტიტუტები ერის მარადიულ ფასეულობას წარმოადგენენ, ობსერვატორიები კი დროის მოთხოვნის შესაბამისად იქმნება. მრავალი ობსერვატორია დაიხურა კიდეც, მათ შორის, ცნობილი გერმანელი ასტრონომის კ. ჰოფმაისტერის მიერ დაარსებული ზონებერგის ობსერვატორია, რომელიც გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან 75 წლის მანძილზე ცვალებადი ვარსკვლავების კვლევის მსოფლიო ცენტრი იყო.

პრეზიდენტის ბრძანება აბასთუმნის ობსერვატორიისათვის ნაციონალური სტატუსის მინიჭებას კი არ ეხება, რასაც წერილის ავტორები ამტკიცებენ, არამედ მხოლოდ მისი სახელის შეცვლას გულისხმობს (იხილეთ ბრძ. 228 22.06.2004).

წერილის ავტორებს დაავიწყდათ, რომ მეცნიერებათა აკადემია დაარსდა არსებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ბაზაზე მათი ქმედითი მართვისა და კონტროლის მიზნით, რისთვისაც, ბუნებრივია, სათანადო უფლებამოსილებაც მიენიჭა. მათ ლოგიკას რომ გავყვეთ, მაშინ აბასთუმნის ობსერვატორია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პულკოვოს ობსერვატორიას შეიძლება მივუერთოთ, რადგან იგი 1932 წელს ამ ობსერვატორიის ცნობილ ასტრონომთა ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით არის დაარსებული. უსაფუძვლოა, ასევე, მათი ბრალდება, თითქოსდა აკადემიას განზრახული აქვს ობსერვატორიის ლიკვიდაცია, ხოლო ინსტიტუტის გაერთიანება, მათი ძირითადი ფუნქციების შენარჩუნებისას და გაღრმავებისას, მხოლოდ სახელწოდების შეცვლის ტოლფასია. ფარისევლობაა მათი ზრუნვა გაერთიანებული ინსტიტუტისათვის ბ-ნ ე. ხარაძის სახელის დარქმევის თაობაზე, რადგან გ. სალუქვაძე და კიდევ ექვსი ხელმომწერი ცამეტი წლის წინ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტისადმი გაგზავნილ წერილში თავგამოდებით ამტკიცებდნენ, ბ-ნმა ე. ხარაძემ ობსერვატორია დაანგრიაო.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ასტრონომიის კათედრამ ბოლო ოცი წლის განმავლობაში ასპირანტურაში მხოლოდ ერთი ასტრონომი-მკვლევარი მოამზადა. ქალაქის ლაბორატორიაში არსებული, ობსერვატორიისა და უნივერსიტეტის ერთობლივი სასწავლო ლაბორატორია კი ისე ჩამორჩა, რომ გასული საუკუნის 70-იანი წლების მოთხოვნებსაც კი ვერ აკმაყოფილებს. ამიტომ, კათედრა და ხსენებული სასწავლო ბაზა მოწინავე კადრების მოსამზადებლად ვერ გამოდგება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია, მთა ყანობილე, რომელიც მოწმენდილი ღამეების რაოდენობითა და ხარისხით მკვეთრად გამოირჩეოდა, დაარსებულ იქნა პულკოვოს ობსერვატორიის ასტრონომთა მიერ. მძლავრი დაკვირვებითი ბაზის შექმნა და უმნიშვნელოვანესი დამზერითი მასალის მოპოვება ახლად შექმნილი ობსერვატორიის ძირითადი მიზანი იყო. სახელი ასტროფიზიკური ზოგიერთი წამყვანი გერმანული ობსერვატორიის მსგავსად დაერქვა. როგორც წესი, ამერიკაში, ინგლისში, იტალიაში და ევროპის მრავალი ობსერვატორია მხოლოდ მთის მწვერვალის, დასახლებული პუნქტის ან დამფინანსებლის სახელს ატარებენ (მაგ., პალომარის ობსერვატორია, გრინიჩის ობსერვატორია, ლიკის ობსერვატორია და სხვა).

აბასთუმნის ობსერვატორიის დანიშნულებიდან გამომდინარე, იგი საჭიროებდა უმოკლეს დროში მძლავრი დამზერითი ბაზის შექმნას, რაც განხორციელდა რამდენიმე ტელესკოპის დამონტაჟებით გასული საუკუნის 50-იანი წლების მიწურულამდე. ამან ხელი შეუწყო ობსერვატორიას ორი ათეული წლის განმავლობაში მსოფლიოში პრიორიტეტული გამოკვლევების შესრულებას, რომლის მსგავსი შემდგომში არასოდეს გაკეთებულა. პროფ. მიხეილ ვაშაკიძის მიერ წარმოებულმა გამოკვლევებმა დიდი აღიარება მოუპოვა ახლად დაარსებულ ობსერვატორიას. მის მიერ მიღებული შედეგები უცხოურ მონოგრაფიებში შევიდა და ხშირად არის ციტირებული წამყვან სამეცნიერო გამოცემებში.

ბუნებრივია, რომ ასტრონომიული ობსერვატორიის მუშაობა, ძირითადი დანიშნულებიდან გამომდინარე, უნდა ფასდებოდეს არა გეოფიზიკოსებისა და ფიზიკოსების ღვაწლით, არამედ უშუალოდ ასტრონომთა სამეცნიერო გამოკვლევების შედეგიანობით. ვნახოთ, რამდენად შედეგიანია წერილზე ხელმომწერ ასტრონომთა საქმიანობა საატესტაციო პერიოდში, ანუ ბოლო ათი წლის განმავლობაში (1994-2004 წწ.).

ხელმომწერთა შორის 24 ასტრონომია, ოთხი ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი, თოთხმეტი ფიზ.-მათ. მეცნ. კანდიდატი, ექვსი სამეცნიერო ხარისხის არმქონე მეცნ. თანამშრომელი. მათგან ობსერვატორიაში, მთა ყანობილზე მუდმივად მუშაობს მხოლოდ ოთხი უფრ. მეცნ. თანამშრომელი, რომლებიც არ მონაწილეობენ ღირებული დამზერითი მასალის მოპოვებაში. ამიტომ, ხელმომწერი ასტრონომები დიდი ხანია ვერ ასრულებენ ობსერვატორიის ძირითად ფუნქციას და ეწევიან ცრუ სამეცნიერო საქმიანობას ქალაქის ლაბორატორიაში. ამას ადასტურებს, აგრეთვე, ის მონაცემები, რომელიც დირექციამ საატესტაციო კომისიას გადასცა და რომლის დაწვრილებით განხილვას ქვემოთ წარმოგიდგენთ.

ამ მონაცემების თანახმად, 24 ხელმომწერ ასტრონომ მეცნ. თანამშრომელს 1994 წლიდან გამოქვეყნებული აქვს 119 (ასცხრამეტი) სტატია ასტრონომიულ რიგით გამოცემებში, ხოლო 25 (ოცდახუთი) იმპაქტ-ფაქტორის მქონე გამოცემებში. ეს სტატიები ციტირებულია მხოლოდ 23-ჯერ (ოცდასამჯერ. იხილეთ: ჰტტპ:ადსაბს.ჰარვარდ.ედუ). ამიტომ, საშუალოდ ერთ თანამშრომელს ათი წლის განმავლობაში გამოუქვეყნებია 11924, ანუ დაახლოებით 5 სტატია რიგით გამოცემებში და მხოლოდ 2 (ერთი. 2524) იმპაქტ-ფაქტორის მქონე გამოცემებში. ერთი მეცნიერ თანამშრომლის მიერ გამოქვეყნებული ეს ექვსი სტატია (516) ციტირებული ყოფილა მხოლოდ 1-ჯერ (ერთჯერ, 2324). ახლა ვნახოთ, როგორია ეს მონაცემები ოთხი ასტრონომი მეცნ. დოქტორისათვის. მათ მიერ 1994 წლიდან გამოქვეყნებულია 33 (ოცდაცამეტი) ასტრონომიული თემატიკის სტატია რიგით და მხოლოდ 9 (ცხრა) იმპაქტ-ფაქტორის მქონე გამოცემებში. ისინი ციტირებულია მხოლოდ 8-ჯერ (რვაჯერ). ამიტომ, საშუალოდ ერთ მეცნ. დოქტორს რიგით და იმპაქტ-ფაქტორის გამოცემებში შესაბამისად გამოუქვეყნებია 8 (რვა) და 2 (ორი) სტატია, რომლებიც მხოლოდ 2 (ორჯერ) არის ციტირებული. ცხადია, რომ ეს მაჩვენებელი მეტისმეტად დაბალია, აქვე დავძენთ, რომ ობსერვატორიის დირექტორის რ. კილაძის მიერ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სტატიები არც ერთხელ არაა ციტირებული.

შედარებისთვის" უცხოელი ასტრონომების პუბლიკაციების რაოდენობა და ციტირების ინდექსი გაცილებით უფრო დიდია. მაგალითად, ჩვენი ობსერვატორიის თანამშრომელთათვის ცნობილ ასტრონომებს - ფანს, ვიტცელს, რიხტერს, ტაკალოს, ჩერეპაჩუკს, ჰაგენტორნს, სამუსს, ანდრონოვს, ტოვმასიანს, პეტროსიანს და ჩავუშიანს - თითოეულს, იგივე პერიოდში საშუალოდ გააჩნია 70 სტატია და 135 მითითება, ხოლო ვაგნერის, ჯიომის, კარაჩენცევის, კნიაზევის, რაიტერის, დოდონოვის და შაპოვალოვას შრომები საშუალოდ 350-ჯერ არის ციტირებული წამყვან საერთაშორისო გამოცემებში. მკვეთრად გამოირჩევიან ფილიპენკო და დოი, რომელთა მიერ 1994 წლიდან გამოქვეყნებული შრომები ციტირებულია საშუალოდ 2300-ჯერ!

წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე ცალსახად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზემოხსენებულ წერილზე ხელმომწერი ობსერვატორიის 24 (ოცდაოთხი) ასტრონომ მეცნიერ თანამშრომელთა ძირითადი ნაწილი ეწევა დაბალი დონის სამცენიერო საქმიანობას, რომელსაც ასტრონომიული მეცნიერებისათვის არავითარი სამეცნიერო ღირებულება არ გააჩნია!

დაუშვებლად მიგვაჩნია, რომ ობსერვატორიის ბედი დაბალი სამეცნიერო მაჩვენებლების მქონე 24-მა ასტრონომმა და 24-მა დამხმარე პერსონალმა გადაწყვიტოს.

ჩვენი აზრით, ობსერვატორიის დაბალი სამეცნიერო მაჩვენებლები განაპირობა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასტრონომიის კათედრაზე სტუდენტთა მომზადების დაბალმა დონემ; ობსერვატორიაში არსებული ტექნიკური აღჭურვილობის არაეფექტურად გამოყენებამ (რაც წლების განმავლობაში სამეცნიერო-ტექნიკურ დარგში დირექტორის მოადგილის გ. სალუქვაძის უგუნური მოღვაწეობის შედეგია); ქმედითი სამეცნიერო ქვედანაყოფების არარსებობამ და არსებულის ხელმძღვანელებად დაბალი კვალიფიკაციის პიროვნებების დანიშვნამ; დროის მოთხოვნის შესატყვისი პრიორიტეტული კვლევის თემატიკის უქონლობამ; როგორც წესი, წლების განმავლობაში დაბალი დონის დისერტაციების დაცვამ; ობსერვატორიიდან მაღალი კვალიფიკაციის მკვლევართა იძულებითმა წასვლამ და სხვა.

მაშ, როგორ დაიკავა ობსერვატორიამ 1-2 (პირველი-მეორე) ადგილი აკადემიის 63 ინსტიტუტს შორის, რასაც ხელმომწერნი გვამცნობენ? ეს განაპირობა საკვალიფიკაციო წესდების ნაკლოვანებებმა და ქალაქის ლაბორატორიაში განთავსებული თეორიული პლაზმური ასტროფიზიკის რვა ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორის ნაყოფიერმა სამეცნიერო საქმიანობამ. თითოეულის მიერ 1994 წლიდან გამოქვეყნებული 30 (ოცდაათი) სტატია 110 (ასათჯერ) არის ციტირებული წამყვან გამოცემებში, რაც 50 (ორმოცდაათჯერ) აღემატება ხელმომწერ ასტრონომთა შესაბამის მაჩვენებელს!

გაუგებარია, როგორ აღმოჩნდა ხელმომწერთა შორის აქტიურად მომუშავე, თეორიული პლაზმის ასტროფიზიკის ცენტრის ფიზიკოსთა ჯგუფი, რადგან ისინი ნებისმიერი ინსტიტუტის შემადგენლობაში წარმატებით იმუშავებენ, მათ შორის, ფიზიკის ინსტიტუტშიც.

საკითხავია, არიან თუ არა ობსერვატორიაში, მთა ყანობილზე ასტრონომები, რომელთაც მსგავსი მაღალი მაჩვენებლები გააჩნიათ? აქტიური გალაქტიკების კვლევის სამეცნიერო პროექტის ხელმძღვანელს ომარ კურტანიძეს და მარიამ ნიკოლაშვილს 1994 წლიდან უცხოურ გამოცემებში გამოქვეყნებული აქვთ 97 (ოთხმოცდაჩვიდმეტი) სტატია, რომელნიც 190-ჯერ (ასოთხმოცდაათჯერ) არის ციტირებული! რაც შეეხებათ წერილის ავტორებს, მათ მიერ 1994 წლიდან გამოქვეყნებული 40 სტატია ციტირებულია 27-ჯერ, ე.ი. მათი სტატიების ციტირების ინდექსი ოთხჯერ აღემატება დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე ასტრონომების შესაბამის მაჩვენებელს, რომლებიც ქალაქის ლაბორატორიაში მუშაობენ.

მიგვაჩნია, რომ, პირველ რიგში, საჭიროა ობსერვატორიის საქმიანობის ძირეული შემოწმება, რისთვისაც მთავრობამ და მეცნიერებათა აკადემიამ დღემდე ვერ მოიცალა. მხოლოდ შემოწმებისა და ატესტაციის შემდეგ შეიძლება აბასთუმნის ობსერვატორიის რეორგანიზაციაზე ან სხვა დაწესებულებებთან ინტეგრაციაზე მსჯელობა და გადაწყვეტილების მიღება.

***ობსერვატორიის თანამშრომლები:***
***გ. ქიმერიძე***
***ე. ჯანიაშვილი***
***ლ. სიგუა***

ყველაზე ძვირფასი ჯაზ-ფესტივალი



B2

ფეხბურთი ბუნდური თამაშია!



B4

მსოფლიოს ყველაზე საოცარი ადამიანი



B8

შაბათის სტუმარი

# კომედია იქნება თუ ტრაგედია, თეატრი დღესასწაული უნდა იყოს

მაია ჭალაგანიძე

*"მგონი, ფინიშის სწორზე გავედი... არც ერთმა ჩვენგანმა არ ვიცით, რა არის ბედნიერება, რამდენი გამოგვიყო ღმერთმა და რამდენ ხანს უნდა ვიყოთ. მთავარი მაინც საკუთარი თავის პოვნაა," - ამბობს დღევანდელი იუბილარი, რომელსაც აქვს თითქმის შეუმჩნეველი პატარა კიკინები და სათვალის მიღმა დამალული თვალები, რომელიც ციცინოს, ტასიას, ახალგაზრდა სიდონიას მოგაგონებთ... ეს სოფიკოა და არა მგონია, ვინმემ იკითხოს, "რომელიო?".*

**- თუ ბევრი პატარ-პატარა ბედნიერებები აქვს ადამიანს, საბოლოო ჯამში, ალბათ, შეუძლია თქვას, რომ ბედნიერია, არა?**

- რა თქმა უნდა. ესეც რომ არ იყოს, ალბათ, გაგიჟდება კაცი - პატარ-პატარა ბედნიერება, პატარ-პატარა საქმე, ისიც, რისი გაკეთებაც არამხოლოდ შვილების, შვილიშვილების ან მეგობრებისთვის შემიძლია, არამედ ის, რასაც ამ ქვეყანაზე დავტოვებ. ამას უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს. ადამიანმა საკუთარი თავი უნდა იპოვოს დედამიწაზე. თუ კმაყოფილი ხარ პროფესიით, საქმით და ეს ძალდატანებით არ ხდება, ნახევარი საქმე გაკეთებულია.

**- შეგიძლიათ თქვათ, რომ ცხოვრება სხვაა და თეატრი - სხვა?**

- ცხოვრება თეატრია, ეს ცნობილია... ჩემთან ცხოვრება და თეატრი ერთმანეთთან გადახლართულია...

**- თამაშსა და ცხოვრებას შორის ზღვარი იპოვეთ?**

- ასე საგანგებოდ - ვთამაშობ თუ არა - არასდროს მიფიქრია. ცხოვრებაში რაღაც მომენტებს ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია და ამას მერე სცენაზე ვიყენებ. ალბათ, ასეა. მაგრამ ხანდახან ვფიქრობ: არასდროს არ ვყოფილვარ გურიაში, ისე ვითამაშე სიდონია, ჩემი გურული ქალი. საიდან მაქვს გურული, სოფლელი ქალის თუნდაც კილოკავი, საიდან?

**- გურული ნათესავი არავინ გყავთ?**

- გურული მყავდა მეორე ქმარი, მაგრამ როცა ეს როლი ვითამაშე, ის ჩემს გვერდით არ იყო. კი ვთქვი, გურული-მეთქი, მაგრამ როგორი ქალაქელიც იყო კოტე, ყველამ კარგად იცის.

**- თქვენი პატარა თეატრი ერთ-ერთი პირველი დაარსდა. როგორ უყურებთ პატარა თეატრალურ სივრცეებს?**

- რუსთაველის თეატრშიც მითამაშია და მარჯანიშვილშიც. როდესაც პირველად დავდექი ამ სცენაზე, მივხვდი, რა საოცრებაა. მივხვდი, რამდენად საინტერესო იყო მაყურებლისგან ასე ახლო მანძილიდან თამაში. უფრო სწორად, ეს არ არის თამაში, ეს არის ლაპარაკი, დიალოგი მაყურებელთან. მე ამას "თეატრი მსხვილი ხედით" დავარქვი. კინოს კარგად ვიცნობ და ვიცი, რა არის მსხვილი ხედი. როდესაც მაყურებელი ასე ახლოს ზის, ვერ მოვიტყუები. თუმცაღა, უნდა გითხრათ, რომ არც დიდ სცენაზე ვცდილობდი მოტყუებას, მაგრამ იქ ამოსუნთქვის საშუალება იყო, აქ ეს არ არის.

არ გვინდა დავწიოთ ის თამასა, რაც კოტემ ამ თეატრის, ვერიკოს აურის სცენაზე დააწესა. ამიტომ არის ეს მსახიობის, ერთი მსახიობის იქნება თუ ორის, მაგრამ მსახიობის და არა რეჟისორის ან სხვისი თეატრი.

**- მთელი მსახიობების სახელით რეჟისორებზე შური იძიეთ?**

- არა, პირიქით, მინდა, რომ აქ კარგმა რეჟისორებმა იმუშაონ და ასეც არის, მაგრამ, ამ სივრცეში რეჟისორებს გაქანება არ აქვთ. რობიკო აქ სპექტაკლს არ დადგამს, რადგან მას სხვა სივრცე სჭირდება.

**- ეს სახლი მხოლოდ თეატრი არ არის, ეს კულტურულ-ისტორიული რამაა. არსებობენ კიდევ სხვა პატარა თეატრები...**

- მიხარია, რომ ასეთი თეატრები არსებობენ. მიხარია, რომ ახალგაზრდობა ფიქრობს ხელოვნებაზე, კულტურაზე, თეატრზე და ამაში იხარჯებიან. მაგრამ, "წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო"... ბევრი თეატრი ისევე დაიხურება, როგორც გაჩნდა. ნამდვილი თეატრი კი აუცილებლად დარჩება.

**- ჩვენს ქვეყანაში პატარა თეატრები, თეატრალური სარდაფები მაშინ გაჩნდნენ, როდესაც ქვეყანამ საშინელი ეკონომიკური და ყოველგვარი კრიზისიდან გამოსვლა დაიწყო. როდის მთავრდება ექსპერიმენტი ამგვარ თეატრში?**

- ამას მხოლოდ დრო გვიჩვენებს. ჩემი აზრით, ეს ჯერ კიდევ ექსპერიმენტია.

**- დიდი სცენა არ მოგენატრათ?**

- დიდ სცენაზე ბოლოს გუშინწინ ვიდექი, ბათუმის თეატრში გვქონდა ორი სპექტაკლი - "მარტოობის ბინადარი" და "იადონას თეატრი". პეტერბურგში, დიდ სცენაზე მარკესი მითამაშია. მითამაშია კიევში... ჩემთვის ეს რთული არ არის. მე უკვე ვიცი, რა სიძლიერით უნდა გაგზავნო ხმა დიდ და პატარა დარბაზებში. მაპატიეთ, მაგრამ, საკმაოდ ბევრი მიმუშავია, რომ ეს მესწავლა.

**- ის ყველაფერი, რაც უკანასკნელ წლებში ჩვენს ქვეყანაში ხდება, როგორ აისახება თეატრში მოსულ მაყურებელზე? სხვადასხვა ეტაპებზე როგორი მაყურებელი შემოდიოდა თეატრში?**

- რაც უფრო მძიმეა ჩვენი ყოფა, მით უფრო საჭირო და აუცილებელია მაყურებლისთვის თეატრი. უამრავიდან ერთ შემთხვევას გიამბობთ: 7-8 წლის წინ მარჯანიშვილის თეატრში რეზო კლდიაშვილის "საპოვნელას" ვთამაშობდი. გახსოვთ, ალბათ, მაშინ როგორი უშუქობა, სიცივე, შიმშილი იყო. სპექტაკლის დაწყებიდან ნახევარი საათით ადრე შუქი ჩაქრა. მაყურებელი თეატრში არ შემოუშვეს, რადგან არ ვიცოდით, მოვიდოდა თუ არა შუქი. მახსოვს, თებერვლის ცივი საღამო იყო. ხალხი კი ქუჩაში იდგა და სინათლეს ელოდა. აღვშფოთდი, შემოიყვანეთ ეს ხალხი, უბრალოდ, დაველაპარაკებით-მეთქი სცენიდან... შუქი საათნახევარში მოვიდა და დარბაზი გადაივსო. ეს რისი მაჩვენებელია?! ხალხს თეატრი უნდა, სჭირდება. კოტე მარჯანიშვილი, ქართული თეატრალური ხელოვნებისა და რეჟისორის ეტალონი, ამბობდა: თეატრი, უპირველეს ყოვლისა, იმისთვის უნდა იყოს, რომ ადამიანს ბედნიერება და დღესასწაული მოუტანოსო... ეს კომედია იქნება თუ ტრაგედია - დღესასწაული უნდა იყოს.

**- გარდა იმისა, რომ არტისტი ბრძანდებით და თეატრს შიგნიდან იცნობთ, თქვენს საკუთარ თეატრს ორგანიზაციულადაც მართავთ. დღეს ისე, როგორც ყველგან, კულტურულ ცხოვრებაშიც თამაშის სხვა წესები შემოდის. რა არის სახელმწიფოს როლი თეატრალურ ცხოვრებაში? სახელმწიფოსა და თეატრის ეფექტური ურთიერთობის რაიმე მოდელი ხომ არ გაქვთ?**

- არა. სახელმწიფომ სამი თეატრის - რუსთაველის, მარჯანიშვილისა და ოპერის თეატრების მფარველობა აიღო თავზე. შეიძლება, რაღაც ფორმით, სახელმწიფო მოზარდ მაყურებელთა ან გრიბოედოვის თეატრებსაც დაეხმაროს. ჩვენი თეატრი მუნიციპალურია. არ გეტყვით, რა ხელფასები აქვთ მსახიობებს დანიშნული მუნიციპალიტეტიდან, რადგან ეს დამამცირებელია. ჩვენ თავს იმით ვირჩენთ, რომ ეს ფართი მერიას თეატრისთვის არენდით აქვს აღებული. აქედან ვახერხებთ სპექტაკლების დადგმასაც და გადასახადების გადახდასაც. თუ გადახედავთ აფიშას, სხვადასხვანაირი და უამრავი სპექტაკლი გვაქვს. თან სულ ვმუშაობთ და სპექტაკლები გვემატება. დარბაზში კი სულ 80-90 ადგილია...

**- თეატრი რით ეხმარება სახელმწიფოს?**

- დროის არც ერთ მონაკვეთში, არც ერთი სიდიდის, მნიშვნელობისა და არც ერთი ქვეყნის თეატრი არ არის მომგებიანი. არასდროს ეს არ მომხდარა. ეს არ არის შოუ-ბიზნესი. მსოფლიოში ყველა თეატრი ყოველთვის დოტაციაზე იყო. სახელმწიფო უნდა მიხვდეს, რომ ქვეყანაში პრიორიტეტი კულტურა და ხელოვნებაა.

**- ამას ვერ გრძნობთ?**

- ვერა. ძალიან გამიხარდა, რომ ბუში საქართველოში ჩამოვიდა და ჩვენი კულტურით, ცეკვითა და სიმღერით აღფრთოვანდა. რატომაც არა, ბოლოს და ბოლოს ერთი ტეხასელი ბიჭია. სხვა საქმეა, რომ ის მთელი მსოფლიოს თუ არა, ნახევარსფეროს პრეზიდენტია, ბევრი უნახავს და იცის. ისეთი ძველი კულტურის ქვეყანა, როგორიც საქართველოა, მსოფლიოში ბევრი არ არის - ეს არის მთავარი, ჩვენ ამით მდიდრები ვართ.

ქართველებს გარეშე მტერი არ გვჭირდება, ისე ვჭამთ ერთმანეთს და იცით, რატომ? იმიტომ, რომ ბევრი ნიჭიერი ადამიანია...









**- თქვენ უამრავი რუსი მეგობარი გყავთ და არამხოლოდ თეატრალურ სამყაროში. ამ ორ ხალხს ყოფასა და კულტურაში ერთმანეთი ძალიანაც უყვარს. როგორ გგონიათ, რა ემართებათ პოლიტიკოსებს, რომლებიც ამ ხალხებს წარმოადგენენ?**

- ეს სულ სხვა ფენაა და სულ სხვა ბრძოლა მიდის. ეს ბრძოლა იმდენად პოლიტიკური არ არის, რამდენადაც სამხედრო მანქანა მუშაობს. ხედავთ, რა ხდება ბაზების გაყვანის გამო, რომელიც მართლაც უდიდესი პრობლემაა. რუსები შევარდნაძეს იმიტომ ვერ იტანდნენ, რომ ევროპის გაერთიანებით ბევრი რუსი სამხედრო გააუბედურა, მათ დატოვეს გერმანია, ევროპა... აქაც იგივე ხდება. რუსის ოფიცრები და ჯარისკაცები აქ ოჯახებიანად მშვენივრად ცხოვრობდნენ. ახლა კი, უნდა აიყარონ და აქედან წავიდნენ. ეს სამხედრო მანქანა მუშაობს... პუტინი ერთ დროს, სადღაც, მესიმპათიურებოდა კიდეც. ვთვლიდი, რომ პრაგმატულად აზროვნებდა. ახალი ტიპის პოლიტიკოსი იყო... ძალიან მომწონდა სობჩაკი. სხვათა შორის, სობჩაკის ცოლის ძალისხმევით მომანიჭეს სანკ-პეტერბურგის ხელოვნების აკადემიის ორდენი "Орден Созидания", რომელიც სულ 10 ადამიანს აქვს, ეს ახალი ორდენია. რა თქმა უნდა, სუბიექტური ვარ და 9 აპრილის შემდეგ მისდამი დიდი სიმპათიით ვარ განმსჭვალული. იური როსტს თუ არ ჩავთვლით, ის ლამის ერთადერთი რუსი პოლიტიკოსი იყო, ვინც იმ მძიმე პერიოდში მხარი დაგვიჭირა. არსებობს საოცარი და სულ სხვა ხედვის მქონე რუსი ინტელიგენცია...

**- ახალი თაობის ინტელექტუალებიც ასეთები არიან?**

- სამწუხაროდ, მათ არ ვიცნობ, მაგრამ რუსეთში, მოსკოვში რომ ჩავდივარ, სადაც ბოლო ხანსაც მქონდა გასტროლები, ვერ წარმოიდგენთ, როგორი დამოკიდებულება იგრძნობა ჩვენდამი. როგორც ღმერთს, ისე გვიყურებენ, თითქოს, არ სჯერათ, რომ გვხედავენ.

**- რა სხვაობას და მსგავსებას ხედავთ ვერიკო ანჯაფარიძის და ახალი თაობის არტისტებს შორის?**

- ვერ გეტყვით, რა მსგავსებაა. შეიძლება, თეატრის სიყვარული იყოს, მაგრამ ძალიან არც ეს ჰგავს. სხვებზე ვერ ვისაუბრებ, მაგრამ ის, რაც ჩემს თვალწინ ხდებოდა, სულ სხვა რამ იყო. დედა თეატრით ცხოვრობდა. გაცილებით წინ აყენებდა თეატრს, ხელოვნებას, თავის რეპეტიციებს, ვიდრე ჩვენ - შვილებს, ოჯახს. მისთვის უპირველესი თეატრი იყო, ჩემთვის - არა. ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს შვილებს, შვილიშვილებს და თეატრსაც. ამ მხრივ, მამის გენეტიკა უფრო მძლავრობს. მას ყველაფერი ეხერხებოდა და მეც ასე ვარ, ყველაფერი ვიცი, რაც ქალის საქმე არ არის. ზოგჯერ ამაზე ვბრაზობ, მაგრამ მეორე მხრივ, ვფიქრობ, რომ ადამიანმა დიახაც ყველაფერი უნდა იცოდეს. ჩემი შვილიშვილი დამიძახებს-ხოლმე: "სოფა, ეს როგორ არის?" ვეუბნები, მოდი, მიყურე და ისწავლე-მეთქი.

რაც შეეხება, სხვაობას და მსგავსებას - არ შემიძლია, ეს მსახიობებს დავაბრალო, ეს უფრო დროის, ეპოქების ბრალია. აკაკი ხორავა, ვერიკო ანჯაფარიძე ხალხს თეატრიდან ხელში აყვანილი გამოჰყავდა. დღეს რა უნდა გააკეთოს, როგორ უნდა ითამაშოს მსახიობმა, რომ ასე გამოიყვანოს ხალხმა? რა თქმა უნდა, საკუთარ თავზე არ ვამბობ, ძალიან მძიმე ასაყვანი ვიქნები... მაშინ თეატრი ყველაფერი იყო.

**- მიუხედავად იმისა, რომ მსახიობები პათეტიკურნი და მანერულნი იყვნენ?**

- რა თქმა უნდა, პათეტიკურიც იყო... ისევ დედას დავუბრუნდები - ვერიკო ძალიან მანერული მსახიობი იყო. პათეტიკურობის და მანერულობის დრო წავიდა, ეს მაშინ იგრძნო, როცა ითამაშა "ხეები ზეზეურად კვდებიან". იქ სცენაზე სრულიად სხვა ვერიკო გამოვიდა. ჰქონდა ამის შეგრძნება და ეს იყო პროფესიონალიზმი. მას ჰყავდა ძალიან ბევრი მიმდევარი, რაც საშინელი სანახავი იყო. სულ ეს შიში მქონდა, რომ დედას არ დავემსგავსებოდი და ამიტომ ყველაფერს სრულიად საწინააღმდეგოდ ვაკეთებდი, მაგრამ ახლა მაინც დავემსგავსე, ალბათ, ასაკის გამო...

**- როგორც პროფესიონალს, მოსწონდა თქვენი თამაშის სტილი?**

- თავიდან სულ მეგონა, რომ არა, მაგრამ მოგვიანებით მივხვდი, რომ მოსწონდა.

**- ორიოდე დღის წინ ტელევიზიით "ჩვენი ეზო" გადიოდა...**

- მართლაც ძალიან კარგი ფილმია...

**- საკუთარ გამოსახულებას რომ უყურებთ, დაახლოებით, ვხვდები რას გრძნობთ, მაგრამ რას გაძლევთ ეკრანიდან წამოსული ის ძველი ემოცია?**

- ამ ფილმებს სრულიად განყენებულად, დისტანციიდან, როგორც მაყურებელი, ისე ვუყურებ - თითქოს ეს მე არ ვარ...

**- ალბათ, ამგვარად საკუთარ გრძნობებს ბლოკავთ.**

- შეიძლება, მაგრამ, არ მაქვს და არც არასდროს მქონია ამაღელვებელი გრძნობები ამის მიმართ.

**- კარგია თუ ცუდი თეატრიდან "პრიმადონების" გაქრობა?**

- ეს დრომ მოიტანა. კარგია, როდესაც პატივს გცემენ, როცა გესალმებიან და შენს მიმართ ყურადღებას ამჟღავნებენ, მაგრამ ცუდია, როცა დაიჯერებ, რომ რაღაც სხვანაირს წარმოადგენ. კარგია, რომ გაქრა. ამას წინათ პეტერბურგში წარმოდგენაზე ვიყავი, სადაც ალისა ფრეინდლიხი დიდებულად თამაშობდა. სპექტაკლის შემდეგ კულისებში შევედი და დავინახე ერთი ჩვეულებრივი პატარა ქალი, რომელიც თავისთვის საგრიმიოროში ზის, თავისით იხსნის გრიმს და არაფერი განსაკუთრებული...

**- თქვენ მასთან მეგობრობთ. როგორი მეგობრობა იციან არტისტებმა?**

- ჩვენ, ქართველები უზომონი ვართ ყველაფერში - მეგობრობაშიც, სტუმართმოყვარეობაშიც. საბედნიეროდ, ჩვენთან მეგობრობის ძლიერი და განსაკუთრებული ინსტიტუტია. ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა ვიცხოვრო და ვიარსებო მეგობრების გარეშე. ასეთი რამ სხვაგან არსად არის და არც რუსეთში.

მეორე მხრივ კი, არ დამავიწყდება როდესაც საშინელი 9 აპრილი დაგვატყდა თავს, ჩემთან და კოტესთან პირველი ზარი ოლეგ ბასილაშვილისა იყო. აფორიაქებულმა და დაბნეულმა, დაგვირეკა - რა გავაკეთო თქვენთვისო, გვეკითხებოდა.

**- ახლა რას ატყობთ, იმედი არის?**

- საერთოდ, ოპტიმისტი ვარ, მაგრამ ზოგჯერ ძალიან ვიბნევი... გვერდით თეატრის აშენება მინდა, პატარა, 150 კაციანი დარბაზით. დაინახავდით, ჩვენს გვერდით ცარიელი ადგილია, რომელიც ნაგვის ყუთად აქციეს. რამდენიმე მეზობელმა საჩივარი დაწერა, რომ აქ თეატრის აშენება არ შეიძლება, მანქანების გამონაბოლქვია და სხვა. მერიას შეეშინდა და ეს საქმე გაჩერდა. ზოგჯერ მიკვირს, ნუთუ სახელმწიფოს არ ესმის, რომ მხარში უნდა ამომიდგნენ?! ეს ხომ თბილისს, ჩვენს ქალაქს, უბანს დარჩება? ეს ჩემი იდეა-ფიქსია და თეატრს აუცილებლად ავაშენებ...

ჩემი სახლი, სადაც ახლა თეატრია, მუზეუმია. ეს თეატრი კი კოტემ დააარსა. ორი წელიწადია, რაც კოტე აღარ არის და მარტო დამტოვა. არ ვიცი, კიდევ რამდენ ხანს ვიქნები, მაგრამ სანამ ვარ, აქ თეატრი იქნება. მაგრამ, როცა აღარც მე ვიქნები, აქ, ამ შენობაში, ძალიან გაძნელდება თეატრის არსებობა. მინდა, რომ თეატრი "ვერიკო" ვერიკოს და მიშა ჭიაურელის ქუჩაზე არსებობდეს. ეს სახლი მუზეუმად დარჩება, შეხვედრებისა და სხვა ღონისძიებებისთვის დარბაზიც იქნება. გავა დიდი დრო და ამ პატარა ქუჩაზე იქნება თეატრი "ვერიკო", სულიერების კერა.



## აფიშა

### კონცერტები

**კონსერვატორიის დიდი დარბაზი**
საფესტივალო კონცერტების სერია: "ყანჩელი 70"
თბილისის კონსერვატორიის სტუდენტური ორკესტრი,
მთავარი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელი ლევ მარკიზი (ნიდერლანდები);
დმიტრი ფერშტმანი (ჩელო, ნიდერლანდები), მანანა დოიჯაშვილი (ფორტეპიანო, საქართველო), მარტა ბოში (სოპრანო, ნიდერლანდები), ბარტ სუტერსი (ბას-გიტარა, ნიდერლანდები)
დას: 20:00 სთ.

### თეატრები

**ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
პრემიერა
ჯორჯ ბალანჩინის ბალეტები
პეტრე ჩაიკოვსკის "სერენადა"
იგორ სტრავინსკის "აპოლონ მუსაგეტი"
პერში კეის "სიმფონიური ვესტერნი"
დამდგმელი ქორეოგრაფი: ბარტ კუკი
დირიჟორი: ალექსანდრ სოტნიკოვი
დას: 19:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
მარიუს ფონ მაინბურგი
"ცივი ბავშვი"
რეჟისორი: გურამ ბრეგაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ლევან წულაძე
"სხვა მთვარე"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დასაწყისი: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
"დუბლიორი"
რეჟისორი: ფიქრია ყუშიტაშვილი
დას: 19:00 სთ.

**სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი**
"ზამთრის ღამის სიზმარი"
რეჟისორი: დავით ანდღულაძე
(ოტია იოსელიანის "ექვსი შინაბერასა და ერთი მამაკაცის" მიხედვით)
ფასი: 2-3 ლარი
დას: 18:00 სთ.

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
ოგიუსტ ეჟენ სკრიბი
"ჭიქა წყალი"
(ინტრიგების ორმოქმედებიანი კომედია)
დამდგმელი რეჟისორი: კოტე მირიანაშვილი
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
ლაშა ბუღაძე
"ნუგზარი და მეფისტოფელი"
რეჟისორი: გიორგი თავაძე
დას: 19:00 სთ.

**გრიბოედოვის თეატრი**
"ცხოვრება მშვენიერია"
(ვთამაშობთ ჩეხოვს)
სასცენო კომპოზიციის ავტორი და რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი
დას: 18:00 სთ.

**ცირკი**
საქართველოს, უკრაინისა და რუსეთის საცირკო ხელოვნების ოსტატთა წარმოდგენა
დას: 12:00; 15:00 სთ.

### კინოთეატრები

"კონსტანტინე"
დას: 14:30; 17:00; 20:00; 22:00 სთ.

**საერთაშორისო ახალგაზრული კინოფესტივალი "სესილი"**
**კინოთეატრი "რუსთაველი"**
ანიმაციური და მოკლე მხატვრული ფილმების ჩვენება
დას: 13:30 სთ.
(დასწრება მოსაწვევებითა და აკრედიტაციებით)

### გამოფენები

**ქარვასლა**
"რა განძი გვქონია"
(ფოტოექსპოზიციის მიზანია ფართო საზოგადოებას შეახსენოს საქართველოს მუზეუმებში დაცული ექსონატების ღირებულება და მნიშვნელობა)

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

**გოეთეს ინსტიტუტი**
გამოფენა "Made in Germany - არქიტექტურა + ეკოლოგია"
(გოეთეს ინსტიტუტისა და ბერლინის Gallery Aedes ერთობლივი პროექტი)

გერმანული და საბჭოთა პროპაგანდისტული პლაკატების გამოფენა
"ომისდროინდელი პროპაგანდა კავკასიაში"

### სემინარი

**საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი "კავკასიური სახლი"**
ირანელი მწერალი ქალის
გოლი თარაყის ლექცია
"მწერალი ქალის ფუნქცია ირანის
ტიპის სახელმწიფოში"
დას: 16:00 სთ.

### კლუბები

**ბერლინი**
"შედოუქეთის" საღამო
დას: 22:00 სთ.
ფასი: ბიჭებისთვის - 15 ლარი;
გოგონებისთვის: 5 ლარი.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

# ყველაზე ძვირფასი ჯაზ-ფესტივალი

## და "კოკა-კოლას" ქოლგას შეფარებული ვარსკვლავები

ვერა ნეფარიძე

*დაწყებამდე თვენახევრით ადრე "ისთერნ პრომოუშენმა" ტრადიციული ჯაზ-ფესტივალის მოახლოება ოფიციალურად გვახარა. სწორედ ამისთვის შეიკრიბნენ გუშინ კომპანია "კოკა-კოლას" ქარხნის საზეიმოდ მოწყობილ ეზოში: საქართველოს პირველი ლედი ფესტივალის პატრონი, მინისტრი გიორგი გაბაშვილი, ქალაქის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურისა და ფესტივალის სპონსორი ორგანიზაციების ხელმძღვანელები.*

ასეთი საყოველთაო მზადყოფნის შედეგად უნდა მივიჩნიოთ, რომ წლევანდელი, რიგით მეცხრე ფესტივალი ყველაზე ძვირფასია აქამდე გამართულ ჯაზ-ფესტივალებს შორის, რაც პირველ რიგში ტრადიციად ქცეული ფესტივალის ფინანსური და მორალური მხარდამჭერების აქტივობის პირდაპირი შედეგია. ვიდრე "კოკა-კოლა ჯაზ-ფესტივალის" მონაწილეებს გავეცნობოდეთ, აუცილებლად რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ მხარდამჭერთა შესახებ, რადგან, მათი თანადგომა რომ არა, თბილისში ალბათ კიდევ კარგა ხანს ვერ ჩამოვიდოდნენ ჯაზის ის ვარსკვლავები, რომლებიც ნებისმიერი საერთაშორისო ფესტივალის სასურველი სტუმრები არიან, თავიანთი მონაწილეობით კი აფართოებენ თბილისის სტუმარი სახელოვანი ჯაზმენების ჩამონათვალს.

"24 საათი" ადრეც წერდა, რომ წლევანდელი ჯაზ-ფესტივალი კომპანია "კოკა-კოლას" სახელით გაიმართებოდა. გუშინდელ პრეზენტაციაზე ოფიციალურად ითქვა, რომ ამ კომპანიამ თავის თავზე აიღო ჯაზ-ფესტივალზე პასუხისმგებლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ "კოკა-კოლა" უახლოესი რამდენიმე წლის (წლების რაოდენობა არ დაკონკრეტებულა) განმავლობაში



*"კოკა-კოლა" ჯაზის ქომაგებს მასპინძლობს.*

ფესტივალის მთავარი გარანტი, მისი გენერალური სპონსორი იქნება. ამ კომპანიის დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ უკანასკნელი წლების მცდელობის - ჯორჯ ბენსონის თბილისში ჩამოყვანის წარმატებული დასასრული; "კოკა-კოლას" გამოჩენის პირველი ნიშანი გუშინაც ვიგემეთ - პრეზენტაციაზე ცოცხალ მუსიკასთან ერთად უხვად იყო "კოკა-კოლას" ქარხანაში ჩამოსხმული ცივი სასმელები. "არ დაინანოთ, "კოკა-კოლა" ბევრია, თუ არ გვეყოფა, ქარხანა აქვეა", - მოგვმართა მასპინძელმა. ხუმრობის გარდა, ბიზნესმენმა ისტორიული ექსკურსიც არ დაიზარა და გაგვახსენა, რომ "ისთერნ პრომოუშენის" ერთ-ერთი დამფუძნებელი "კოკა-კოლაც" იყო; რომ მათი თანამშრომლობის პირველი შედეგი რეი ჩარლზის სახით იხილეს თბილისელებმა; ნიშანდობლივია, რომ განახლებული პარტნიორობის შემდეგი დამსახურება მსოფლიოო მუსიკის მორიგი ვარსკვლავის ჯორჯ ბენსონის ჩამოყვანაა.

მეორე წელიწადია, ჯაზ-ფესტივალი სანდრა რულოვსის პატრონაჟით იმართება. როგორც მიშა გიორგაძემ თქვა, ეს ფესტივალს ბევრ რამეში ეხმარება: პირველ რიგში, ბიუროკრატიული დაბრკოლებების უპრობლემოდ გადალახვაში; და მეორე: ფესტივალს ქვეყნის პირველი ლედის პატრონობა პრესტიჟს ჰმატებს. თავად სანდრა რულოვსმა ამის შესახებ გვითხრა: "ძალიან ხშირად უარს ვამბობ სხვადასხვა ღონისძიების პატრონაჟზე; ამ შემთხვევაში ჩემი თანხმობის მიზეზი მხოლოდ ის არ არის, რომ ჯაზი ძალიან მომწონს; უბრალოდ, ძალიან პროფესიონალურ ჯგუფთან გვაქვს საქმე, როდესაც ვამბობთ "ისთერნ პრომოუშენს". სასიგნალო პრესკონფერენციაზე ფესტივალისადმი კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერა გამოხატა გიორგი გაბაშვილმაც: "ეს არ არის რიგითი მოვლენა, ესაა ტრადიცია და სწორედ ასეთი ტრადიციებით ყალიბდება ქვეყანაში კულტურული ცხოვრება". ორგანიზატორებისგან სამართლიანი მადლობა დაიმსახურა ფესტივალის სტაბილურმა და ტრადიციულმა სპონსორმა "ნესკაფემ", რომელიც ჯაზ-ფესტივალის ორი დღის - 4 და 5 ივლისის სპონსორია. ჯაზ-ფესტივალის სპონსორობით დაინტერესდნენ ქართული კომპანიებიც; კერძოდ, "ბანკი რესპუბლიკა" - ის "ნესკაფესთან" ერთად წარმოადგენს მეგავარსკვლავს ჯორჯ ბენსონს. "საქართველოს რკინიგზა" 5 ივლისის კონცერტის (ამ დღეს დაგეგმილია ჯგუფ "შინისა" და რენდი ბრეკერის ერთობლივი პროექტი, ასევე ჯონი სკოფილდის კვარტეტისა და კრის პოტერის კონცერტები) სპონსორია (ჩემი აზრით, ის ფესტივალის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო დღე უნდა იყოს); დაბოლოს, წლეულს ჯაზ-ფესტივალს პირველად მხარში უდგას "თელასი".

ახლა რაც შეეხება ფესტივალის მონაწილეებს. ამჯერად მათ შესახებ მოკლედ მოგახსენებთ, რადგან, "24 საათი" ამჯერადაც ჯაზ-ფესტივალის მხარდამჭერი საინფორმაციო საშუალებაა და მონაწილეების უფრო ახლოს გასაცნობად მთელი თვენახევარი წინ გვაქვს.

ფესტივალს გახსნის (ეს იქნება უფასო კონცერტი ღია ცის ქვეშ ვაკის პარკში) სამი ქართული ჯგუფი: "ლემონ ჯუსი", "პაპარაცი" და გია სალაღიშვილის ბენდი "გიორგის ჯაზ-დივიზიონი"; საღამოს დახურავს შვეიცარიული ფანკ-ჯგუფი "ქლაიანთს ფანკ სოსაითი"; მათი მუსიკა, რომელიც მხიარულ განწყობას უქმნის მსმენელს, ფესტივალის საუკეთესო დასაწყისად მიიჩნიეს ორგანიზატორებმა. ამის შემდეგ ფესტივალი გადაინაცვლებს დიდ საკონცერტო დარბაზში, სადაც მსმენელი პირველ ვარსკვლავს საქსოფონისტ დეივიდ სენბორნს და ინსტრუმენტალისტი ვარსკვლავების კვარტეტს (კრისტიან მაკბრაიდის, დონ ელაიასის, ჯილ გოლდშტეინისა და ტერი ლაინ-ქერინგტონის შემადგენლობით) შეხვდება; სასიამოვნოა, რომ ჯაზ-ფესტივალმა დაამკვიდრა ძალიან კარგი ტრადიცია: საბედნიეროდ, ჩვენც გვყავს მუსიკოსები, რომლებიც ამაყად დაუდგებიან გვერდით სცენაზე მსოფლიო დონის ვარსკვლავებს. ამ შემთხვევაში საუბარია ვეტერან მესაყვირე რენდი ბრეკერისა და ჯგუფ "შინის" ერთობლივ გამოსვლაზე, რომელიც დიდ საკონცერტო დარბაზში 5 ივლისს არის დაგეგმილი; ამავე დღეს გიტარისტი ჯონი სკოფილდის კვარტეტიც (რომლის შემადგენლობაშიც იქნება საქსოფონისტი კრის პოტერი) დაამშვენებს ფესტივალის მეოთხე დღეს; დაბოლოს, ტრადიციული თბილისური ჯაზის ზაფხულის დღეების დესერტია ჯორჯ ბენსონი, ადამიანი, რომელიც თავისი წონით კიდევ უფრო დაამძიმებს თბილისის "კოკა-კოლა ჯაზ-ფესტივალს".

# 23 დაკარგული კადრი

## ვისაც ბერთუბანი ჯერ კიდევ ახსოვს

ია ვეკუა

ბერთუბნის მონასტრის ერთ-ერთ კედელზე დღემდე ჩანს საბჭოთა პოლკოვნიკის მიერ დატოვებული წარწერა, რომლითაც თავმომწონედ მოგვითხრობს, როგორ ესროლა მონასტერს მსხვილკალიბრიანი ჭურვი და ისტორიაში ამ "გმირობით" შევიდა. მეათე საუკუნეში აგებული ძეგლი, ამ პოლკოვნიკის მსგავსად, არაერთი სალდაფონის სამიზნე გამხდარა. აქ წლების განმავლობაში ამიერკავკასიის სამხედრო პოლიგონი მოქმედებდა, მანამდე კი აზერბაიჯანელი მწყემსებისა და მათი ცხვრის თავშესაფარი იყო.

გვახსოვდეს ბერთუბანი! - ამ დევიზით გაიხსნა ბაჩანა გაფრინდაშვლის ფოტოგამოფენა-აქცია, რომელიც უძველესი ქართული ძეგლის საზოგადოებისთვის შეხსენებას ემსახურება. ბერთუბნის ტერიტორიაზე ფოტოგრაფის მოგზაურობა სწორედ იმ სიუჟეტით წარიმართა, რომელზეც, ალბათ, ნებისმიერი ჟურნალისტი ოცნებობს - თანამგზავრებთან ერთად იგი აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა დააპატიმრეს.

ბერთუბნის მშენებლობა მეათე საუკუნეში დაიწყეს და მე-12 საუკუნეში თამარ მეფის მეურვეობით დაასრულეს. თამარის დღემდე შემორჩენილი ფრესკებიდან ერთ-ერთი, ლაშა-გიორგის ფრესკასთან ერთად, სწორედ ბერთუბანშია. ვიდრე მონასტერი საქართველოს ტერიტორიას ეკუთვნოდა, იქ მნიშვნელოვანი საეკლესიო ცენტრი იყო, ცხოვრობდნენ ბერები. ბერთუბანი დავით გარეჯიდან 6-7 კილომეტრითაა დაშორებული, თუმცა იმავე კომპლექსს ეკუთვნის.



*გვახსოვდეს ბერთუბანი! - მოგვიწოდებს ბაჩანა გაფრინდაშვლი.*

მონასტერი 20-იან წლებამდე საქართველოს ტერიტორიას ეკუთვნოდა, ვიდრე ს. ორჯონიკიძემ საკუთარი სამშობლოს გეოგრაფიის შეცვლა არ განიზრახა. სწორედ მან მოაწერა ხელი ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც გარეჯის მთლიანი ტერიტორია აზერბაიჯანს საძოვრებად გადაეცა. წლების შემდეგ ივანე ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიასა და პავლე ინგოროყვას ძალისხმევით, გარეჯის ტერიტორია საქართველოს დაუბრუნდა, ბერთუბანი კი აზერბაიჯანის საზღვრებში დარჩა.

ბერთუბნის საძოვრებად, შემდეგ კი სამხედრო პოლიგონად გამოყენების შემდეგ (მსგავსი ლანდშაფტისა და კლიმატის გამო სწორედ აქ ამზადებდნენ ავღანეთში გასაგზავნ კონტინგენტს), იქაურობა დაცარიელდა, ფრესკები ჩამოირეცხა, კედლები ჩამოიქცა. ბოლოს რესტავრაცია 1988-1990 წლებში ჩატარდა. მას შემდეგ ქართველებს მასთან მიახლოება ეკრძალებათ - მხოლოდ სპეციალური საშვით შეიძლება საზღვრის გადალახვა და მის მიღმა დარჩენილი ისტორიული სამშობლოს მონახულება.

ბაჩანა გაფრინდაშვილი დავით გარეჯის გადასაღებად ჟურნალ "არქიდეას" დავალებით შემოდგომაზე გაემგზავრა. ბერთუბნის არსებობის შესახებ გარეჯის მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორისგან ბიჭიკო თედიაშვილიგან შეიტყო. საქართველოს საზღვარი უპრობლემოდ გადალახეს და ბერთუბნამდე ფეხით ჩავიდნენ. დაბრუნებისას აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა დააკავეს და ორი დღით დააპატიმრეს. შემდეგ ბაქოში გაამგზავრეს, თუმცა, შუა გზიდან მოაბრუნეს, რადგან საქმეში რამდენიმე ცნობილი პიროვნება ჩაერთო.

**ბიჭიკო თედიაშვილი:** "ბერთუბანში თითქმის ხუთი წელი არ ვიყავი ნამყოფი. სავალალო მდგომარეობა დამხვდა. ფრესკები ნაკლებადაა დაზიანებული, მაგრამ რესტავრაციას მაინც საჭიროებს. იმ ტერიტორიაზე გადასვლის უფლება არც ქართველ ბერებს აქვთ. აზერბაიჯანელები ამტკიცებენ, რომ ბერთუბანი მათი სალოცავიც იყო, არადა, ის ერთმნიშვნელოვნად ქრისტიანული მონასტერია და არ შეინიშნება მუსულმანური რელიგიისთვის დამახასიათებელი ნიშნები".

დაპატიმრებულ ბაჩანა გაფრინდაშვილს (მასთან ერთად იყო ბიჭიკო თედიაშვილიც) ფოტოაპარატი ჩამოართვეს, თუმცა, მეხსიერების ჩიპის დამალვა მოასწრო და მესაზღვრეებს სხვა ფოტოები დაათვალიერებინა. სწორედ ამ, ჯეიმს ბონდისეული სიუჟეტის წყალობით გაიმართა გამოფენა, რომელზეც ავტორმა ბერთუბნის 23 კადრი წარმოადგინა.

დამთვალიერებელს შეუძლია ციფრული რეჟიმით მაინც ნახოს, რა სიმდიდრე, კულტურა და რელიგიური ცენტრი დავკარგეთ; ნახოს თამარისა და ლაშა-გიორგის ფრესკები, საბჭოთა სამხედროების მიერ ნასროლი ჭურვებითა და ტყვიებით დაცხრილული ათი საუკუნის წინ აგებული კედლები - ეს სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე დარჩენილი ჩვენი სამშობლოა!

# 6-დან 12 წლამდე

## გამომცემლობა "ელფი" პატარა მკითხველს ახალ წიგნებს სთავაზობს

ია ვეკუა

თბილისის წიგნის ფესტივალის დაწყებამდე რამდენიმე დღე რჩება, მაგრამ გამომცემლობა დამოუკიდებლად აწყობს ახალი გამოცემების პრეზენტაციას. გუშინ სავაჭრო ცენტრ "მეგალაინში" გაიხსნა ახალი წიგნის მაღაზია "ლიბრა", რომელზეც "ელფმა" ოთხი ახალი წიგნი წარმოადგინა.

სერიით "ელფის პატარა მკითხველი" გამოვიდა შემდეგი წიგნები: "კლეოპატრა", "რაინდების ისტორიები", "იასონი და ოქროს საწმისი" და "ქრისტოფორე კოლუმბი". ოთხივე მსოფლიო საბავშვო გამოცემების იმ 20 წიგნიდანაა, რომლებიც 2002 წლიდან გამოდის და მრავალ ენაზე ითარგმნა. ორიგინალურ სერიას ინგლისური გამომცემლობა Usborne Publishing უშვებს. მათი ქართულად გამოცემის ექსკლუზიური უფლება "ელფს" ეკუთვნის. წლეულს პატარები ამ სერიის რვა წიგნს მიიღებენ, სამომავლოდ კი "ელფი" ქართველ ავტორთა ნაწარმოებებსაც დასტამბავს.

კლეოპატრას, იასონის, მრგვალი მაგიდის რაინდებისა და დიდი მოგზაურის, კოლუმბის შესახებ პატარებს ბევრი სმენიათ, თუმცა, ახალი გამოცემები ამ ცნობილი ისტორიული პიროვნებების მათთვის უკეთესად გაცნობას ითვალისწინებს. წიგნები განსხვავებული ფორმითაა შედგენილი. ტექსტი პატარებისთვის ადვილად აღსაქმელი ენითაა გადმოცემული და მკითხველს მომავალში ამ წიგნების სრული ვერსიის წაკითხვის სურვილს უჩენს. გამოცემებს თითქმის ყველა გვერდზე ილუსტრაცია ახლავს. როგორც "ელფის" დირექტორი თინათინ დიდებულიძე ამბობს, პატარა მკითხველი არა მხოლოდ ისტორიებით, არამედ ილუსტრაციების საკუთარი ვერსიების დახატვითაც ინტერესდებიან. ახალი წიგნები, ძირითადად, 6-დან 12 წლამდე ასაკის მკითხველისთვისაა გათვალისწინებული.

საინტერესოა თავად წიგნების გამოცემის ისტორიაც. შავი თარგმანი თინათინ დიდებულიძემ ნაცნობ პატარა მკითხველს წააკითხა. ბავშვი ისე გაუტაცია კითხვას, რომ მთელი ღამე გაუთენებია. "სწორედ ამ შემთხვევამ დაგვარწმუნა, რომ ეს წიგნები აუცილებლად უნდა გამოგვეცა", - ამბობს დიდებულიძე.

გამომცემლობა "ელფი" 1997 წლიდან არსებობს. გერმანიაში, გაზეთ "ბილდში" სამუშაოდ წასული თინათინ დიდებულიძე შემთხვევით ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე მოხვდა. სწორედ აქ გადაწყვიტა, თავი დაენებებინა ჟურნალისტიკისთვის და საგამომცემლო საქმიანობა დაეწყო. იგი პარალელურად უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ასწავლის და თავის სტუდენტებს აქტიურად ასაქმებს. ახალი წიგნები სწორედ მისმა სტუდენტმა ქეთევან ჩიხრაძემ თარგმნა.

აღსანიშნავია, რომ მაღაზია "ლიბრა" დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში ერთადერთი წიგნის მაღაზიაა. აქ ნებისმიერი სახის ლიტერატურა იყიდება. შეგიძლიათ სასურველი გამოცემა შეუკვეთოთ კიდეც. ვინც წიგნის შეძენას ვერ შეძლებს, შეუძლია იქვე წაიკითხოს. თუ ოთხ წიგნს შეიძენთ, გამომცემლობა "ელფისგან" საჩუქარს მიიღებთ.

"ელფი" თბილისის წიგნის ფესტივალისთვის აქტიურად ემზადება. იანვრის შემდეგ გამოცემული 12 ახალი წიგნის გარდა, ფესტივალზე ენციკლოპედიებს "ჩემი საქართველო" და "საქართველოს დიდ მეფეებსაც" გამოიტანს.

# „ეს ნაგავი დროებითია. თბილისი კი - საოცნებო ქალაქი“

## ესმა ონიანი საზღვარგარეთ

თამარ ბაბუაძე

“არიან უცხოელები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, მაგრამ გარესამყაროს არ ეკონტაქტებიან, თითქოს მჭიდროდ თავდახურულ ქილაში იყვნენ ჩაკეტილნი” - კინგა ნეტმან-მულტანოვსკას ეს არ ესმის. ის საქართველოში პოლონეთის ელჩის მეუღლეა და ამბობს: “მე ქართულ შთაბეჭდილებებზე ვნადირობ. უკან რომ დავბრუნდები, არ მინდა, პულტით ხელში ტელევიზორთან ვიჯდე და აქაურობის შესახებ უბრალო რაღაცეები გავიხსენო. მინდა, უკან ცოტა გაქართველებულიც დავბრუნდე”.

ამ “მისიას” ემსახურება ის ბოლო კულტურული პროექტიც, რომელიც პანი კინგამ გუშინ წარუდგინა საზოგადოებას. ცნობილი ქართველი მხატვრისა და პოეტის ესმა ონიანის სახელოსნოში გამოფენა მან მხატვრის დასთან ირინა ონიანთან ერთად გახსნა და ესმა ონიანის შემოქმედება საქართველოში აკრედიტებული ელჩების მეუღლეებს გააცნო.

შეხვედრის მიზანი ძალიან კეთილშობილური იყო: 1999 წელს გარდაცვლილი მხატვრის ფერწერის შესახებ რეზონანსის გამოწვევა საერთაშორისო სახელოვნებო წრეებში. იდეა ქალბატონ ირინას ეკუთვნოდა, კინგა ნეტმან-მულტანოვსკამ კი მისი დახმარება გადაწყვიტა და ახლა იდეის განხორციელებას 2003 წელს დასტამბული უძვირფასესი ალბომის უცხოურ ბიბლიოთეკებში დაგზავნით შეეცდება.

“ესმა ონიანი ჩემი საყვარელი მხატვარია. მას კი საქართველოს ფარგლებს გარეთ არავინ იცნობს, რადგანაც ზოგადად ქართული მხატვრობის შესახებ ცოდნაა ძალიან მწირი. იგივე შეიძლება ითქვას, პოლონეთზეც. ამიტომაც გაჩნდა იდეა, საქართველოში მოქმედი დიპლომატიური კორპუსის გავლით, მისი ალბომი საზღვარგარეთ გაგვევრცელებინა.

პირველი პოლონეთია. ქართველი მხატვრის ალბომი 12-მდე ბიბლიოთეკასა და ხელოვნების ფონდს დავუგზავნეთ. ქალბატონ ირინა ონიანს კი მათგან უკვე მადლობის წერილებიც მოსდის”.

ალბომი მართლაც სამაგიდოა.



ესმა ონიანი, "ქალაქის ხედი", 1972 წ.

უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხით შესრულებულ წიგნში ესმა ონიანის ფერწერა, პოეზია და ესეებია თავმოყრილი. ტექსტი ორენოვანია და პროფესიონალთა შეფასებებიც ერთვის: გიორგი ხოშტარია ესმა ონიანის ფერწერაზე საუბრობს, რეზი თვარაძე მის პოეზიას აფასებს, იორგ ა. ჰენლე კი ქართველ მხატვართან შეხვედრას იხსენებს. ერთი სიტყვით, ამ უზარმაზარ ალბომში ხელოვანის სამყარო მაქსიმალური სრულყოფით წარმოჩინდება.

პანი კინგას ცნობით, ეს მნიშვნელოვანი გამოცემა უკვე ინახება: ვარშავის უძველეს ხელოვნების გალერეაში - უდიდესი კოლექციითა და არქივით, ვარშავის მეცნიერებათა აკადემიის ხელოვნების დეპარტამენტში, ვარშავის უნივერსიტეტში, კრაკოვისა და ვარშავის ნაციონალურ მუზეუმებში, იაგელონების აკადემიაში კრაკოვში, პოზნანის ხელოვნების ბიბლიოთეკაში, ხელოვნების ფონდში და უნივერსიტეტში.

გუშინ კი, ონიანების სახლში სტუმრობის შემდეგ, დანარჩენი ელჩების მეუღლეებიც ისე აღფრთოვანდნენ იქ შექმნილი ზღაპრული გარემოთი, რომ ძალიან მალე, ალბათ, ესმა ონიანის სახელს შტატებში, ბრიტანეთში, გერმანიაში, საფრანგეთში და აზიურ ქვეყნებშიც გაიცნობენ.

“ცხადია, ამ საკითხს დიპლომატებთან კვლავაც წამოვჭრით. ქალბატონი ესმას სახელოსნოში მათ ისეთი მყუდრო გარემო და შესანიშნავი ფერწერა დავახვედრეთ, რომ აუცილებლად დაგვეხმარებიან. სტუმართაგან ბევრი საერთოდ პირველად მოხვდა ქართულ ოჯახში და პირველადვე ათვალიერებდა ასეთ თავისუფალ, ოჯახურ გარემოში უმშვენიერეს ნახატებს. ერთ-ერთმა სტუმარმა ისიც მითხრა, რა შესანიშნავი იდეაა, “მერიოტისა” და “შერატონის” გარდა სხვაგანაც და თან ასეთ კარგ გარემოში რომ შევხვდით ერთმანეთს. ასე რომ, დღევანდელი დღე მათთვის უცხოც იყო და სასიამოვნოც” - დასძენს პოლონეთის ელჩის მეუღლე და იხსენებს, თუ როგორ აღმოაჩინა თვითონ დღეს უკვე ძალიან საყვარელი მხატვარი.

“სამიოდე წლის წინ მე და ჩემი მეუღლე წიგნის მაღაზიაში ამ ალბომს შემთხვევით წავაწყდით. მაშინვე ძალიან მოგვეწონა, ეს რაღაც ერთი ნახვით შეყვარების მსგავსი იყო. ოღონდ, სახელის ჟღერადობის გამო, ავტორი მამაკაცი გვეგონა. მხოლოდ ალბომის საფუძვლიანად დათვალიერების შემდეგ დავეჭვდით და ჩვენს მძღოლთან გადავამოწმეთ: “პან გივი, ესმა ქალის სახელია?” “რა თქმა უნდა, ქალის სახელია” - გვიპასუხა მან. რადგანაც ესმა გარდაცვლილი იყო, მის დასთან მოვინდომეთ შეხვედრა. რამდენიმე თვის შემდეგ “კოპალას” გალერეაში გამოფენაზე მივედით და ქალბატონ ირინასთან დავმეგობრდით. მან ესმას სახელოსნოშიც დაგვპატიჟა და პირველად მაშინ აღმოვჩნდი ამ საოცარ სამყაროში. დღეს გამოფენაზე ის მანდილოსნებიც მოვიწვიეთ, რომელთაც მე “ქალებს პორტრეტებიდან” ვეძახი და რომელთაც მეგობრებად თუ არა, უკვე ჩემს კარგ ნაცნობებად ვთვლი”.

პოლონეთის ელჩსა და მის მეუღლეს ესმა ონიანის ფერწერიდან გამორჩეულად საყვარელი ნამუშევრებიც აქვთ. ერთ-ერთი მათგანი, ხედი მხატვრის სახელოსნოდან, პანი კინგას იმიტომ მოსწონს, რომ ის თბილისის კარგ წარსულსა და უკეთეს მომავალს ახსენებს. “ესმას ნახატებს, გმირებსა და ფერებს სიზმრების, ოცნებების სამყაროში გადავყავარ. ამ ტილოზეც თბილისი ისეთია, როგორიც მინდა, რომ ვნახო. ვიღლები რეალიზმით - მათხოვარი მოხუცებით, ნაგვიანი ქუჩებით სავსე სინამდვილით, რომელიც უცხოელებს გადააქვთ ხოლმე ფოტოფირზე საქართველოში ერთჯერადი ვიზიტების შემდეგ. ეს მათთვის ეგზოტიკაა. მე კი თბილისს კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ ეს ნაგავი და სილატაკე აქ დროებითია. თბილისში დღესაც ცოცხლობს ისეთი სული, როგორსაც ესმა ონიანის ნამუშევრებში ვამჩნევ. უბრალოდ, ის ზედაპირზე არ დევს, ის უნდა ეძიო და აუცილებლად ჩაწვდები”.

ცხადია, ასეთი კეთილშობილური თანადგომის გამო, მხატვრის და, ქალბატონი ირინა ონიანი პოლონეთის ელჩისა და მისი მეუღლის მადლიერია. ქართულ-პოლონურ მეგობრობას ისედაც დიდი წარსული აქვს. მათი დაახლოება და მათი საერთო პროექტები ამ წარსულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თანამედროვე დასტურია.

# ნოსტალგია ეპისტოლარულ ჟანრზე

ნათია ლურსმანაშვილი

მარკები არასოდეს შემიგროვებია; იმ ადამიანებისაც მიკვირდა, ვინც ასე სერიოზულად იყო დაინტერესებული ფილატელიით. თუმცა, მათ მიმართ საკმაოდ დიდი პატივისცემით ვიყავი გამსჭვალული. ერთხელ ჩვენი ფინელი მეგობრებისგან წერილი მივიღეთ. კონვერტს ჩემთვის, 8 წლის ბავშვისთვის, "მაგარი" მარკა ეკრა. მეც, ვითომ ძალიან მაინტერესებდა, ფინური იყო ეს მარკა თუ ჩინური, გულმოდგინედ ავაცალე კონვერტს ორთქლისა და ბამბის დახმარებით, ჩემს მეზობელ ფილატელისტთან გადავედი ძალიან დავალებული და სერიოზული სახით და ვახარე, - მარკა მოგიტანე-მეთქი. საკმაოდ ცივად შემხვდა. რა ვიცოდი, რომ არც ერთი თავმოყვარე ფილატელისტი არ გაიკარებს ამგვარ ახეულ თუ დახეულ მარკას.

ეს ისე, შესავლისთვის. დღეს ქართულ მარკაზე და, საერთოდ, მარკის დაბეჭდვის სირთულეებსა და თავისებურებებზე მოგიყვებით.

პირველი ქართული მარკა 1857 წელს გამოვიდა. ის, ამავდროულად, რუსეთის იმპერიის მიერ პირველად დაბეჭდილი მარკა იყო. მაშინ მისი ფასი 6 კაპიკს არ აღემატებოდა და საკმაოდ მოკლე მანძილისთვის - თბილისი-კოჯრისთვის იყო განკუთვნილი. დღეს მისი ღირებულება 300-დან 500 ათას ამერიკულ დოლარამდეა, უნიკალურია და არც იშოვება.

ქართული თემატიკით მარკები საბჭოთის დროსაც გამოდიოდა, თუმცა, წარწერით почта ссср. სხვანაირად რომ ვთქვათ, ქართული თემატიკა ისევ მოდაში იყო, უბრალოდ, თვითონ მარკა აღარ იყო ქართული. მარკის "ეროვნებას" რამდენიმე აუცილებელი პირობა განსაზღვრავს. პირველი და უმთავრესი ის არის, რომ მას აუცილებლად ორ ენაზე უნდა ეწეროს: ჯერ საკუთარზე - საქართველო, შემდეგ კი ლათინური შრიფტით, ინგლისურად ან ფრანგულად - Georgia.

1992 წელს უკვე ახალი, დამოუკიდებელი საქართველოს მარკა იბეჭდება, რომლის ავტორებიც იყვნენ ბიჭიკო ბრეგვაძე და პაატა ნაცვლიშვილი.

კომუნისტების დროს საქართველოში 100 მილიონზე მეტი წერილი ბრუნავდა. დღეს, ინფორმაციის გადაცემის მრავალი უფრო სწრაფი საშუალების გაჩენის გამო, ეს რიცხვი 3 მილიონამდე შემცირდა. შესაბამისად, შემცირდა მოთხოვნა მარკებზეც. თუმცა, ამით მისი ესთეტიკური ღირებულება და ადგილი კულტურულ სივრცეში არ შევიწროებულა. საქართველოს ფოსტას, მომსახურებითი დატვირთვის გარდა, კულტურულ სივრცეში საკმაოდ საინტერესო სეგმენტიც მიენიჭა. ქართული დიზაინი დიდი მოწონებით სარგებლობს მსოფლიო ასპარეზზე, მისაღებია მისი შედარებით დაბალი ფასიც და ამის გამო კარგად იყიდება.

ნებისმიერი თქვენგანის იდეამ შეიძლება ხორცი შეისხას ამ პაწაწინა მასშტაბში, თუმცა, მას საკმაოდ გრძელი გზის გავლა მოუწევს. თავდაპირველად იდეას "ქართული მარკის" სამსახური ან ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო განიხილავს. სამინისტროს სპეციალურად ამ საკითხისთვის ექსპერტთა ათკაციანი ჯგუფი ჰყავს, რომლის თავმჯდომარე აუცილებლად მინისტრია. როცა თემა დამტკიცდება, "ქართული მარკა" სამინისტროს უკვე ფოსტის მოთხოვნებს წარუდგენს - განისაზღვრება ტირაჟი და საცალო ფასი. შემდეგ უკვე ესკიზის შედგენის დროც დგება, რასაც ისევ კომისია ადასტურებს. უკვე დამტკიცებული ესკიზი იუსტიციის სამინისტროში იგზავნება რეგისტრაციისთვის და ასე გრძელდება უსასრულოდ, სანამ მარკის დაბეჭდვის სურვილი მთლიანად არ გაგიქრება. ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა. უკვე დაბეჭდილი მარკიდან 600 ეგზემპლარზე მეტი მსოფლიო საფოსტო კავშირს ეგზავნება. ასეთი გრძელი და ქანცგამწყვეტი პროცედურა კომერციული მაქინაციის საშუალებას თავიდანვე სპობს.

მარკების გარკვეული რაოდენობა ფოსტის სტენდზეც რჩება. გარდა ამისა, საქართველოს ფოსტა ფოსტისა და ქართული მარკის მუზეუმის შექმნასაც გეგმავს.



მარკებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკებიც ბეჭდავენ. თუმცა, ისევე როგორც მათ დამოუკიდებლობას, მსოფლიო საფოსტო კავშირი არც მათ მარკებს ცნობს. ფილატელისტისთვის, შესაძლოა, საინტერესოც იყოს ამგვარი მარკები, მაგრამ არც ერთი მათგანი მსოფლიოში აღიარებულ დონეს არ უტოლდება.

"ქართული მარკის" დირექტორს გია გუგუშვილს, ისევე როგორც ბევრ ჩვენგანს, ამდენი ელექტრონული საშუალების შემდეგ ნოსტალგიაც კი გაუჩნდა წერილის წერის კულტურისადმი: **"თვითონ წერილის ფაქტორი, კონვერტის, სიყვარულის ახსნის, განშორების - ძალიან მნიშვნელოვანია. მე თვითონ წაკითხული მაქვს ბაბუაჩემის 1905-1906 წლების ღია ბარათები. ალბათ არასოდეს გასჩენიათ იმის შიში, რომ მათ წერილებს ვინმე, თუნდაც, ფოსტალიონი წაიკითხავდა. ყოველთვის დგება მომენტი, როცა ადამიანს ნოსტალგია უჩნდება - შეყვარებულის კალიგრაფია უფრო მოსწონს. სურნელი რომ ახლავს წერილს, გაცილებით მიმზიდველია, ვიდრე მშრალი ლათინური შრიფტით აკრეფილი მესიჯი. გამოჩნდება სხვა საშუალებებიც, რომლებიც კიდევ უფრო დააგდებს წერილის ბრუნვას, მაგრამ ამ სიყვარულს ვერაფერს უზამს. თბილისის სკოლებში უამრავმა ბავშვმა დაიწყო მარკების შეგროვება და სასიყვარულო მესიჯების გაგზავნას აპირებს. ვიცი, რომ აუცილებლად ჩაერთვებიან იმ საქმეში, რომელიც უკავშირდება ამ მარკის დაწებებას, გაგზავნას, მის პასუხს."**

მარკები უამრავ თემაზეა დაბეჭდილი: ნახავთ სუხიშვილების სერიას, ასევე საქართველოს მინერალების, ყურძნის ჯიშების სერიას. არსებობს ქართული ფულების, "ვეფხისტყაოსნის", ქართული ძეგლებისადმი მიძღვნილი მარკებიც. უამრავი თემაა, რაც ქართულ კულტურასა და სულს გადმოსცემს და, შესაბამისად, ქართულ მარკაზეც აღიბეჭდება, როგორც ამ ქვეყნის სავიზიტო ბარათი. სამი წლის წინათ საქართველო-ისრაელის ერთობლივი მარკაც გამოვიდა რუსთაველის ჯერ კიდევ დაუზიანებელი ფრესკის გამოსახულებით. ამავე თემაზე შარშან აკადემიკოს გიორგი წერეთლის მარკაც დაიბეჭდა. დაგეგმილია, დაზიანების შემდეგ ფრესკა განსხვავებული კონტექსტით წარდგეს მსოფლიოს წინაშე. ზოგადად, ეს ორი ერთმანეთზე გადაბმული, პერფორაციით გამოყოფილი მარკა იქნება - ერთ მათგანზე დაზიანებული, ხოლო მეორეზე აღდგენილი ფრესკა იქნება გამოსახული.

"ქართული მარკის" სამსახურს მთელ მსოფლიოში ჰყავს კომპანიონები. საბერძნეთში - "მაცუკისი", სადაც, თავის დროზე გერმანელები ბეჭდავდნენ მარკას, საფრანგეთში - "კასტორი", ჰოლანდიაში - "ესხედე", ფირმა, რომელშიც ევრო იბეჭდება. თუმცა, უამრავი მცდელობის შემდეგ დადგა დრო და 2005 წელს პირველად გამოვა საქართველოში დაბეჭდილი ქართული მარკა. აქამდე ამ ნაბიჯის გადადგმას ბევრი რამ უშლიდა ხელს. იყო მცდელობები, მაგრამ ხარისხი ვერ აკმაყოფილებდა ფილატელისტთა მოთხოვნებს. **"მიხარია, რომ, ბოლოს და ბოლოს, ეს მოხერხდა და მსოფლიო ისტორიაში ის შევა, როგორც საქართველოში დაბეჭდილი პირველი ქართული მარკა".**(გ.გ.)

## ათეულები

### კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მიხედვით

| ავტორი | წიგნი | გამომცემლობა | რეიტინგი |
|---|---|---|---|
| შემდგენელი ვახტანგ კოტეტიშვილი | "მოგზაურები" | "დიოგენე" | 6.8 |
| გურამ მანველიძე | "შელები 2" | "თბილისელები" | 2.8 |
| ლაშა ბუღაძე | "ბოლო ზარი" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 2.4 |
| რამდენიმე | "15 საუკეთესო მოთხრობა 2004" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 2 |
| ალექსანდრე რონდელი | "საერთაშორისო ურთიერთობები" | "ნეკერი" | 2 |
| პაულო კოელიო | "თერთმეტი წუთი" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 1.6 |
| აკა მორჩილაძე | "მოგზაურობა ყარაბაღში" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 1.6 |
| | "საბავშვო ატლასი" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 1.6 |
| ერნესტ გელნერი | "ერები და ნაციონალიზმი" | "ნეკერი" | 1.6 |
| ანა კალანდაძე | "ანა" | "ქართული ენა" | 1.6 |

### საუკეთესო თანამედროვე სიმღერების ათეული დიდებისთვის ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით

| შემსრულებელი | სიმღერა | წინა კვირის პოზიცია | ჩარტებში გატარებული პერიოდი |
|---|---|---|---|
| კელი კლარკსონი | Breakaway | 1 | 35 კვირა |
| მაიკლ ბუბლე | Home | 4 | 16 კვირა |
| "ლოს ლონლი ბოიზი" | Heaven | 2 | 48 კვირა |
| ჯონ მაიერი | Daughters | 3 | 33 კვირა |
| ტიმ მაკგროუ | Live Like You Were Dying | 5 | 33 კვირა |
| "გუ გუ დოლზი" | Give A Little Bit | 7 | 22 კვირა |
| "მარუნ 5" | She Will Be Loved | 6 | 33 კვირა |
| მარტინა მაკბრაიდი | In My Daughter's Eyes | 8 | 16 კვირა |
| დერილ ჰოლ ჯონ ოუტსი | I'll Be Around | 10 | 16 კვირა |
| რობ ტომასი | Lonely No More | 12 | 13 კვირა |



### გასული კვირის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინოთეატრების მონაცემებით

| ფილმის სათაური | რეჟისორი | მსახიობი | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
|---|---|---|---|---|
| "მონსტრი დედამთილი" | რობერტ ლუკეტიკი | ჯეინ ფონდა, ჯენიფერ ლოპესი, მაიკლ ვარტანი | 23,108,133 | 23,108,133 |
| Kicking & Screaming | ჯესი დილანი | უილ ფერელი, რობერტ დიუვალი, მაიკ დიტკა | 20,159,925 | 20,159,925 |
| Unleashed | ლუი ლეტერიე | მორგან ფრიმენი, ჯეტ ლი, ბობ ჰოსკინსი | 10,900,901 | 10,900,901 |
| "სამოთხის სამეფო" | რიდლი სკოტი | ორლანდო ბლუმი, ლიამ ნისონი, ჯერემი აირონსი | 9,625,509 | 35,097,419 |
| "ავარია" | პოლ ჰაგისი | სანდრა ბალოკი, დონ ჩიდლი, მეტ დილონი, ჯენიფერ ესპოზიტო | 7,021,291 | 19,614,256 |
| "ცვილის სახლი" | ხაუმე კოლეტ-სერა | ელიშა კატბერტი, ჩედ მაიკლ-მიურეი, პერის ჰილტონი | 6,563,440 | 21,946,754 |
| "მოგზაურის გზამკვლევი გალაქტიკაში" | გარტ ჯენინგსი | მარტინ ფრიმენი, მოს დეფი, სემ როკველი | 5,049,938 | 43,816,918 |
| "თარჯიმანი" | სიდნეი პოლაკი | ნიკოლ კიდმანი, შონ პენი, კეტრინ კინერი | 4,592,505 | 61,161,945 |
| XXX: State of the Union | ლი ტამაჰორი | აის ქიუბი, სემიუელ ლ. ჯექსონი, უილემ დეფო, სკოტ სპიდმენი | 2,134,772 | 24,340,577 |
| Mindhunters | რენი ჰარლინი | ვალ კილმერი, ელ ჯეი კულ ჯეი, კრისტიან სლეიტერი | 1,911,358 | 1,911,358 |

ინფოთეკა

## მაკმანამანი "მანჩესტერ სიტიდან" მიდის

"როიტერსის" ცნობით, ინგლისის ნაკრებისა და მადრიდის "რეალის" ყოფილი ნახევარმცველი სტივ მაკმანამანი თავისი ამჟამინდელი კლუბიდან "მანჩესტერ სიტიდან" წასვლას აპირებს. 33 წლის ფეხბურთელი, რომელმაც "ლივერპულში" დაიწყო კარიერა, შემდეგ კი "რეალის" შემადგენლობაში ორჯერ მოიგო ჩემპიონთა ლიგა, "მანჩესტერ სიტის" ერთ თვეში დაემშვიდობება, როცა მის კონტრაქტს გაუვა ვადა.

"მანჩესტერ სიტის" მთავარმა მწვრთნელმა სტიუარტ პირსმა განაცხადა, რომ მან არ იცის, სად გააგრძელებს მაკმანამანი თავის კარიერას.

## "ბარსა" ტიერი ანრისთვის იბრძვის

ლონდონის "არსენალის" ხელმძღვანელობამ უარი უთხრა "ბარსელონას" თავდამსხმელის ტიერი ანრის გაყიდვის გამო. კატალონიელები მზად იყვნენ, ფრანგ ფორვარდში 16 მილიონი გირვანქა სტერლინგი შეეთავაზებინათ. თუმცა, "მეთოფეებს" ეს თანხა, როგორც ჩანს, ეცოტავათ. ამავე დროს, ესპანური გამოცემა AS აცხადებს, რომ "ბარსა" ტიერი ანრის შეძენაზე უარის თქმას არ აპირებს. კლუბის პრეზიდენტი ხუან ლაპორტა უახლოეს ხანში "არსენალს" შესთავაზებს ახალ წინადადებას, რომელშიც უფრო გაზრდილი თანხა იქნება დასახელებული.

## "ასტონ ვილა" "ჩელსის" ფეხბურთელებს უმიზნებს

ინგლისური კლუბი "ასტონ ვილა" ლონდონის "ჩელსის" ფეხბურთელების რობერტ ჰუტისა და სკოტ პარკერის შეძენის შესაძლებლობას განიხილავს. ამის შესახებ ბირმინგემის გუნდის მფლობელმა დუგ ელისმა განაცხადა.

"კონკრეტულ გვარებს არ დავასახელებ. მთავარმა მწვრთნელმა იმ ფეხბურთელების სია წარმომიდგინა, რომელთა ნახვასაც ისურვებდა ჩვენს გუნდში. ამ საკითხზე უკვე ვმუშაობ. თუმცა, ძნელია ასეთ საქმეში პროგნოზების გაკეთება. ამავე დროს, მჯერა, რომ ჩვენს მიზანს მივაღწევთ", - განაცხადა ელისმა.

## აილტონმა, შესაძლოა, "შალკე" დატოვოს

გერმანული კლუბის "შალკეს" თავდამსხმელმა აილტონმა განაცხადა, რომ ამჟამინდელი კლუბიდან წასვლის შესაძლებლობას განიხილავს. ბრაზილიელის განცხადებით, იგი, შესაძლოა, საბერძნეთის ერთ-ერთ მოწინავე კლუბში "ოლიმპიაკოსში" გადავიდეს.

31 წლის ფორვარდი მიმდინარე სეზონის დასაწყისში "ვერდერიდან" წავიდა და "შალკეს" შეუერთდა. და მაინც, აილტონის 14 გოლმა მის ახალ კლუბს ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაში ვერ უშველა. გარდა ამისა, "შალკეს" მთავარმა მწვრთნელმა რალფ რანგნიკმა არაერთხელ გამოხატა თავდამსხმელის მიმართ უკმაყოფილება, კლუბის მენეჯერმა რუდი ასაუერმა კი ახლახან მინიშნებით თქვა, რომ ღირსეული კომპენსაციის ფასად მზადაა, აილტონს დაემშვიდობოს.

"ჩემთვის საინტერესო იქნებოდა საბერძნეთში თამაში. ცოტა არ იყოს, დავიღალე გერმანული ფეხბურთისგან. ჩემთვის ახალი ადგილი მორიგი გამოცდა იქნება. "ოლიმპიაკოსს" დიდი ტრადიციები აქვს, საუკეთესო ფეხბურთელებიც ჰყავს, როგორიც, მაგალითად, რივალდოა", - განაცხადა აილტონმა.

## ინგლისელები უკანონო ინტერნეტ-ტრანსლაციის წინააღმდეგ იწყებენ ბრძოლას

ინგლისის საფეხბურთო ლიგა სასამართლო პროცესის დაწყებას აპირებს იმ საიტების წინააღმდეგ, რომლებიც ინტერნეტში უნებართვოდ აწყობენ ფეხბურთის მატჩების ტრანსლირებას. "ბიბისის" ცნობით, ლიგის ხელმძღვანელობამ მსგავსი საიტების ავტორებს წერილი გაუგზავნა, რომელშიც უკანონო საქმიანობის ნებაყოფლობით შეწყვეტისკენ მოუწოდა. თუ ეს არ მოხდება, მაშინ ლიგა სასამართლოში აპირებს სარჩელის შეტანას.

ლიგაში აცხადებენ, რომ უკვე დიდი ხანია, რაც მსგავსი უკანონო ქმედებები ხორციელდება, თუმცა, საჯაროდ ამის შესახებ მხოლოდ ნახევარი წლის წინათ გახდა ცნობილი.

"ბიბისის" ცნობით, პრემიერლიგა თავისი თამაშების ლეგალურ ტრანსლაციაზე უფლებების გაყიდვით სხვადასხვა ტელეკომპანიისგან 1,5 მილიარდ გირვანქა სტერლინგს იღებს.

ფეხბურთი

# ქომაგთა ლიგა ნემსაძეს დაუჭერს მხარს

### ზურაბ პეტრიაშვილმა კანდიდატურა მოხსნა

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო სავარძლის მაძიებელთა რიგებს ორი კანდიდატურა გამოაკლდა. გია ფირცხალავამ, რომელიც სხვადასხვა წრეებში აქტიურ კონსულტაციებს მართავდა, როგორც ჩანს, ვერ მიიღო ისეთი მხარდაჭერა, რომელიც არჩევნებში მის გამარჯვებას განაპირობებდა. ამიტომ მან წინასწარ წაგებულ თამაშში მონაწილეობაზე უარი თქვა და ფედერაციაში კანდიდატად აღარც დარეგისტრირებულა. გუშინ ცნობილი გახდა, რომ კიდევ ერთმა შესაძლო კანდიდატმა, ქომაგთა ლიგის ვიცე-პრეზიდენტმა ზურაბ პეტრიაშვილმა ასევე მოხსნა საკუთარი კანდიდატურა გიორგი ნემსაძის სასარგებლოდ. ძნელი სათქმელია, რამდენად ღირებულ დივიდენდებს მოუტანს საქართველოს ნაკრებისა და თბილისის "დინამოს" ყოფილ კაპიტანს ქომაგთა ლიგის მხარდაჭერა, თუმცა, თავად პეტრიაშვილს რომ ნემსაძის გამარჯვების დიდი იმედი აქვს, გუშინ ჭადრაკის სასახლეში გამართულ პრესკონფერენციაზე დადასტურდა. პრესკონფერენციას თავად გიორგი ნემსაძეც დაესწრო.

"საკუთარი კანდიდატურის პრეზენტაციაზე ვთქვი, რომ კონკურენტებს შორის ჩემს ყველაზე მეტ სიმპათიას გიორგი ნემსაძე იმსახურებდა. საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტნის მთელი ცხოვრება, სპორტული კარიერა და რეპუტაცია ადასტურებს, რომ ნემსაძე წესიერი, პატიოსანი და ღირსეული ადამიანია, რომელიც საკუთარ სინდისთან კომპრომისზე არასდროს წასულა და არც წავა. გიორგის ცხოვრებისეული პრინციპები არა მხოლოდ პატივისცემის ღირსი, ყველა ქართველისთვის მისაბაძი მაგალითია. განათლებული, პროფესიონალი, ეროვნული მუხტისა და ზნეობის მატარებელი, დიდი გამოცდილების მქონე, ანუ ყველა იმ თვისებით დაჯილდოებული ადამიანია, რომელიც ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგის აზრით, ამ თანამდებობას ყველა დანარჩენ კანდიდატზე უკეთ შეესაბამება. ამიტომ მე ვხსნი კანდიდატურას გიორგი ნემსაძის სასარგებლოდ. იმედი მაქვს, ის არჩევნებში გაიმარჯვებს", - განაცხადა ზურაბ პეტრიაშვილმა.

ცნობილია, რომ სხვადასხვა სახელისუფლებო წრეები აქტიურად ლობირებენ ამა თუ იმ კანდიდატს. არ არის გამორიცხული, რომ ამ პოლიტიკურმა ზეწოლამ გადამწყვეტი როლი შეასრულოს რომელიმე კანდიდატის გაპრეზიდენტებაში. ასეთ სიტუაციაში ქომაგთა ლიგის ვიცე-პრეზიდენტს ყველაზე უფრო ქვეყნის პრეზიდენტისა და მისი ნეიტრალური პოზიციის იმედი აქვს.

"ვიცით, რომ სახელისუფლებო ეშელონები წინასაარჩევნო სიტუაციაში აქტიურად ერევიან. საბედნიეროდ, ქვეყნის პრეზიდენტი ნეიტრალურ პოზიციას ინარჩუნებს და არც სიტყვით, არც მოქმედებით არ ამჟღავნებს საკუთარ სიმპათიებს. მიხეილ სააკაშვილი ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიის მთავარი გარანტია. აშშ-ის პრეზიდენტის ვიზიტიც იმის დასტურია, რომ დასავლური სამყარო ჩვენი ქვეყნისგან დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემას, განვითარებას ელის. თუ ეს პრინციპები არ დაირღვა, გიორგი ნემსაძე არჩევნებში აუცილებლად გაიმარჯვებს", - კატეგორიულია ზურაბ პეტრიაშვილი.

გიორგი ნემსაძე მთელი ქვეყნის მასშტაბით კონსულტაციებს მართავს რეგიონულ საფეხბურთო წრეებთან და სხვადასხვა რეგიონიდან მხარდაჭერის გარანტიებიც აქვს მიღებული. თუმცა, გაჩნდა ინფორმაცია, რომ ცენტრიდან რეგიონებში გაშვებული პოლიტიკური მესიჯების გამო ნემსაძეს მოპოვებული ხმების იმედი უკვე აღარ უნდა ჰქონდეს.

"არ მჯერა, რომ ხელისუფლება ასე აშკარად და უხეშად ერევა საარჩევნო პროცესში. თუ ვინ გაიმარჯვებს არჩევნებში, მხოლოდ ქართული საფეხბურთო ოჯახის გადასაწყვეტია. წარსულს უნდა ჩაბარდეს ის დრო, როცა არჩევნების ბედი უკუღმართი საარჩევნო ტექნოლოგიების, "შავი პიარის", მოსყიდვისა და დაშინების მეთოდით წყდებოდა. ვეცდები, არ გავუმტყუნო იმედი ჩემს მხარდამჭერებს და ბოლომდე ვიბრძოლებ გამარჯვებისათვის. დიდ მადლობას ვუხდი ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგას, პირადად ბატონ ზურაბ პეტრიაშვილს მხარდაჭერისათვის. იმედი მაქვს, არჩევნები დემოკრატიულად, თამაშის წესების დაცვით ჩატარდება", - დააფიქსირა საკუთარი პოზიცია გიორგი ნემსაძემ.

"პატიოსნება, პატრიოტიზმი, პროფესიონალიზმი", - ასეთი დევიზით მიიღებს მონაწილეობას ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში გიორგი ნემსაძე. შეგახსენებთ, რომ ნემსაძის გარდა, ფედერაციაში რეგისტრაცია გაიარა კიდევ სამმა კანდიდატმა: რევაზ არველაძემ, ნოდარ ახალკაცმა და ვლადიმერ გუცაევმა. 11 ივნისს სწორედ ამ ოთხეულში გათამაშდება ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის სავარძელი.

საფეხბურთო გალერეა

# ფრანკ რაიკაარდი: ფეხბურთი გუნდური თამაშია!

*ფრანკ რაიკაარდი*
***დაიბადა:*** *1962 წლის 30 სექტემბერს*
*მცველი, ნახევარმცველი*
***კლუბები:*** *"აიაქსი" (ამსტერდამი, ჰოლანდია, 1980-1988), "სარაგოსა" (სარაგოსა, ესპანეთი, 1988), "მილანი" (მილანი, იტალია, 1988-1993), "აიაქსი" (ამსტერდამი, ჰოლანდია, 1993-1995)*
***ტიტულები:*** *ჰოლანდიის ჩემპიონი - 1982, 1983, 1985, 1994, 1995, ჰოლანდიის ვიცე-ჩემპიონი - 1981, 1986, 1987, 1988, ჰოლანდიის ჩემპიონატის მესამეადგილოსანი - 1984, იტალიის ჩემპიონი - 1992, 1993, იტალიის ვიცე-ჩემპიონი - 1990, 1991, იტალიის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი - 1989, ჰოლანდიის თასი - 1983, 1986, 1987, ჰოლანდიის სუპერთასი - 1993, 1994, 1995, იტალიის სუპერთასი - 1988, 1992, ჩემპიონთა თასი - 1989, 1990, 1995, თასების მფლობელთა თასი - 1987, ევროპის სუპერთასი - 1989, 1990, 1995, საკონტინენტთაშორისო თასი - 1989, 1990, 1995, ევროპის ჩემპიონი - 1988*
*"მილანში": 201 მატჩი, 26 გოლი*
*"აიაქსში": 337 მატჩი, 71 გოლი*
*ნაკრებში: 73 მატჩი, 10 გოლი*

ლაშა გოდუაძე

ექვსწლიანი შესვენების შემდეგ "ბარსელონამ" ესპანეთის ჩემპიონის ტიტული მოიგო. კატალონიური კლუბი ამ გამარჯვებამდე ჰოლანდიელმა სპეციალისტმა ფრანკ რაიკაარდმა მიიყვანა. ნიშანდობლივია, რომ "ბარსელონას" ბოლოსწინა ჩემპიონობაც ჰოლანდიელი მწვრთნელის დამსახურებაა - 1999 წელს კლუბს ლუის ვან გაალი წვრთნიდა.

ესპანეთის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბის წარმატება შეუმჩნეველი არ დარჩენია პოპულარულ ინგლისურ ჟურნალ "უორლდ სოკერს". გამოცემის ექს-რედაქტორი კირ რედნიჯი ბარსელონას ესტუმრა და კლუბის თავკაცს ფრანკ რაიკაარდს განვლილ სეზონზე ესაუბრა.



ფრანკ რაიკაარდმა ესპანეთის ჩემპიონატი მოიგო.

**- გულახდილად გვითხარით: სეზონის წინ რომელი ტურნირის მოგებას გეგმავდით - პრიმერადივიზიონის თუ ჩემპიონთა ლიგის?**

- ისეთ კლუბს, როგორიც "ბარსელონაა", ნამდვილად არ ჰქონდა არჩევანის უფლება. ჩვენ ბოლო ექვსი წლის მანძილზე არაფერი მოგვეგო. ამიტომ რომელიმე ტურნირს ნამდვილად ვერ მივანიჭებდით უპირატესობას. მე და ჩემს გუნდს ერთი მიზანი გვქონდა - აუცილებლად მოგვეგო რომელიმე ჯილდო. სასიხარულოა, რომ მთავარი მიზანი შევასრულეთ - ჩემპიონატი მოვიგეთ!

**- "ბარსელონას" ჩემპიონთა ლიგის მოგებაც შეეძლო, მაგრამ მეოთხედფინალში "ჩელსისთან" დამარცხდა...**

- კარგი იქნებოდა, ეს ტურნირიც მოგვეგო, მაგრამ ვერ შევძელით - მეტოქე ძლიერი იყო. მე თუ მკითხავთ, პირველობის მოგება უფრო ძნელია, ვიდრე ჩემპიონთა ლიგის. და აი, რატომ: თუ ჩემპიონატში პირველ ადგილზე გახვედი, ესე იგი, მთელი სეზონი სწორად გიმუშავია, გუნდი ნამდვილად ძლიერი იყო. ლიგაზე კი ამას ვერ იტყვი: შესაძლოა, კარგად ითამაშო, მაგრამ გადამწყვეტ მატჩში ბურთი ძელს მოხვდეს, კარში შევარდნის ნაცვლად მინდვრის გარეთ გავარდეს და ამის გამო დამარცხდე. სწორედ ისე, როგორც ჩვენ დაგვემართა "ჩელსისთან". ვთვლი, რომ ლიგაში მთავარია რაც შეიძლება მეტი შეხვედრა ჩაატარო. თუ ეს მოახერხე, გამოდის, რომ სწორად მუშაობ, ხოლო თუ ჯგუფური ეტაპიც ვერ დაძლიე, ცდები და ეგაა. ამიტომაც მაგონებს ჩემპიონთა ლიგა ლატარიას. არ იფიქროთ, რომ "ჩელსისთან" მარცხის გამო თავს ვიმშვიდებ. არა, ეს არაფერ შუაშია. უბრალოდ, იმას ვამბობ, რა აზრიც წლების მანძილზე ჩამომიყალიბდა. ფეხბურთელობისას და ახლაც, ევროთასებზე მეტ უპირატესობას ეროვნულ ჩემპიონატებს ვანიჭებ.

**- მოდით, "ჩელსისთან" დაპირისპირება გავიხსენოთ. "ბარსელონამ" "სტემფორდ ბრიჯზე" შესანიშნავად ითამაშა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია...**

- აკი გითხარით, მეტოქემ სამართლიანად გვაჯობა. იმ ორ მატჩში ლონდონელებმა ჩვენზე უკეთ ითამაშეს და თასისთვის ბრძოლის გაგრძელება - ესაა და ეს. [illegible] "ბარსელონას" რაიმეთი სჯობს. ამ სეზონში მეტოქემ ლიგაში ჩვენზე შორს გააღწია, მაგრამ არ არის გამორიცხული, გაისად ჩვენ უკეთ ვითამაშოთ.

**- ჟოზე მოურინიოს თუ იცნობდით?**

- არა, მაგრამ ის კი ვიცოდი, რომ თავის დროზე "ბარსელონაში" მწვრთნელის თანაშემწედ მუშაობდა. თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, ვთვლი, რომ ბოლო წლების ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია. მის პროფესიონალიზმზე შედეგები მეტყველებს: თუ ვინმე რამეს იგებდა ევროპაში, უპირველეს ყოვლისა, მოურინიოს გუნდები. ერთი სიტყვით, მას ძალიან ძლიერ მწვრთნელად ვთვლი!

**- იცით თუ არა, რომ თქვენ მხოლოდ დიდ გუნდებში მომუშავე მწვრთნელის სახელით სარგებლობთ? ჰოლანდიის ნაკრებს და "ბარსელონას" ვგულისხმობთ.**

- ამის შესახებ არასდროს მსმენია... ვერ დაგეთანხმებით: ხსენებულ გუნდებში მუშაობამდე 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე გუუს ჰიდინკის თანაშემწე ვიყავი ჰოლანდიის ნაკრებში, მერე კი როტერდამის "სპარტას" ვწვრთნიდი, რომელიც არათუ ევროპაში, სამშობლოშიც არ მიეკუთვნება გრანდებს. სიმართლე გითხრათ, ჩემთვის ყველა სამუშაო საპასუხისმგებლო და დიდია - არა აქვს მნიშვნელობა, "სპარტაში" ვმოღვაწეობ თუ "ბარსელონაში".

**- თქვენ ნაკრებშიც გიმუშავიათ და კლუბშიც. შეგიძლიათ თუ არა, ეს ორი საქმე შეადაროთ ერთმანეთს?**

- მთავარი განსხვავება ისაა, რომ ქვეყნის პირველ გუნდში შენს ფეხბურთელს თვეში ერთხელ ხვდები, რაც, ჩემი აზრით, მუშაობას ართულებს. თუმცა, დიდ ტურნირზე, მაგალითად, ევროპის ან მსოფლიო პირველობაზე, თითქმის ერთი თვე ცხოვრობ გუნდთან ერთად და ამის წყალობით ჩანაფიქრს სრულად ახორციელებ. [illegible] ლობა იყოს, მეორე დღეს ორი ვარჯიში გაქვს, მესამე დღეს კი თამაშობ. მერე ფეხბურთელები კლუბებში ბრუნდებიან და მორიგ შეკრებამდე ვერ ხვდები. მე თუ მკითხავთ, ნაკრებში მუშაობა ძალიან ძნელია. კლუბში გაცილებით ნაკლები პრობლემებია. თუნდაც წაგება: ნაკრებში მარცხი მხოლოდ და მხოლოდ მწვრთნელს ბრალდება, კლუბში კი, შესაძლოა, ზედიზედ წააგო რამდენიმე მატჩი, მაგრამ განგაში არ ატეხონ... ერთი სიტყვით, სხვაობა ძალიან დიდია.

**- კლუბის მწვრთნელს სანაკრებო თამაშების გამო ხელი ეშლება - ფეხბურთელებს რამდენიმე დღით უწევთ გუნდის დატოვება და თავიან ქვეყნებში დაბრუნება. ამის თაობაზე რას ფიქრობთ?**

- ეს მართლაც გადაუჭრელი და მტკივნეული პრობლემაა, რომელიც ძალიან მაწუხებს. "ბარსელონა" დიდი კლუბია და ჩვენ ხშირად გვიწევს ფეხბურთელების გაშვება. ასეთ შემთხვევაში ვარჯიშებს განახევრებული შემადგენლობით ვატარებთ, რაც, სიმართლე გითხრათ, ძალიან არ მომწონს. გარდა ამისა, პრობლემაა ისიც, რომ კლუბში მოთამაშე ხუთშაბათს ბრუნდება და, ცხადია, ძალიან გადაღლილია. პარასკევს მსუბუქად ვარჯიშობს, შაბათს კი, როგორც წესი, თამაში უწევს. სხვათა შორის, თუ დააკვირდებით, აღმოაჩენთ, რომ ჩვენ მეტწილად სწორედ სანაკრებო მატჩების შემდეგ ვაგებდით. სხვა თუ არაფერი, ნაკრებში, როგორც წესი, 10-11 ფეხბურთელს ვუშვებთ, რაც, ცხადია, ძალიან ბევრია!

**- "ბარსელონაში" ბევრი სამხრეთამერიკელი ირიცხება და თითქმის ყველა მათგანს უწევს ნაკრებში თამაში. საინტერესოა, რატომ ყიდულობს "ბარსელონა" სამხრეთამერიკელებს, თუ სანაკრებო თამაშები ასე ძალიან აწუხებს?**

- ნება მიბოძეთ, ყველაფერი აგიხსნათ: თუ ვფიქრობ, რომ კლუბი გარკვეულ ცვლილებას საჭიროებს, [illegible] ლი მოთამაშე და არა აქვს მნიშვნელობა, სამხრეთამერიკელი იქნება, აფრიკელი თუ აზიელი. მთავარია "ბარსელონას" მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს!

**- მეორე წრეში თქვენ კიდევ ერთი სამხრეთამერიკელი - არგენტინელი ფორვარდი მაქსი ლოპესი გადაიბირეთ. რატომ?**

- ჰენრიკ ლარსონის ტრავმის შემდეგ მივხვდი, რომ აუცილებლად გვჭირდებოდა ფორვარდი - წინ ბევრი მატჩი გვქონდა და თავდამსხმელები ასეთ დატვირთვებს ვერ გაუძლებდნენ. დავიწყეთ ძიება და აღმოჩნდა, რომ მაქსი ლოპესი ჩვენს მოთხოვნებს ზედმიწევნით აკმაყოფილებდა. რაც მთავარია, არ იყო არგენტინის ნაკრების ფეხბურთელი, რამაც ყველაზე მეტად გაგვახარა. სწორედ ამიტომ ავირჩიეთ ლოპესი.

**- საინტერესოა, თუ განსხვავდება დღევანდელი სიტუაცია 90-იანი წლებისგან, როცა ფეხბურთელი იყავით?**

- რა თქმა უნდა! ჯერ ერთი, იმავე "მილანში", სადაც მე ვთამაშობდი, არ იყო ამდენი ლეგიონერი და სანაკრებო თამაშების გამო კლუბი არ ზარალდებოდა. არც კალენდარი იყო ასე გადატვირთული. პირადად მე სამშობლოში ჩასვლა-წამოსვლას ვერც ვგრძნობდი - იტალიიდან ჰოლანდიაში ჩაფრენას და პირიქით მხოლოდ ორ საათს ვანდომებდი. პრობლემა, როგორც გითხარით, სხვა კონტინენტელებთანაა დაკავშირებული, თორემ ევროპაში თამაში ფეხბურთელებზე მტკივნეულად სულაც არ აისახება.

**- "ბარსელონაში" ბევრი ჩინებული ფეხბურთელი თამაშობს. თქვენ, როგორც მწვრთნელს, როგორი დამოკიდებულება გაქვთ ლიდერებთან?**

- ითვლება თუ არა მოთამაშე "ვარსკვლავად", ამას მედია წყვეტს და არა თავად ფეხბურთელი. მიმაჩნია, რომ ყველა კლუბი გარკვეულწილად ერთნაირია: გუნდში ირიცხება ორი-სამი პოპულარული მოთამაშე, რომლებიც ყველაზე მეტს საუბრობენ, სხვებთან შედარებით დიდ ყურადღებას იქცევენ, ვარსკვლავები არიან... მაგრამ როცა გასახდელში შემოვლენ, ყველა მათგანმა უნდა გააცნობიეროს, რომ გუნდის წარმატება მხოლოდ მათ კი არა, ყველა ფეხბურთელმა განაპირობა. თუ ასე არ იქნება, ასეთი "ვარსკვლავები" ჩემს გუნდში ვერ გაჩერდებიან - მათ კარისკენ მივუთითებ! ფეხბურთი გუნდური თამაშია და პირველ რიგში ერთად მუშაობაა საჭირო. იცით რატომაა ჩემს გუნდებში ოცი-ოცდაორი ფეხბურთელი? ასეთ დროს ყველასთან ვმუშაობ, თითქმის ყველას უწევს თამაში და გუნდიც ერთსულოვანია. თუ ვინმეს ტრავმა აწუხებს, ახალგაზრდულიდან ვიმატებ მოთამაშეებს. მე თუ მკითხავთ, ასე მუშაობა სჯობს ოცდაათი-ოცდათხუთმეტი ფეხბურთელის ყოლას, რომელთაგან ათი კვირიდან კვირამდე თანაგუნდელებს ტრიბუნიდან უყურებს...

**- ძნელი ხომ არ არის, გადაიბირო ისეთი ფეხბურთელი, როგორიცაა ჰენრიკ ლარსონი, რომელიც წლების მანძილზე საუკეთესო იყო შოტლანდიაში და უთხრა, რომ უმეტესწილად სათადარიგოთა შორის ყოფნა მოუწევს?**

- გეთანხმებით, რომ ეს გარკვეულ უხერხულობასთანაა დაკავშირებული, მაგრამ გადაუჭრელი პრობლემა ნამდვილად არაა. მერწმუნეთ: ლარსონს ტრავმა რომ არ მიეღო, იმაზე მეტ მატჩს ჩაატარებდა, ვიდრე თავად ელოდა.

**- გისმენთ და შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ინდივიდუალური აღიარების, გნებავთ, ჯილდოების წინააღმდეგი ხართ. თვლით თუ არა, რომ "ფრანს ფუტბოლს" ანდრეი შევჩენკო არ უნდა დაეჯილდოებინა?**

- სხვა რამეს ვგულისხმობ. შევჩენკოს საწინააღმდეგო არაფერი მაქვს - ჩინებული თავდამსხმელია და მის სიძლიერეში ეჭვი არც შემაქვს, მაგრამ ვინ იტყვის, რომ "მილანს" მისი გოლები თუნდაც პაოლო მალდინის თამაშზე ძალიან დაეხმარა? მცველის მოქმედება თავდამსხმელის თამაშზე არანაკლებ მნიშვნელოვანია, მაგრამ უკანახაზელებს ჯეროვან ყურადღებას არავინ აქცევს. სწორედ ამიტომ გამოკითხვებს სერიოზულად არ ვეკიდები. თუ მაინცდამაინც საუკეთესოების გამორჩევა გვინდა, კი ბატონო, დავაწესოთ პრიზები ევროპის საუკეთესო მეკარისთვის, მცველისთვის, ნახევარმცველისთვის და თავდამსხმელისთვის. მჯერა, ასე უკეთესი იქნება.

**- "ბარსელონას" თავდამსხმელი სამუელ ეტ`ოო აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. საინტერესოა, რას ფიქრობთ მასზე?**

- თუ მის ასაკს გავითვალისწინებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩინებული ფეხბურთელია. ბევრს მუშაობს და, გარდა ამისა, ახასიათებს მოულოდნელი გადაწყვეტილებები, რაც ეტ`ოოს უფრო მეტ ღირებულებას ანიჭებს. სწრაფია, ელასტიკური, ჩინებული საგოლე ალღო აქვს, პოზიციას სწორად არჩევს... ერთი სიტყვით, შეუძლია ბრწყინვალე ფეხბურთელი დადგეს!

**- დაბოლოს, რის ხარჯზე აჯობა "ბარსელონამ" მადრიდის "რეალს"?**

- მეტოქეს ყველაფერში ვაჯობეთ: გამარჯვების წყურვილით, სელექციით, სტაბილურობით, სანახაობრივი თამაშით... ვთვლი, რომ ამ სეზონში ჩემი გუნდი "რეალს" ნამდვილად სჯობდა. ჩვენ ჩემპიონატი მოვიგეთ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთელი სეზონის მანძილზე უკეთ ვმუშაობდით, ვიდრე მადრიდელები. გულს სწორედ ეს მახარებს. ისე კი, არ დაგავიწყდეთ, რომ "რეალს" შარშანაც ვაჯობეთ. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ გასულ წელს ჩვენ "ვალენსიამ" გვაჯობა.

ინფოთეკა

## "არსენალმა" ბერგკამპს ახალი კონტრაქტი შესთავაზა

ლონდონის "არსენალის" ხელმძღვანელობის წარმომადგენელმა პიტერ ჰილვუდმა განაცხადა, რომ გუნდის ვეტერან ფეხბურთელს დენის ბერგკამპს ახალ კონტრაქტს შესთავაზებენ. ამგვარად, 36 წლის ჰოლანდიელი ფეხბურთელი მომავალ სეზონზეც ითამაშებს "მეთოფეების" შემადგენლობაში.

"ჩვენ გულდასმით მოვამზადეთ ეს დოკუმენტი. ვფიქრობ, რომ ის კმაყოფილი იქნება ახალი კონტრაქტით და ხელსაც მოაწერს მას. ჩვენი დიდი სურვილია, რომ ბერგკამპი "არსენალში" დარჩეს", - განაცხადა ჰილვუდმა.

## ბენიტესმა "ვალენსიას" ფეხბურთელების გაცვლა შესთავაზა

"ლივერპულის" მთავარი მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი თავისი გუნდის ესპანელი ფეხბურთელებით გაძლიერებას აგრძელებს. ამჯერად მან თავის ყოფილ კლუბს "ვალენსიას" ფეხბურთელების - მილან ბაროშისა და მომო სისოკოს გაცვლა შესთავაზა. ბრიტანული პრესის ცნობით, თავად 20 წლის სისოკომაც გამოთქვა ინგლისში წასვლის სურვილი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ "ვალენსიას" ხელმძღვანელობა დადებითად ეკიდება გუნდში ბაროშის მოსვლის აზრს. ასე რომ, ადვილი შესაძლებელია, რაფაელ ბენიტესის სურვილი შესრულდეს და "ლივერპულის" რიგები კიდევ ერთმა ესპანელმა ფეხბურთელმა შეავსოს.

## მოურინიო: "აბრამოვიჩი "ჩელსის" ზურგს არ შეაქცევს"

ლონდონის "ჩელსის" მთავარი მწვთნელის ჟოზე მოურინიოს აზრით, კლუბის მფლობელი რუსი ბიზნესმენი რომან აბრამოვიჩი არასდროს დაკარგავს ფეხბურთისადმი ინტერესს და არც "ჩელსის" დატოვებს.

როგორც ცნობილია, აბრამოვიჩმა უკვე დახარჯა 200 მილიონი გირვანქა სტერლინგი ფეხბურთელების შესაძენად მას შემდეგ, რაც ორი წლის წინათ "ჩელსი" იყიდა. მოურინიოს აზრით, აბრამოვიჩი ზურგს არ შეაქცევს ლონდონელებს. მწვრთნელისვე თქმით, მფლობელმა მას საგანგებო დავალება მისცა - გახადოს "ჩელსი" მსოფლიოში საუკეთესო კლუბი.

"ჩვენი კლუბი დღითი დღე იზრდება. აბრამოვიჩი კი ის ადამიანი არ არის, რომელიც შუა გზაზე მიატოვებს დაწყებულ საქმეს. მას "ჩელსი" უყვარს. მიზეზს ვერ ვხედავ, რატომ უნდა გაყიდოს მან კლუბი, თუნდაც რამდენიმე წლის შემდეგ. ის ჩვენი ერთგულია. როცა "ჩელსიში" მოვედი, მან მითხრა, რომ მუშაობისთვის საუკეთესო პირობებს შეგვიქმნიდა. მიზანიც დაგვისახა - "ჩელსი" საუკეთესო კლუბი უნდა გახდეს მსოფლიოში", - განაცხადა მოურინიომ.

## "მანჩესტერ იუნაიტედის" გულშემატკივრები გლოვობენ

ამერიკელი მაგნატის მალკოლმ გლეიზერის მიერ "მანჩესტერ იუნაიტედის" შეძენის ფაქტს ვერა და ვერ შეურიგდნენ კლუბის გულშემატკივრები. პროტესტის ნიშნად ისინი ინგლისის თასის ფინალურ მატჩზე - "მანჩესტერ იუნაიტედსა" და "არსენალს" შორის - შავ სამოსში გამოწყობილები გამოცხადდებიან.

შეგახსენებთ, მატჩი დღეს გაიმართება.

აღსანიშნავია, რომ ადრე ისინი უფრო სერიოზული ნაბიჯების გადადგმასაც აპირებდნენ, თუმცა, შემდეგ გადაიფიქრეს, რადგან მიხვდნენ, რომ ეს ზიანს მიაყენებდა როგორც მათ სათაყვანებელ გუნდს, ისე მთლიანად ინგლისურ ფეხბურთს.

"ჩვენ ვთხოვთ "მანჩესტერ იუნაიტედის" ყველა გულშემატკივარს, სტადიონზე შავ სამოსში გამოცხადდნენ, რათა ყველამ ერთად ვიგლოვოთ ჩვენი კლუბის დასამარება. გთხოვთ მიაქციეთ ყურადღება იმ ფაქტს, რომ ეს იქნება "მანჩესტერ იუნაიტედის" მიერ ჩატარებული უკანასკნელი მატჩი", - წერია გულშემატკივართა განცხადებაში.

თუმცა, მალკოლმ გლეიზერს, როგორც ჩანს, სულ სხვა გეგმები აქვს. მისი შვილი ჯოულ გლეიზერი ინგლისის თასის ფინალის შემდეგ გუნდის მთავარ მწვრთნელთან სერ ალექს ფერგიუსონთან შეხვედრას გეგმავს. მიზანი მომავალ სეზონზე გუნდის გაძლიერებისთვის საჭირო საკითხებზე მოლაპარაკებაა.

Tribalfootball-ის ცნობით, კლუბის ერთ-ერთი მთავარი სატრანსფერო სამიზნე ინგლისის ეროვნული ნაკრებისა და მადრიდის "რეალის" თავდამსხმელის მაიკლ ოუენის შეძენა. თუ ფერგიუსონი თანახმა იქნება, მაშინ უახლოეს პერიოდში ამ ფეხბურთელის შეძენასთან დაკავშირებით წინადადებით მიმართავენ ესპანური კლუბის პრეზიდენტს ფლორენტინო პერესს.

საწყლოსნო სპორტი

# ბევრი წყალი და მედლები

*კაფე "მსოფლიო სპორტში" ერთი წყალი არ ლივლივებდა, თორემ ქართული საწყლოსნო სამყაროს მომავალი სრულად იყო წარმოდგენილი - მოცურავეები, წყალბურთელები და წყალში მხტომელები, როგორც სპორტსმენები, ისე მათი მწვრთნელები და საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელობა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარესთან დავით ნამგალაურთან ერთად. თავშეყრის მიზეზი თითოეული სახეობის ცხელ-ცხელი ამბები და შედეგები გახლდათ. აქვე იყო რუსეთის წყალბურთელთა ნაკრების ლიდერი და მსოფლიო ვარსკვლავი რევაზ ჩომახიძეც.*

გიგა გურასაშვილი

ფედერაციის პრეზიდენტმა გიორგი უდესიანმა საუბარი დაიწყო წყალბურთელებით, რომლებმაც რამდენიმე დღის წინათ უკრაინის ღია ჩემპიონატზე ვერცხლის მედლები მოიპოვეს. გუშინდელი შეხვედრა ძირითადად საქართველოს წყალბურთელთა ახალგაზრდულ ნაკრებზე საუბარს დაეთმო.

დავით ნამგალაურმა, რომელიც კიევში ნაკრების თამაშებს ფედერაციის ხელმძღვანელთან ერთად ადევნებდა თვალყურს, მნიშვნელოვანი ამბავი გვამცნო: სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე და ფედერაციის ხელმძღვანელი შეხვედრიან საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც მათ საწყლოსნო სახეობებისთვის უმოკლეს ვადებში ბაზის გამოყოფას შეჰპირებია. თუ რომელი ბაზა იქნება და რა სტანდარტების, ჯერჯერობით უცნობია.

გიორგი უდესიანმა სამივე სახეობის წარმომადგენელთა გასაგონად თქვა, რომ მათ წარმატებაზე იქნება დამოკიდებული საქართველოში საწყლოსნო სახეობების აღორძინება.

"ჩემი მიზანი, ოცნება და ვალდებულება ის არის, რომ პეკინის 2008 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის ჩვენი სახეობის წარმომადგენლებმა ლიცენზიები მოიპოვონ. ფედერაციის უმთავრესი ამოცანაც ესაა.

დიდ მადლობას ვუხდი საქართველოს პრეზიდენტს თანადგომისთვის. სულ მალე გამოიყოფა ერთი ბაზა, რომელზეც ეროვნული ნაკრებები გაივლიან მზადებას ამა თუ იმ შეჯიბრებისთვის, - თქვა უდესიანმა. - იმედი გვაქვს, რომ ობიექტი, რომელსაც საწყლოსნო სახეობათა ფედერაციას გადასცემენ, ინვესტიციების წყალობით საერთაშორისო სტანდარტების დონის არენად გარდაიქმნება. იქ დაოსტატდებიან არა მარტო სპორტსმენები, აქვე ვუმასპინძლებთ საერთაშორისო ასპარეზობებსაც".

ფედერაციის ხელმძღვანელობამ საქართველოს წყალბურთელთა ახალგაზრდული ნაკრების წევრები და მათი მწვრთნელები წახალისების მიზნით ფულადი პრემიებით დააჯილდოვა.

წყალბურთელთა შედეგებზე წინათაც ვწერდით და ახლაც შეგახსენეთ. ადრე მოცურავეთა შედეგებზეც ვიუწყებოდით, რომლებმაც ვენის საერთაშორისო ტურნირზე ორ-ორი "ოქრო" და "ბრინჯაო" მოიპოვეს. ახლა მათზე აღარ შევჩერდებით და ორიოდე სიტყვას წყალში მხტომელებზე ვიტყვით, რომლებიც ამ დღეებში დაბრუნდნენ ამსტერდამის თასის გათამაშებიდან - A კატეგორიის მე-11 საერთაშორისო ტურნირიდან. საქართველოს ნაკრები ამ ტურნირს მეორედ ეწვია. მასში 32 ქვეყნის 400-მდე წყალში მხტომელი მონაწილეობდა. ქართველმა სპორტსმენებმა ძირითად კონკურენტებს (გერმანელებს, შვედებს, პოლონელებს, ჰოლანდიელებს, ფრანგებს, ინგლისელებს) ტოლი არაფერში დაუდეს და ტურნირი ორი ოქროს, ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედლით დაამთავრეს.



დავით ნამგალაურმა და გიორგი უდესიანმა მიხეილ სააკაშვილის პირობა გაგვაცნეს.




მოკლედ

## ძოლა ფეხბურთიდან წასვლას აპირებს

ცნობილმა იტალიელმა ფეხბურთელმა ჯანფრანკო ძოლამ კვლავაც განაცხადა, რომ უახლოეს პერიოდში, უფრო კონკრეტულად, მიმდინარე სეზონის ბოლოს კარიერის დასრულებას აპირებს. ლონდონის "ჩელსის" ყოფილი ვარსკვლავი, რომელიც ამჟამად "კალიარის" ღირსებას იცავს, დარწმუნებული არ არის, რომ ძველებურად მაღალ დონეზე თამაში შეუძლია.

"მთლიანად გადართული ვარ ჩემპიონატის დარჩენილ მატჩებზე. შეიძლება ეს ჩემთვის უკანასკნელი აღმოჩნდეს. საკმაოდ კარგად ვგრძნობ თავს, თუმცა, თანამედროვე თამაშის ტემპი ძალიან მაღალია", - განაცხადა 39 წლის ფეხბურთელმა.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

TV-სპორტი

## შაბათი. 21 მაისი

**НТВ+ФУТБОЛ**
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 "საფეხბურთო კლუბი". პირველი დივიზიონი
12:55 მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. "სპარტაკი" - "სპარტაკ-შელოკოვო". პირდაპირი ტრანსლაცია
14:30 მინიფეხბურთი. "სპარტაკი". შემობრუნებული სალტო
15:00 თავისუფალი დარტყმა
15:15 იტალიის ჩემპიონატი. "მილანი" - "პალერმო"
17:00 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
17:25 გერმანიის ჩემპიონატი. "შტუტგარტი" - "ბავარია". პირდაპირი ტრანსლაცია
19:20 თავისუფალი დარტყმა
19:35 სახვალიო ტელეპროგრამა
19:40 "საფეხბურთო კლუბი"
20:25 გერმანიის ჩემპიონატი. "ჰერტა" - "ჰანოვერი"
22:10 უკრაინის ჩემპიონატი. "მეტალურგი" - "შახტარი"
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. "რეალი" - "ატლეტიკო". პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (00:45) - თავისუფალი დარტყმა

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 14:30, 16:00, 20:00 პრესცენტრი
10:20, 20:15 "ქრონიკა"
10:25 ჭადრაკი. სუპერტურნირი სოფიაში
10:55 ჩოგბურთი. გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი დიუსელდორფში
11:55 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო თასის ეტაპი საფრანგეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
14:45 "სარკის წინ"
15:15 "ფარი და ბურთი" - ტელეჟურნალი
16:25 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო თასის ეტაპი საფრანგეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
20:20 სახვალიო ტელეპროგრამა
20:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი სტრასბურგში. ფინალი
22:30 ჭადრაკი. სუპერტურნირი სოფიაში
23:00 ამერიკული ფეხბურთი. ევროპული ლიგის ჩემპიონატი. "RHEIN FIRE" - "FRANKFURT GALAXY". შესვენებისას (00:15) - ახალი ამბები
01:30 01:30-დან 05:00-მდე შესვენება
05:00 პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. ლემონ ბრიუსტერი - ანჟეი გოლოტა. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**
10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 თავგადასავალი. გაქცევა
11:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
13:00 მულტისპორტი - VIP საშვი
13:15 ველორბოლა - იტალიის ტური
14:30 ფეხბურთი. ევროპის 24 საუკეთესო კლუბი
15:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ვარსკვლავური საათი
16:30 ველორბოლა. იტალიის ტური. პირდაპირი ტრანსლაცია
19:15 პოკერი. ევროპული ტურნირი მონაკოში. ფინალი
20:15 საბრძოლო ხელოვნება. შოუ სპორტის სასახლე "ბერსიში"
22:15 მებრძოლთა კლუბი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:15 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
01:45 ახალი ამბები
02:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა


სახელი ____ მისამართი ____
გვარი ____
ასაკი ____ საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ____
სიმაღლე ____

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დახარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ ვმუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა ____ თარიღი ____

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !

გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, მოხერხებულ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

გთხოვთ შეავსოთ გარკვევით
ბლანკი უფასოა

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დაამაგროთ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, მასზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# მალე ყველა იმერულად დავიწყებთ ლაპარაკს

ბოლო პერიოდში საზოგადოებრივი აზრის არსებობა, გააქტიურება, გამყარება სულ უფრო და უფრო აშკარა, შესამჩნევი გახდა. ტოკშოუების, საავტორო გადაცემების, საგაზეთო ან საჟურნალო ინტერვიუების გმირები, მთავარი მოქმედი პირები, სულ უფრო ხშირად საზოგადოების რიგითი წევრები ხდებიან. ქართული საზოგადოების ზეპოლიტიზირებულობამ, მგონი, ცოტა იკლო. პოლიტიკოსებისადმი, მათი შეხედულებებისადმი, ნებისმიერ საკითხზე კომენტარებისადმი, ყოფითი ცხოვრებისადმი ინტერესი ოდნავ მაინც შემცირდა და მათ ადგილს, სულ უფრო ხშირად, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე საზოგადოების რიგითი წევრები იკავებენ, რომელთა ხედვა, აღქმა, შეფასება, კრიტიკა, მეტად თუ არა, არანაკლებად საინტერესო, გასათვალისწინებელი და ობიექტურია. საერთო ჯამში, სწორედ ასეთი პიროვნებების ერთობლიობა ქმნის საზოგადოებას, რომელიც საქართველოში წლების განმავლობაში საკმაოდ პასიურმოდუნებული იყო. ნოემბრის რევოლუციაში ქართული საზოგადოების როლის მნიშვნელობიდან და, შესაბამისად, პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, საზოგადოებამ თითქოსდა გამოიღვიძა, ხმა აიმაღლა. განათლების რეფორმიდან დაწყებული, თბილისის სამღებრო სამუშაოებით დამთავრებული, ჩვენი საზოგადოება დღეს ყველაფერზე საუბრობს, მსჯელობს, კამათობს. საჯაროდ პრესის, ტელევიზიის მეშვეობით ან, უბრალოდ, კერძო საუბრებში ყველა პროფესიის, ფენის, ასაკის, სოციუმის წარმომადგენლები საკუთარი აზრის, შეხედულებების გამოხატვას არ ერიდებიან, საკუთარ პოზიციას, ხედვას იცავენ, საკუთარ სისწორეს ამტკიცებენ. ამგვარ პოლემიკაში კი იბადება, ყალიბდება ის, რაც ნებისმიერი ნორმალური სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი საყრდენი, საფუძველია და რასაც ზოგადად საზოგადოებრივი აზრი ჰქვია.

გააქტიურებულ-გამოცოცხლებული საზოგადოებრივი აზრის აშკარა არსებობის მიუხედავად, ჩემთვის სრულიად აუხსნელად, თემების შერჩევისას იგი თითქოსდა დიფერენციაციას აკეთებს და მისი ყურადღების არეალი დღევანდელი ქართული იუმორის აშკარა კრიზისს, რატომღაც, არა და არ ითვალისწინებს. ქართული ტელეეთერი ყოველდღიურად ახალ-ახალი იუმორისტული შოუებით, გადაცემებით, სერიალებით, ტელეწამყვანებით გვანებივრებს. თითოეული მათგანი მასობრივ იუმორზე პრეტენზიას აცხადებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ნებისმიერი მათგანის მცდელობა მასობრივ იუმორზეც კი რამდენიმე საფეხურით დაბლა დგას. არადა, მე თუ მკითხავთ, პირიქით უნდა იყოს და საჯარო იუმორი მასების იუმორის გრძნობას კიდევ უფრო მეტად უნდა ხვეწდეს. ამის შემხედვარე საზოგადოება კი აუხსნელად ინერტულია, აზრის გამოხატვისგან თავს იკავებს, დუმს. წლების განმავლობაში ანსამბლ "ივერიას", "იუმორინას", "მღერიან და იცინიან..." კონცერტების იუმორზე საზოგადოების ერთი ნაწილი იცინოდა. ამის მოსასმენად ბილეთებს ყიდულობდა და ფილარმონიაში დადიოდა. ნაწილი კი, უბრალოდ, ცუდ



ტონად, დაბალ გემოვნებად მიიჩნევდა და იგნორირებას უწევდა. გავიდა წლები და დღეს "ღამის შოუს", "შაბათის შოუს", "ვაკაჭი ნიუსს", "ფარულ კამერას" და, რაც მთავარია, "ნიკა ქავთარაძის შოუს" საზოგადოების ფაქტობრივად სრული უმრავლესობა უყურებს და, სამწუხაროდ, იცინის კიდეც.

ამ წლების განმავლობაში, მოულოდნელად, რატომ გახდა კუთხური კილოთი მოქცევა სასაცილო, რაიმე ელემენტარული იუმორის მანიშნებელი? ამდენი ხელოვნური, უგემოვნო, ნაძალადევი "წევედი-მევედი" რისი მაჩვენებელია - პროვინციალიზმის, გემოვნების დეფიციტის, უნიჭობის, დაბალი ინტელექტის თუ, უბრალოდ, სისულელის? რეგიონების მიხედვით ადამიანების, მათი ხასიათის თვისებების დიფერენციაციის, გარჩევის მომხრე არასდროს ვყოფილვარ. შეკითხვა - სადაურია, არასდროს დამისვამს. კოლორიტული იმერული, გურული, მეგრული ან აჭარული კილო ყოველთვის ძალიან მომწონდა. თუმცა, აჭარის ტელევიზიაშიც კი ცდილობდნენ, რომ ადგილობრივი კილოთი მოლაპარაკე კორესპონდენტები ეთერში არ გაეშვათ. ნიკა ქავთარაძე კი, რომელსაც, სამწუხაროდ, ნელ-ნელა მიმბაძველებიც გამოუჩნდნენ, ხელოვნურად, ყალბად და, ჩემი აზრით, წარმოუდგენლად უგემოვნოდ, უნიჭოდ იმერლობს. ამითი რისი თქმა უნდა, კაცმა არ იცის და პრეტენზია აქვს, რომ ამ პროვინციალიზმზე სიცილით უნდა დავიხოცოთ. ცნობილია, რომ ქართველებს იუმორი ოდითგან გვქონდა. არსებობდა ცნობილი ქალაქური, კუთხური იუმორი. განსაკუთრებული ენამახვილობის, იუმორის მქონე ადამიანთა სახელები და ხუმრობები თაობებს გადაეცემოდა. მაშ, სად გაქრა ეს ყველაფერი? რას შეეწირა? ნუთუ ნელ-ნელა, წვეთ-წვეთად ჩვენი გემოვნება იმდენად დაქვეითდა, დაილია, რომ დღეს ამ შოუებით განისაზღვრება, შემოიფარგლება?

ქართული საზოგადოება ამპარტავნულად დუმდა, როდესაც მისი გემოვნების, იუმორის შეუმჩნეველი, ფრთხილი, თანმიმდევრული, მიზანმიმართული დაკნინება მიმდინარეობდა. ქართული საზოგადოება დღესაც დუმს და იმის აღიარება უჭირს, რომ ამ პასიურ იგნორირება-იგნორირებაში, ხუმრობა-ხუმრობაში ამ პროცესის მსხვერპლი თავად აღმოჩნდა და დღეს ნიკა ქავთარაძის იმერულზე, ზვიოზე, ფარული კამერით გაღვიძებაზე და ახალგაღვიძებულის წირპლებზე ეცინება. ამ სავალალო, მაგრამ არასრული ჩამონათვალის ფონზე "ღამის შოუ" და მისი წამყვანი დავით გოგიჩაიშვილი, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, იუმორის დიდოსტატად გვეჩვენება.

სად დაიწყო იუმორის დეგრადირების პროცესი, ძნელი სათქმელია. რამ, ვინ უფრო მეტად შეუწყო ხელი - ესეც არ ვიცი. მაგრამ საზოგადოება ამას დღესაც რომ პრობლემად არ აღიქვამს, ფაქტია. ამასობაში კი გემოვნების გახრწნის პროცესი ჩვენს შვილებზეც გადავიდა. მალე ალბათ ნიკა ქავთარაძის საყვარელი ფრაზა "ქალი მურაბა", მოარულ გამოთქმად იქცევა. ქართული საზოგადოება საკუთარ იუმორს წარსულს ჩააბარებს და ყველანი იმერულად ლაპარაკს დავიწყებთ. თუმცა, მაშინ უკვე ლაპარაკი გვიან იქნება.

# ჩემებური SMS-ები

■ ყოფილ "კმარელ" თეა თუთბერიძეს თავი რობინ ჰუდი ხომ არ ჰგონია?

■ სად გაუგია ირაკლი ჩარკვიანს, რომ ჯიმ მორისონს სახელმწიფო აფინანსებდა?

■ დათო დოიაშვილს რეჟისორული პროფესიონალიზმის პარალელურად სერიოზული გემოვნებითი პრობლემები აქვს.

■ ბარნოვი-აბაშიძის ქუჩას ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურმა ბოიკოტი გამოუცხადა?

■ როდის გაიხსნება რუსთაველის თეატრი. მოუთმენლად ველოდებით. *მაყურებელი.*

■ წურწუმიას ლაზური სიმღერა არ მომეწონა, მაგრამ ლამაზად გამოიყურებოდა.

■ ირაკლი კაკაბაძემ და ტურიკამ 9 მაისს დაბადების დღეზე ნეტავი კარგი დრო თუ გაატარეს. ვღელავთ.

■ ყოველ გაზაფხულზე ნაფტალინში მხოლოდ ისეთ რამეებს ვდებ, რაც მომავალ ზამთარშიც გამომადგება, უვარგის, დაძონძილს ვაგდებ. ამიტომ ლევან რამიშვილის მიერ ნახმარი გამოთქმა "ნაფტალინიდან ამოღებული" ზოგიერთისთვის უსაფუძვლო კომპლიმენტად აღიქმება.

■ კოსტავას ქუჩაზე ლიტერატურულ კაფეში თავისუფალი ადგილი არასდროს არის. ეტყობა, იქ ყავის დალევა კარგი ტონია.

■ ბათუმში კინო როდის გაიხსნება?

■ "ჯორჯიან ტაიმსის" რედაქტორი ჩვეულებრივ კოსტიუმში, ყოველგვარი ეთნოქუდის გარეშე შედარებით ნორმალურად გამოიყურებოდა. მანამდე ან გიჟი ან "ერისიონის" სოლისტი მეგონა.

■ თბილისის კაზინოების ბედი გვაინტერესებს. *დეპუტატები.*

■ სულ ერთი და იგივე სახეების აქტიურობის ტენდენცია არ უნდა მორჩეს? შეიძლება ყველაფერზე აზრს ნიკა მემანიშვილს ეკითხებოდნენ და ყველა კონცერტის შემადგენლობას თიკა რუხაძე წყვეტდეს?

■ ქართულ ტელევიზიაში საინფორმაციო გადაცემების კულტურის ბლოკებში რატომ არ ჰქონდა არანაირი გამოხმაურება კორსანტიას, ბაშმეტის კონცერტებს? მათი სახელები, შესრულების მანერაზე რომ არაფერი ვთქვათ, არაფერს ეუბნებათ?

■ "ჯეოსტარის" წამყვან ნიკა ლომიძეს ვინ აცმევს - დაუძინებელი მტერი, ოლეგ პოპოვი თუ თათა ვარდანაშვილი?

■ ბუშის ვიზიტისას თბილისის სილამაზით კიდევ ერთხელ ამაყი ვიყავი.

■ გელა ბეჟუაშვილი პოლიგლოტი ყოფილა!

■ ძალიან ნიშანდობლივია, რომ ამერიკის პრეზიდენტის შეხვედრაზე თავისუფლების მოედანზე ხელყუმბარა 150 ათასი ადამიანის მხრიდან კი არ იყო ნასროლი, არამედ VIP ტრიბუნის მხრიდან, სადაც VIP ასეული თუ ისხდა. ლუსტრაციის კანონი მაინც მისაღებია!

■ ბავშვობაში არა მარტო მეტყველება, არამედ მორალიც, ზნეობაც, ერთგულებაც და ა.შ. ყალიბდება.

■ რატომ გადაწყვიტა ირაკლი კაკაბაძემ, რომ მას ვინმე ჩე გევარას ადარებს? ნებისმიერ ნათქვამში შენი თავისადმი კომპლიმენტი როგორ უნდა გესმოდეს?!

■ ვერაფრით ვხვდები, ჟურნალ "სარკეს" ინტერვიუებს სერიოზულად როგორ აძლევენ. ნუთუ პოპულარობა ნებისმიერ ფასად ღირს?

■ ამ "ანდროპოვის ყურების" "ახევა" რა რთული პროცესი ყოფილა. თითქოს სიმბოლურად, საბჭოთა გადმონაშთივით, სულ რკინა-ბეტონისგან არის.

■ ამბობენ, თაკო ჩარკვიანმა სიხშირე იყიდა და ტელევიზიას აკეთებსო. ეგღა გვაკლდა!

■ ფილარმონიაზე გამოკრული აფიშა "ლომისი-10" რას ნიშნავს - ლუდის იუბილეს? ამ იუბილეზე ბავშვების წაყვანა თუ შეიძლება. ვაითუ, მათი სარეკლამო კლიპებით თუ ვიმსჯელებთ, რაიმე ეროტიკული შოუს მოწყობას აპირებენ.

■ მომწონს ახალი ჟურნალი "ანაბეჭდი".

■ ბუშის დასახვედრად ჩატარებულ ღონისძიებებთან, სამუშაოებთან დაკავშირებით მიმაჩნია, რომ თბილისის მერია კულტურის სამინისტროზე არანაკლებ მადლობას იმსახურებს.

■ ჟურნალმა "შოკოლადმა" გაუგებარ პათოსს რომ ცოტა მოუკლოს და მხატვრული ლიტერატურის პრეტენზიას შეელიოს, უკეთესი ხომ არ იქნება?

■ "რუსთავი 2"-ის კორესპონდენტის კოსტიუმის უზარმაზარი, აბრეშუმის ვარდისფერი ბანტი ბუშის საპატივცემულო თუ, უბრალოდ, საკამათო გემოვნების მაჩვენებელი დეტალი იყო?

■ ჭავჭავაძის გამზირზე დღესაც მიმდინარე დაშენებებს, ბოლოს და ბოლოს, ვინმემ ყურადღება მიაქციოს!

■ გზისპირა, მახინჯი, უბადრუკი, დაფლეთილი სიგარეტის ჯიხურები თუ ალებაა, ბარემ ბოლომდე აელოთ. ნაწილი ვის დაუტოვეს?

■ შალვა რამიშვილზე ნელნელა სულ უფრო ვბრაზობ, მაგრამ უცნაურად, მისდამი პატივისცემაც მემატება.

■ რა მოხდება, რომ კახა ბენდუქიძემ კოსტიუმი უფრო ხშირად ჩაიცვას, ჩვენც გვცეს პატივი.

■ ამ დღეებში აეროპორტში ვიყავი. მოვლილმა გზამ გული ამიჩუყა.

■ ვინმემ მაღაზიების ვიტრინების, წარწერების შემზღუდველ-მაკონტროლებელი რაიმე კანონი მიიღოს. თვალები გვიჭრელდება. რომელ ვაჭარსაც რა უნდა, იმას აკეთებს, შედეგად კი პროვინციულ ელფერს ვიღებთ.

■ 9-10 მაისის ღონისძიებებში ნანი ბრეგვაძე ძალიან დამაკლდა. ნეტავი ორგანიზატორებს რატომ არ დააკლდათ?

■ რკინიგზის სადგური სასწრაფოდ მისახედია! ბოსელს ჰგავს.

■ ვინ მოიფიქრა კინოფილმების, მულტფილმების ქართულად ახალი სტილით გახმოვანება? ზვიოს ისე ვერ ვუსმენ და ახლა ბავშვებსაც საბოლოოდ გვინდა გემოვნება გავუფუჭოთ?

■ გასაკვირია, ირაკლი ჩარკვიანს გული რატომ დასწყდა, თავისუფლების მოედანზე მოწყობილ კონცერტში რომ არ მონაწილეობდა?

■ ამბად გავიგე, რომ ლია მიქაძეს ტელევიზიაში ორმოცწლიანი მუშაობის შემდეგ პენსიაც არ დაუნიშნეს. როგორ დავიჯერო?!

■ როგორ მსიამოვნებს გია მაჩაბელის გადაცემის მოსმენა, მით უმეტეს, თუ რესპონდენტიც შესაბამისი ინტელექტით გამოირჩევა.

■ რა "ბედნიერი" კაცია საგანელიძე, რომელსაც "ძალიან, ძალიან ბევრი სათქმელი" აქვს!

■ გოჩა მანველიძე რა პროდუქტიულია! ნეტავი, ამდენს რომ წერს, ვინ კითხულობს? წერე და იკითხეო, მაგაზეა ნათქვამი.

■ არც მჯერა, რომ თბილისში ბენსონს მოვუსმენ. თუმცა, სტინგი და ვანდერი უფრო მიხარია.

■ ხალხნო, ნაციონალური პარტიის რიგებშიც ძალიან ბევრი იდიოტია. შალვა რამიშვილი კი წარმატებულად ეძებს მათ და გადაცემაში იწვევს, უფრო კარგად რომ გამოჩნდეს.

■ შალვა ნათელაშვილმა ამერიკას თვალები აუხილა!

■ უკანონოდ გაყიდული მიწების ჩამორთმევის ახალი ტენდენციის სრული მომხრე ვარ.

■ პარლამენტიდან პროვინციული ინტრიგების სუნი მოგვდის.

■ თბილისის მერი მართლაც არჩეული უნდა იქნას.

■ ნოდარ ნათაძეს სერიოზულად არ აღიქვამენ, არადა, მე მგონი, წესიერი კაცია.

■ დავით უსუფაშვილი ყველა სიკეთესთან ერთად ესთეტიც ყოფილა.

■ ფეხით მოსიარულეებზე აუცილებლად რამე ზომებია მისაღები. თბილისის ქუჩები თვითმკვლელებით არის სავსე, ისე დადიან, საკუთარ თავსაც წირავენ და მძღოლებსაც.

■ "202"-ის სტუდია "პირიმზეს" ჯიხურს მაგონებს.

# მეცოდება

ამ დღეებში მტკიცე პირობა, რომ ჩემთვის პირადად მიუღებელ გაზეთ "ჯორჯიან ტაიმსს" არასდროს წავიკითხავ, დავარღვიე. საზოგადოების აღშფოთებულმა ნაწილმა გაზეთი, რომელშიც გურამ შარაძე, არც მეტი არც ნაკლები, უკვე ნინო ანანიაშვილსა და ნანი ბრეგვაძესაც მიადგა, სახლში მომაწოდა და რეაგირება მთხოვა. წერილი წავიკითხე. გარდა იმისა, რომ შარაძის სიძულვილის არეალი საგანგაშოდ იზრდება და ყოველგვარ ზღვარს სცილდება, ჩემთვის პირადად, მეტი ვერანაირი სიახლე ვერ აღმოვაჩინე. გურამ შარაძეზე აზრი დიდი ხანია, ჩამოყალიბებული მაქვს, თუმცა ისევე, როგორც ნინო ანანიაშვილზე და მით უმეტეს ნანი ბრეგვაძეზე. შარაძის ლანძღვა, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ქება მგონია, შეურაცხყოფა კი - კომპლიმენტი. საწყენი, დასაფიქრებელი აი, მაშინ იქნებოდა, გურამ შარაძე რომ შეგაქებდა, მოგიწონებდა, ნამოღვაწარს დაგიფასებდა.



მაგრამ, მეორე მხრივ, სრულიად აუხსნელად, რატომღაც ამ წერილის მერე გურამ შარაძის ცხოვრებისეულმა ეტაპებმა, მომენტებმა, ემოციებმა დამაინტერესა. ნეტავი როგორი იყო ბავშვობაში, კლავდა თუ არა ჩიტებს, პუტავდა ყვავილებს. ჰყავდა თუ არა მეგობრები ან ახლა თუ ჰყავს და ვინ. როგორ გამოიყურებოდა, რას გრძნობდა შეყვარებული, ბედნიერი, მეგობარი, მამა, ბაბუა, თამადა, მოგზაური, მეზობელი, ნათესავი შარაძე. რატომღაც მგონია, რომ მას ამგვარი, თითქოსდა ელემენტარული, ადამიანური მხარეები, სისუსტეები, ემოციები დაქვეითებული აქვს. რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ შარაძეს ახალგაზრდები, ბავშვები, შინაური ცხოველები, გაზაფხული (არა, წელიწადის ნებისმიერი დრო), სიცილი, მხიარულება, სიყვარული, სილამაზე, ლამაზი ქალი, ხელოვნება, ნიჭიერი ადამიანები, გაუსვრელები, პროფესიონალები, კეთილები, გულწრფელები, მზე, ზღვა, ილიაც და აკაკიც, ჭაბუკიანიც და ბალანჩინიც, ანანიაშვილიც და ბრეგვაძეც, ჯოკონდაც და ქართლის დედაც, გოეთეც და რუსთაველიც, კლასიკური მუსიკაც და მხატვრობაც, სპორტიც, სასმელიც, ძილიც, ფიქრიც ეზიზღება. ყველა, ყველაფერი და პირველ რიგში საკუთარი თავიც ეზიზღება. ასე ვფიქრობ, დარწმუნებული ვარ და ამიტომ, მის პერმანენტულ ტრაფარეტულ "წერილებზეც" რეაგირება არც შემიძლია და არ მიმაჩნია სწორად. მივხვდი, რომ ჩემდა გასაოცრად, გურამ შარაძე მეცოდება.

P.S. აი, "Georgian Times"-ი კი არ მეცოდება. მის რედაქციაზე ახია. გურამ შარაძეზე უკეთესი რესპონდენტი არ ეღირსოთ.

# ჯუნა მიქატაძის ხსოვნას

## მეგობრები იხსენებენ

"ალბათ იშვიათად თუ მოიძებნება ისეთი დიდი იუმორის გრძნობის მქონე და ოპტიმისტი ადამიანი, როგორიც ჯუნა მიქატაძე იყო", - ამბობს ცნობილი მოქანდაკის სკოლის მეგობარი, გამომგონებელი თამაზ შილაქაძე. "მზეჭაბუკი", რუსთაველის მონუმენტი, გალაკტიონ ტაბიძე, იეთიმ გურჯი - მისი ყველა ეს და სხვა მრავალი ნამუშევარი საოცარი პლასტიკურობით გამოირჩევა. ამაყობდა იმით, რომ არასოდეს შეუქმნია ბელადთა ძეგლები, მაშინაც კი, როცა თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა და ასეთი ხასიათის ძეგლების შექმნა ყველა სტუდენტის მოვალეობა იყო. თავისი ძალები კინოშიც გამოსცადა და წარმატებითაც. "კუჩხი ბედინარში" შესრულებული როლის შემდეგ ყველას ეგონა, რომ მსახიობობას გაყვებოდა, თუმცა თავისი პროფესიისთვის არასოდეს უღალატია. სახელოსნოში საკუთარი და მამის - შოთა მიქატაძის ყველა ნამუშევრის მაკეტებს ინახავდა.

**"მიუხედავად იმისა, რომ უდიდესი ტრაგედია გადაიტანა, დაკარგა ერთადერთი ქალიშვილი, მაინც არ ეცემოდა სულით. საოცარი იუმორის პატრონი და ოპტიმისტი იყო. არავისთვის უგრძნობინებია საკუთარი ტრავმა. პირიქით, ყველას ამხნევებდა. მის ოჯახს - სიმღერის ოჯახს ვეძახდი. ნანი ბრეგვაძე, ეკა მამალაძე მისი ოჯახის წევრები და უახლოესი მეგობრები იყვნენ. ნამდვილი ვაჟკაცი პიროვნება იყო, არასოდეს უკან არ დაიხევდა. არავის აძლევდა იმის საშუალებას, რომ მისთვის ეწყენინებინა, არც თვითონ გაანაწყენებდა ვინმეს. მისი სახით უდიდესი მეგობარი დავკარგეთ, მის დანაკლისს ვერაფერი აგვინაზღაურებს"**(თ.შ.)

ჯუნა მიქატაძე 1932 წლის 6 მაისს თბილისში, მოქანდაკეების ელენე მაჩაბელის და შოთა მიქატაძის ოჯახში დაიბადა. ალბათ სწორედ ამ შემოქმედებითმა გარემომ განაპირობა მისი არჩევანიც. სწავლა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, ქანდაკების ფაკულტეტზე განაგრძო, სადაც დაასრულა კიდეც ასპირანტთა კურსი. მისი ნამუშევრები თავიდანვე იპყრობდნენ საზოგადოების და კრიტიკოსთა ყურადღებას და საკმაოდ მაღალ შეფასებასაც იმსახურებდნენ. თავიდანვე ნათელი იყო, რომ ჯუნა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში მნიშვნელოვან ხელწერას დატოვებდა.

ჯუნა მიქატაძე ბოლო წლებში გამოჩენილი ქართველი და იმ უცხოელი მოღვაწეების სკულპტურებს ქმნიდა, რომლებმაც დიდი როლი ითამაშა ქართული კულტურის, ლიტერატურის პოპულარიზაციაში. სულ რამდენიმე თვეა, რაც ორ ახალ პროექტზე მუშაობდა - გურამ რჩეულიშვილის ძეგლი თბილისში და შოთა რუსთაველის ქანდაკება კიევში.

**გია ყანჩელი: "ჩემს თაობას კიდევ ერთი შესანიშნავი პიროვნება გამოაკლდა. ჯუნა მიქატაძის გარეშე პირადად ჩემთვის განკუთვნილი დრო არასრულფასოვნად წარმომიდგენია. ცხოვრებამ ჩემს მეგობარს არაერთი ტკივილი მიაყენა. მიუხედავად ამისა, მისი შემოქმედება ყოველთვის ნატიფი ფორმებით, რთული სისადავით და სიკეთით გამოირჩეოდა. მართალია, ჩვენი თაობისთვის ეს აუნაზღაურებელი დანაკლისია, მაგრამ ჭეშმარიტი შემოქმედების სიცოცხლისუნარიანობა განა ხელოვანის დანატოვარში არ აისახება?**

**მწამს, რომ ჯუნა მიქატაძის ნამოღვაწარი მუდამჟამს დაამშვენებს მის საყვარელ თბილისს და სილამაზის გრძნობას გაუღვივებს ჩვენი ქვეყნის მომავალ თაობებს".**

ქართულმა სახვითმა ხელოვნებამ დიდი დანაკლისი განიცადა - 73 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი მოქანდაკე, საქართველოს სახალხო მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი დიმიტრი მიქატაძე.



ცნობილი ქართველი მოქანდაკეების ელენე მაჩაბელის და შოთა მიქატაძის ოჯახში აღზრდილმა ახალგაზრდა ხელოვანმა დაოსტატება აკადემიაში განაგრძო (1950 - 56). ქანდაკების განყოფილების დამთავრების შემდეგ, აქვე დაასრულა ასპირანტურის კურსი. მისი პედაგოგები იყვნენ ნიკოლოზ კანდელაკი და სერგო ქობულაძე.

მხატვრის ადრეულმა კომპოზიციამ "სიჭაბუკე" (1957) თავიდანვე მიიპყრო ხელოვნების მოყვარულთა და სპეციალისტთა ყურადღება. ბრინჯაოში ჩამოსხმული ჭაბუკის ქანდაკება აღქმულია არა როგორც დებიუტანტის ნამუშევარი, არამედ ნაწარმოები, რომელსაც გარკვეული ადგილი უნდა დაეკავებინა თანამედროვე ქართულ დაზგურ ქანდაკებაში. ამ ნამუშევარში ავტორმა უხვად გამოამჟღავნა შემოქმედებითი ენერგია, ფორმის და მასალის გრძნობა, ემოცია. ეს თვისებები მის რიგ მომდევნო ნამუშევრებშიც გამოვლინდა.

აკადემიის დამთავრების შემდეგ იგი აქტიურად ჩაება საქართველოს სამხატვრო ცხოვრებაში, მონაწილეობდა მნიშვნელოვან კონკურსებში: მათ შორის ვახტანგ გორგასლის (1957, მესამე პრემია), შოთა რუსთაველის (1967, მეორე პრემია) ძეგლების კონკურსებში. ამ ნაწარმოებებში გამომჟღავნდა თვისებები, რომელთა რეალიზება ახალგაზრდა მოქანდაკემ თბილისში დადგმულ სხვა ქანდაკებებში შეძლო. მათ შორისაა 1965 წელს სპორტის სასახლის მოედანზე განთავსებული ჭაბუკი სპორტსმენის ("მზეჭაბუკი") ფიგურა. ქართული ხელოვნების მკვლევარი ნ.ეზერსკაია აღნიშნავს - "ქართველი ოლიმპიელის ფიგურა შესრულებულია კლასიკური ქანდაკების საუკეთესო ტრადიციებით, რომელშიც მასში სავსებით თანამედროვე გადაწყვეტა პოვა".

თბილისში მიქატაძის რამდენიმე სხვა მნიშვნელოვანი ნამუშევარიც არის აღმართული. ზოგიერთი მათგანი თავდაპირველად საზოგადოებაში დიდ ვნებათაღელვას იწვევდა, შემდგომ კი აღმოჩნდა, რომ ისინი კარგად ეწერებოდნენ ქალაქის იერსახეში. ასეთი ბედი ხვდა მოქანდაკის ერთ-ერთ საინტერესო ნაწარმოებს - გალაკტიონ ტაბიძის ძეგლს.

ბოლო წლებში დიმიტრი მიქატაძეს შესრულებული აქვს ქართული კუტურის გამოჩენილ მოღვაწეთა, აგრეთვე იმ უცხოელთა გამოსახულებები, რომელთაც წვლილი მიუძღვით საქართველოს კულტურის, ლიტერატურის პოპულარიზაციაში.

იოანე პეტრიწის, იეთიმ გურჯის, მარი ბროსეს პიროვნებები ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავდება, მაგრამ მოქანდაკემ მათში გამოყო მთავარი ნიშან-თვისება - შემოქმედებითი საწყისი.

დიმიტრი მიქატაძის ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარია გამოჩენილი ქართველი მხატვრის ლადო გუდიაშვილის ფიგურა, რომელიც იმ უბანშია აღმართული, სადაც მხატვარმა გაატარა სიცოცხლის დიდი ნაწილი. ამ მომენტის გათვალისწინებით განპირობებულია ქანდაკების კამერული ხასიათი, აშკარად გამოიკვეთა ირგვლივ კეთილგანწყობილი, თბილი ატმოსფეროს შექმნის, ბაღის ანტურაჟში მისი ორგანულად ჩაწერის სურვილი.

დიმიტრი მიქატაძის შემოქმედებაში გარკვეული ადგილი დაზგურ ქანდაკებასაც უკავია. მან შექმნა რამდენიმე საინტერესო ნიუ (1964), ქალიშვილის ფიგურა, კომპოზიცია "რთველი"(1973), ნ.გრამატიკოპულოს პორტრეტი და სხვა.

მოქანდაკის ნამუშევრები დაცულია ეროვნულ გალერეაში, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, ლიტერატურის მუზეუმში და სხვა საცავეებში.

1962 წლიდან იგი ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში. აღზარდა არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა.

ჯუნა (ასე ეძახდნენ მეგობრები) მრავალმხრივი ინტერესების ადამიანი იყო. როგორც მსახიობი იგი წარმატებით მონაწილეობდა რამდენიმე პოპულარულ ქართულ ფილმში.

ერთი შეხედვით, მას აწყობილი და წარმატებული ცხოვრება ჰქონდა, მაგრამ მეგობრებმა იცოდნენ რა გაუსაძლის ტკივილს ატარებდა იგი გულში. ერთმა ტრაგიკულმა მოვლენამ სრულიად შეცვალა მისი ოჯახის ბედი. მხოლოდ შემოქმედებაში პოულობდა მხატვარი შვებას.

წავიდა ჩვენგან ცნობილი მოქანდაკე, კარგი პედაგოგი, უაღრესად კოლორიტული პიროვნება, რომლის იუმორი, ენამოსწრებული გამოთქმები დიდხანს დარჩება მხატვართა წრეში, ბევრი თბილისელის მეხსიერებაში.

და რაც მთავარია, დარჩა ქანდაკებები, რომლებიც ამჟამად თბილისის იერსახის განუყოფელ ნაწილად იქცა.

*თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია*
*საქართველოს მხატვართა კავშირი*

გუშინ გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში - **განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ** - რედაქციისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, გავიდა შეცდომა. გთავაზობთ გასწორებას.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (ღირებულების გარეშე) ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად უნდა წარმოადგინონ 2005 წლის **6 ივნისიდან 7 ივნისის 18 საათამდე** შემდეგ მისამართზე: ბათუმი, რუსთაველის გამზირი №6, მე-5 სართული, №20 ოთახი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

# საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს ღია საერთაშორისო ტენდერს

## საწვავ-საპოხი მასალების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**შესყიდვის ობიექტი-** საწვავ-საპოხი მასალები
**დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი**

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად ადგილზე მიტანით ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიულ პირთათვის:**

1. მსურველის იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ-შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან
2. მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ-შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.
3. მსურველის იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდადებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ-შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან

.

**ფიზიკურ პირთათვის:**

1. უნდა იყოს ქმედუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ-შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან
2. მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა სასამართლოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ-შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან
3. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ-შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან

**დამატებითი მოთხოვნები:**

- ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

ინფორმაცია უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური პროექტების შესახებ.

- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა 2004 წლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ);

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

თუ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნას ინგლისურ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს თარგმანი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარიუსის მიერ) და წარმოდგენილი სატენდერო კომიისიის აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2005 წლის **6 ივნისიდან** 2005 წლის **10 ივნისის 14 საათამდე** შემდეგ მისამართზე:

**0177, ქ.თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N2 შესყიდვების დეპარტამენტი მე-6 სართული ოთახი N609**

**საქართველოს თავდაცვის სამინისტრო**

დაგვიანებით შემოსულ განაცხადებს და საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

საკვალიფიკაციო შერჩევა შედგება 2005 წლის **13 ივნისს 14 საათზე** წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთაღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.

საკვალიფიკაციო პროცედურის დასრულების შემდეგ შერჩეულმა პრეტენდენტებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 500 ლარის ოდენობით მათ სახელზე გაგზავნილ შეტყობინებაში მითითებულ ანგარიშზე. სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გადაეცემა პრეტენდენტებს 2005 წლის **16 ივნისიდან 2005 წლის 17 ივნისის 18 საათამდე** მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა შემდეგ მისამართზე: **0177, ქ.თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N2. თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტი, მე-6 სართული ოთახი N609.** სატენდერო კომისიის აპარატი.

პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების მიღების ბოლო ვადაა **2005 წლის 22 ივნისის** 15 **საათი.** სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთაღნიშნულ მისამართზე **2005 წლის 22 ივნისს** 15 **საათზე.** პრეტენდენტების დასწრება აუცილებელია.

ტენდერის დროს გამოვლენილი იქნება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საფუძველზე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

| ლოტის № | პროდუქციის დასახელება | ზომის ერთ. | რაოდენობა | მიწოდების გრაფიკი | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|
| ლოტი №1 | საავტომობილო ბენზინი (რეგულარი) | ლ | 805996 | 01.07.05-31.12.05 | ქ. თბილისი |
| ლოტი №2 | დიზელის საწვავი ლ- 62 | ლ | 2051055 | 01.07.05-31.12.05 | ქ. თბილისი |
| ლოტი №3 | საავიაციო ნავთი ტს- 1 | ლ | 1341629 | 01.07.05-31.12.05 | პორტზე მიწოდებით |
| ლოტი №4 | ზეთი მ8-16 ბ | ლ | 12200 | 01.07.05-31.12.05 | ქ. თბილისი |
| ლოტი №5 | ზეთი საკ-15 W 40 | ლ | 20286 | 01.07.05-31.12.05 | ქ. თბილისი |
| ლოტი №6 | ზეთი საკ-20 W 50 | ლ | 32743 | 01.07.05-31.12.05 | ქ. თბილისი |
| ლოტი №7 | ზეთი "რგ" | ლ | 5000 | 01.07.05-31.12.05 | ქ. თბილისი |
| ლოტი №8 | ჰიდრავლიკური ზეთი "მარკა ა" | ლ | 1500 | 01.07.05-31.12.05 | ქ. თბილისი |

**დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს, ზემოთაღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე 25-17-74.**

*სატენდერო კომისია*

## TV პროგრამა

21 მაისი

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **09.00** კურიერი **09.30** "ჯეტიქსი" **11.00** სერიალი "ტარზანი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.20** გაიღიმეთ ფარული კამერაა **12.50** მხ. ფილმი "ტრუფალდინო ბერგამოდან" (გ) **15.20** მხ. ფილმი "ინგლისური მკვლელობები" (გ) **17.00** სერიალი "ადამსების ოჯახი" **18.20** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **19.10** მხ. ფილმი "ლუი ლე ბიზონი და მისი მეზობელი დორინი" (გ) **22.00** შაბათის ღამის შოუ **23.00** "ფსიქო" - მხ. ფილმი "ხასიათი" (გ) (რეჟ. მიკ ვან დიმი) **01.00** კურიერი **01.20** მხ. ფილმი "ფანი კესმპლის თავგადასავალი" (18)

**08.00** "მთავარი" **08.15** ანიმ. ფილმი "ტენტენის თავგადასავალი" **08.40** საბავშვო სერ. "მაუგლი" **09.10** მომავლის ცირკი **09.45** სპექტაკლი "თქმულება იკაროსზე" **11.30** "ტაქსი" - გ. ასანიძე **12.00** "მთავარი" **12.20** დოკ. ფილმი "ველური ინდონეზია" (მე-3ნ.) **13.20** მხ. ფილმი "სურამის ციხე" **14.55** ფორმულა-1 (კვალიფიკაცია) **16.00** "ჰოლმარკი" - "ალისა საოცრებათა ქვეყანაში" **17.00** დოკ. ფილმი "ლეო ფერე - უსაზღვრო ნიჭიერება" **18.00** "მთავარი" **18.10** ქართული ფოლკორი **18.30** "მრწამსი" - თამარ მეფე **19.10** დოკ. ფილმი "მოგზაურობა"- ედინბურგი **20.00** "მთავარი" -საინფ. პროგრამა **20.30** სერიალი "დანაშაული" **21.30** "რაციო" - რ. რეიფილდი **22.30** "ჩვენ" **23.45** ბიოგრაფიული პორტრეტები - ჩე გევარა **00.45** მხ. ფილმი "სორაია" (12) 1-ლი ს. **02.00** საინფორმაციო გამოშვება

### მზე

**08.50** მუსიკა **09.30** ანიმაც. სერიალი "იასამნისფერი ციხესიმაგრე" **10.00** ანიმაც. ფილმი "მხიარული მელოდიები" **11.00** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **12.00** "ფოკუსის ისტორია" **12.30** ტელეჟურნალი "სცენა" **13.00** ჯეოსტარი -ფილარმონია. (განმ.) **14.00, 17.00, 20.00** მზერა **14.15** გადაცემა "მედი" **14.30** ჯეოსტარი -ფილარმონია. (განმ.) **15.30** "დები ტრევისის საოცარი სახლი" **16.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **17.20** სერიალი "სენიორ ვიანელო" **17.50** მარიონეტები "ყოჩაღები" **18.20** საფესტივალო ჩვენება: "გია დანელია", "მარიამი". **20.30** "ქართული ხმები" ფილმი მე-2. **21.30** მხ. ფილმი "მილიონი წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე" (გ) **23.30** ფარული კამერა **00.00** მხ. ფილმი "აფიორა" (15) (დ. ჰოფმანი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "ცხელი ზაფხული" **20.05** დოკ. სერიალი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულისა და ბეწვის ქვეშ" **20.30** დოკ. სერიალი "სუფრის ადათ-წესები" **21.20** კინოსეანსი "მშვენიერი ხანა"

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 01.10** ქრონიკა **09.10** იმედის მელოდიები **10.00** ანიმ. ფილმი "მოხუცი ჯადოქრის ზღაპრები" **10.30** "უცხო სუნელი" **11.00** "ჩვენი ეზოს ამბები" **11.20** "რაო, რაო?" **11.30** "დილის ფოსტა" **12.25** "იმედითა შენითა" **12.40, 16.15, 01.20** ტვ-მარკეტი **13.15** "უცნობი საქართველო" **13.45** "ნიკა ქავთარაძის შოუ" **15.15** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.30** "ნბა"-ს ჟურნალი **17.10** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ყველაზე იდუმალი ადგილები" **18.05** "პირველი ნაბიჯი" **19.30** ვაკაჭი-ნიუსი **19.55** "არ იდარდო" **21.15** ტვ-ლოტო **22.30** ქართ. მოკლემ. ფილმი "ქვევრი" **23.25** მხ. ფილმი "აზრთა მპყრობელნი" (15) (ვ. კილმერი) **02.55** იმედის მელოდიები

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** მულტფილმი **10.30** დოკ. ფილმი "ელისაბედ პირველი" **11.45** თეატრი **14.30, 17.30, 20.30** ახალი ამბები **15.30** კომედია "გოლდმემბერი" **17.10** "ჭიტა-ჭიტა" **18.15** მხ.ფილმი "უცხოელი" **21.05** "ფერისცვალება" **21.30** დრამა "ქვიშისა და ნისლის სახლი" **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** თრილერი "შიშის ჩრდილი" **02.00** გერმანული ტალღის ახალი ამბები

### ОРТ

**06.00, 10.00, 12.00, 18.00** Новости. **06.10** Сериал **"МАКСИМАЛЬНОЕ ВЛИЯНИЕ". 06.40** Виталий Соломин в фильме **"ЛЮБИМАЯ" 08.20** Играй, гармонь любимая! **09.00** Слово пастыря. **09.10** Здоровье. **10.10** "Три окна" Андрея Макаревича. **10.40** Док. фильм "Спасатель". **11.20** "Кумиры". Светлана Крючкова. **12.10** История с географией. "Власть Нефертити". **13.10** Дисней-клуб: "Микки Маус и его друзья". **13.40** Умницы и умники. **14.30** Док. фильм "Мушкетеры. Судьба четырех". **15.20** "Слабое звено" с Марией Киселевой. **16.10** Люди лучше, чем кажутся, в программе "Прости!". **17.00** Максим Галкин, Владимир Винокур в гостях у Лиона Измайлова. **20.00** "Кто хочет стать миллионером?" **21.00** Время. **21.20** "Розыгрыш". **22.40** Конкурс песни "Евровидение-2005". Финал. Прямая трансляция из Киева. **03.00** Кристофер Рив в триллере **"ДЕРЕВНЯ ПРОКЛЯТЫХ".** В канун праздника в маленькой деревеньке Мидвич происходит невероятное событие: все живое неожиданно замирает на несколько часов. После этого жизнь возвращается на круги своя, как будто ничего не случилось. Через некоторое время становится ясно, что все женщины деревни беременны. Спустя девять месяцев на свет одновременно появляются малыши. На вид они вполне нормальные. Но на самом деле они - порождение злобных пришельцев, вознамерившихся уничтожить всех землян... **04.40** Сериал **"МЕДИЦИНСКАЯ АКАДЕМИЯ".**

### НТВ

**06.00** Мультфильм "Дядя Степа - милиционер". **06.20** Сафферон Барроуз в фильме **"ГЛУБОКОЕ СИНЕЕ МОРЕ". 08.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Сегодня. **08.15** Сериал **"ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА: НЕ ПЕЙТЕ ЭТУ ВОДУ". 08.50** "Без рецепта". Доктор Бранд. **09.25** "Дикий мир" **10.20** "Растительная жизнь" **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.20** Особо опасен! **14.10** Ольга Машная в комедии **"ПОСЛЕДНЕЕ ДЕЛО ВАРЕНОГО" 16.20** "Женский взгляд". Наталья Бондарчук. **16.55** Своя игра. **17.55** Лжец. **19.35** Профессия - репортер. **20.05** "Программа максимум". Скандалы. Интриги. Расследования. **20.55** Фредерик Дифенталь в комедии **"КВАРТИРАНТ".** Поль и Александр - два молодых парижанина, которых сводит сама судьба. Мелкий аферист Поль постепенно сближается с трудягой Александром, используя его в своих целях - не со зла, а как случай представится. И даже втягивает в очередную аферу с большими деньгами. А потом робкий Александр влюбляется в проститутку Сесиль, и тут на помощь приходит разбитной Поль... **23.00** "Юбилей Сергея Шойгу". **00.20** "Мировой бокс" **01.30** Шарлотта Рэмплинг в фильме **"ПОД ПЕСКОМ". 03.20** "2:1". Ток-шоу **04.15** Настасья Кински в фильме **"ЛЮБОВНИКИ МАРИИ".** Действие перенесено в среду югославских эмигрантов в Пенсильвании. Закончилась вторая мировая война. Возвращаются домой американские солдаты. Прошедший все ужасы войны и японского плена, Иван Бабич находит утешение только в воспоминаниях о первой любви к юной Марии и в мечтах о возвращении домой. Но слишком тяжело вернуться к мирной жизни человеку, заглянувшему в глаза смерти... Главной проблемой становится сексуальное расстройство, вызванное с одной стороны - войной, с другой - сильным чувством. А Мария хочет чувствовать себя любимой.

# რონალდ რეიგანი - მსოფლიოს ყველაზე საოცარი ადამიანი



აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა მსოფლიოს საოცარ ადამიანთა 25-კაციან სიაში პირველი ადგილი მოიპოვა. ჩამონათვალი, სადაც პოლიტიკოსების გარდა სხვა საზოგადოებრივი მოღვაწეებიც შევიდნენ, ტელეკომპანია CNN-მა და ჟურნალ Time-მა შეადგინეს.

2004 წელს გარდაცვლილმა რონალდ რეიგანმა ეს პატივი იმიტომ დაიმსახურა, რომ ამერიკელებს საკუთარი ქვეყნის სიყვარული და სიამაყე ჩაუნერგა. ჩამონათვალის ავტორები აღნიშნავენ, რომ აშშ-ის მეორმოცე პრეზიდენტი იყო "დიდი გამათავისუფლებელი". მან კომუნიზმს ბოლო მოუღო და "ცივი ომის" დასასრული დააჩქარა.

სიაში აშშ-ის სხვა პრეზიდენტებიც შევიდნენ. მეოთხე ადგილი უმცროსმა ჯორჯ ბუშმა დაიკავა. ჟურნალი გვამცნობს, რომ მან "შეირაღებული კონფლიქტებისა და ომის გამოყენება დემოკრატიის გავრცელებაში გამოიყენა".

მეექვსე ადგილი ბილ კლინტონს მიუჩინეს. დენეტ რინოს თქმით (ის წლების განმავლობაში გენერალური პროკურორი იყო), ის ერთ-ერთი უჭკვიანესი ადამიანია, რომელიც ოდესმე შეხვედრია. "მას შეუძლია ესაუბროს ნებისმიერს ისე, თითქოს ის ადამიანი მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყოს," - ამბობს დენიტ რინო.

ამერიკელი პრეზიდენტების გარდა სია სხვა სახელმწიფოების მოღვაწეთა სახელებმაც დაამშვენეს: ნობელის პრემიის ლაურეატმა მიხეილ გორბაჩოვმა, ლეხ ვალენსმა და ნელსონ მანდელმა. ჩინეთის ყოფილ ლიდერ დენ სიაოპინს მეხუთე პოზიცია ერგო, ისრაელის პრემიერ მინისტრ არიელ შარონს - მეთხუთმეტე, დიდი ბრიტანეთის ექს-პრემიერ მარგარეტ ტეტჩერს - მეთორმეტე, მეცამეტე კი ერაყელ დიქტატორ სადამ ჰუსეინს.

სიაში სულიერი ლიდერებიც შევიდნენ. მეორე ადგილზე რომის პაპი იოან პავლე მეორე აღმოჩნდა, მესამეზე კი - აიატოლი ჰომეინი. მან 1979 წელს ირანის რევოლუციას უხელმძღვანელა.

მეშვიდე ადგილი ყველაზე ხმაურიანი ტერაქტების "მამამ", ოსამა ბინ ლადენმა დაიკავა. ჩამონათვალში ბილ გეიტსი, "უოლ-მარტის" სუპერმარკეტთა ქსელის ყოფილი მფლობელიდა სტივ ჯობსიც შევიდნენ. საოცარ ადამიანთა სიაში ერთადერთი სპორტსმენი - მაიქლ ჯორდანი მოხვდა, შოუ-ბიზნესის წარმომადგენლებიდან კი - სთივენ სპილბერგი.

სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად

London School of Commerce (LSC) ... UNIVERSITY OF SUNDERLAND ... UNIVERSITY OF WALES INSTITUTE CARDIFF (UWIC) ... 2005 წლის 10 ივნისი.

MBA
მარკეტინგი / ფინანსები

სრული კურსის ფასი
£ 4550
ხანგრძლივობა 1 წ.

... BA (HONS) ... £ 6950. ... £ 1000 ...

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
ტელ: 253 045, 230 284 მობ. 877-423569
E-mail: LSCgeorgia@hotmail.com
www.LSCLondon.co.uk




**საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს ვაკანსიას**

**თარჯიმნის თანამდებობაზე**

თარჯიმანს მოეთხოვება ინგლისური, რუსული და ქართული ენების საფუძვლიანი ცოდნა.

თვიური ანაზღაურება - 490 ლ.

მსურველებს ვთხოვთ, განცხადება და CV თავად მოგვაწოდონ ეროვნულ კინოცენტრში

2005 წლის 10 ივნისის 17:00 საათამდე

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში, მე-2 სართულზე,

0105 თბილისი, მარჯვენა სანაპირო 4, ტელ/ფაქსი: 984201.

სწრაფად ხარისხიანად!
EUROCLEAN-SERVICE

შ.პ.ს. "EUROCLEAN-SERVICE" გთავაზობთ ბინებში, ოფისებში, კინოთეატრებში, კაზინოებში, საბილიარდოებში, ბენზინ-გასამართ სადგურებში, რესტორნებსა და სხვა დაწესებულებებში შემდეგი სახის მომსახურებას:

- ნოხების, ხალიჩების, ქვისა და მარმარილოს იატაკის რეცხვა-გაწმენდა.
- რბილი ავეჯის, საძინებლი გარნიტურის, მატრასებისა და ლოგინების სიღრმული წმენდა დასუფთავება.
- ფანჯრების, ვიტრინების და მინის კონსტრუქციების რეცხვა-გაწმენდა.
- ხის კედლების წმენდა გაპრიალება.
- მანქანის სალონის წმენდა.
- აუზებისა და ჯაკუზების წმენდა.
- კაფელის, მეტლახის და ლინოლიუმის წმენდა და გაპრიალება.
- ავეჯის რესტავრაცია.

მის. ლესელიძის ქუჩა - ყაველაშვილის შესახვევი №1 ტელ: 93 13 03,
მის. გურამიშვილის №64 (ავეჯის სავაჭრო ცენტრი) 893 13 29 98, 893 50 93 50
E-maile: Euroclean_service@posta.ge

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

**აცხადებს კონკურსს**

**კინოხელოვნების პოპულარიზაციისთვის**

კონკურსში გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ნაწილობრივ (მაქსიმუმ 50%-ით) დაფინანსდება ეროვნული კინოცენტრის მიერ.

ეროვნული კინოცენტრისგან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 10 ათას ლარს.

კონკურსის საერთო ბიუჯეტია 20 ათასი ლარი

პროექტი უნდა განხორციელდეს 2005 წლის დასრულებამდე.

პროექტის წარდგენის ბოლო ვადაა 2005 წლის 31 მაისი, 17:00 სთ.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

0105 თბილისი, მარჯვენა სანაპიროს 4,
ტელ/ფაქსი: 98 42 01 E-mail: kinocentre@myoffice.ge

NESCAFÉ®
2005 წლის 20 მაისს გამართული ლატარიის შედეგები

5 კომპიუტერი
1. 098611
2. 086761
3. 063716
4. 056501
5. 011970

10 სარეცხი მანქანა
1. 067827
2. 062116
3. 036611
4. 037020
5. 063815
6. 059106
7. 023282
8. 017260
9. 055929
10. 018921

5 ტელევიზორი
1. 076897
2. 011187
3. 030335
4. 021552
5. 030629

5 მუსიკალური ცენტრი
1. 029937
2. 039206
3. 033533
4. 068729
5. 038596

175 ცალი ნესკაფეს კედლის საათი

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 6. 073720 | 23. 073737 | 40. 073754 | 57. 073771 | 74. 073788 | 91. 073805 | 108. 073822 | 125. 073839 | 142. 073856 | 159. 073873 |
| | 7. 073721 | 24. 073738 | 41. 073755 | 58. 073772 | 75. 073789 | 92. 073806 | 109. 073823 | 126. 073840 | 143. 073857 | 160. 073874 |
| | 8. 073722 | 25. 073739 | 42. 073756 | 59. 073773 | 76. 073790 | 93. 073807 | 110. 073824 | 127. 073841 | 144. 073858 | 161. 073875 |
| | 9. 073723 | 26. 073740 | 43. 073757 | 60. 073774 | 77. 073791 | 94. 073808 | 111. 073825 | 128. 073842 | 145. 073859 | 162. 073876 |
| | 10. 073724 | 27. 073741 | 44. 073758 | 61. 073775 | 78. 073792 | 95. 073809 | 112. 073826 | 129. 073843 | 146. 073860 | 163. 073877 |
| | 11. 073725 | 28. 073742 | 45. 073759 | 62. 073776 | 79. 073793 | 96. 073810 | 113. 073827 | 130. 073844 | 147. 073861 | 164. 073878 |
| | 12. 073726 | 29. 073743 | 46. 073760 | 63. 073777 | 80. 073794 | 97. 073811 | 114. 073828 | 131. 073845 | 148. 073862 | 165. 073879 |
| | 13. 073727 | 30. 073744 | 47. 073761 | 64. 073778 | 81. 073795 | 98. 073812 | 115. 073829 | 132. 073846 | 149. 073863 | 166. 073880 |
| | 14. 073728 | 31. 073745 | 48. 073762 | 65. 073779 | 82. 073796 | 99. 073813 | 116. 073830 | 133. 073847 | 150. 073864 | 167. 073881 |
| | 15. 073729 | 32. 073746 | 49. 073763 | 66. 073780 | 83. 073797 | 100. 073814 | 117. 073831 | 134. 073848 | 151. 073865 | 168. 073882 |
| | 16. 073730 | 33. 073747 | 50. 073764 | 67. 073781 | 84. 073798 | 101. 073815 | 118. 073832 | 135. 073849 | 152. 073866 | 169. 073883 |
| | 17. 073731 | 34. 073748 | 51. 073765 | 68. 073782 | 85. 073799 | 102. 073816 | 119. 073833 | 136. 073850 | 153. 073867 | 170. 073884 |
| 1. 073715 | 18. 073732 | 35. 073749 | 52. 073766 | 69. 073783 | 86. 073800 | 103. 073817 | 120. 073834 | 137. 073851 | 154. 073868 | 171. 073885 |
| 2. 073716 | 19. 073733 | 36. 073750 | 53. 073767 | 70. 073784 | 87. 073801 | 104. 073818 | 121. 073835 | 138. 073852 | 155. 073869 | 172. 073886 |
| 3. 073717 | 20. 073734 | 37. 073751 | 54. 073768 | 71. 073785 | 88. 073802 | 105. 073819 | 122. 073836 | 139. 073853 | 156. 073870 | 173. 073887 |
| 4. 073718 | 21. 073735 | 38. 073752 | 55. 073769 | 72. 073786 | 89. 073803 | 106. 073820 | 123. 073837 | 140. 073854 | 157. 073871 | 174. 073888 |
| 5. 073719 | 22. 073736 | 39. 073753 | 56. 073770 | 73. 073787 | 90. 073804 | 107. 073821 | 124. 073838 | 141. 073855 | 158. 073872 | 175. 073889 |

პრიზები გაიცემა: შპს „მაკენ-ერიქსონ ჯორჯიას" ოფისში მისამართზე: თბილისი, ასათიანის 12ა. 25 მაისიდან 24 ივნისის ჩათვლით, 11 დან 18 საათამდე შაბათ-კვირის გარდა. პრიზის მისაღებად წარმოადგინეთ: 100 გრ. ნესკაფე კლასიკის ცარიელი თუნუქის ქილა მომგებიანი ნომრით და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. ინფორმაციისთვის დარეკეთ: 43 40 00

იგებს ყველა მონაწილე!
3 ნესკაფე კლასიკის 100გრ ქილაში მიიღე ნესკაფეს წითელი ჭიქა.
25 მაისიდან 15 ივნისის ჩათვლით.
ლიცენზია # 01-4/1028
www.nescafe.com.ge

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- MS Word.
- MS Excel.
- Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24